

ბონიო-აფსარუსის  
არქეოლოგიური-არქიტექტურული ძეგლის  
ARCHAEOLOGICAL AND ARCHITECTURAL  
SITE OF GONIO-APSARUS



XI | ბონიო-აფსარუსი  
GONIO-APSARUS

აჭარის ავტონომიური მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო  
CULTURAL HERITAGE PRESERVATION AGENCY OF AJARA

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული ეროვნული ძეგლი  
ARCHAEOLOGICAL AND ARCHITECTURAL SITE OF GONIO-APSARUS



**გონიო-აფსაროსი**  
**(მემკვიდრეობის ძეგლი)**

**XI**

**GONIO-APSARUS**  
**(ACTIVITIES)**

ბათუმი 2021 BATUMI

UDC (უაკ) 902.2 (479.224)

გ-673

**სარედაქციო კოლეგია:**

შ. მამულაძე  
ა. კახიძე  
რ. კარასიევიჩ-სციპიორსკი  
გ. გრიგოლია  
ვ. ჯაფარიძე  
გ. ყიფიანი  
მ. ხალვაში  
გ. თავამაიშვილი  
ნ. ინაიშვილი  
დ. მინდორაშვილი  
ე. კახიძე  
ნ. ხახუტაიშვილი  
ლ. ასლანიშვილი  
კ. ქამადაძე

**რედაქტორები:**

შ. მამულაძე  
კ. ქამადაძე

**დიზაინი:**

დ. ჯვარშიეშვილი

**EDITORS OF THE VOLUME:**

S. Mamuladze  
A. Kakhidze  
R. Karasiewicz-Szczypiorski  
G. Grigolia  
V. Djaparidze  
G. Kipiani  
M. Khalvashi  
G. Tavamaishvili  
N. Inaishvili  
D. Mindorashvili  
E. Kakhidze  
N. Khakhutaishvili  
L. Aslanishvili  
K. Kamadaze

**EDITORS:**

Sh. Mamuladze  
K. Kamadadze

**DESING:**

D. Jvarsheishvili



აჭარის კულტურული  
მემკვიდრეობის  
დაცვის სააგენტო



CULTURAL HERITAGE  
PRESERVATION AGENCY  
OF AJARA

[www.ajaraheritage.ge](http://www.ajaraheritage.ge)  
[info@ajaraheritage.ge](mailto:info@ajaraheritage.ge)

ISBN 978-9941-9738-8-8

## სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
Preface .....	6
<b>შოთა მამულაძე</b> — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი საბეჭდავები და დისკოსებრი საგნები .....	7
<b>Shota Mamuladze</b> - Stamp seals and discoïd objects discovered on the territory of South-western Georgia.....	31
<b>შოთა მამულაძე, მარინე ბოკერია</b> — გონიო-აფსაროსის ციხის მეოთხე კოშკის გარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალების არქეოლოგიური და არქეობოტანიკური კვლევა.....	39
<b>Shota Mamuladze, Marine Bokeria</b> – Archaeological and Archaeobotanical study of the materials discovered outside tower N 4 in Gonio-Apsaros fort .....	53
<b>Shota Mamuladze, Emzar Kakhidze, Lasha Aslanishvili</b> - Roman garrisons in Apsarus and Petra .....	77
<b>შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე, ლაშა ასლანიშვილი</b> — რომაული გარნიზონები აფსაროსსა და პეტრაში.....	83
<b>ანდრია როგავა</b> — „რომანიზებული“ სამზარეულო კერამიკის ძირითადი ფორმები აფსაროსის კასტელუმიდან (არქეომეტრიული ანალიზი).....	94
<b>Andria Rogava</b> - Main forms of “Romanized” kitchen pottery from the castellum of Apsaros: an archaeometric analysis .....	104
<b>Shota Mamuladze, Emzar Kakhidze, Sul Khan Mamuladze</b> - Roman cult items discovered at the fort of Apsarus .....	115
<b>შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე, სულხან მამულაძე</b> — გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი რომაული კულტმსახურების ნივთები .....	138

<b>ირინე ვარშალომიძე</b> — ნუმიზმატიკური მასალა გონიო-აფსაროსიდან.....	143
<b>Irine Varshalomidze</b> - The numismatic material from Gonio-Apsaros .....	151
<b>შოთა მამულაძე, კახაბერ ქამადაძე, გურამ ყიფიანი</b> — ავგიის ნაეკლესიარი.....	156
<b>Shota Mamuladze, Kakhaber Kamadadze, Guram Kifiani</b> - Avgia Church .....	163
<b>კახაბერ ქამადაძე, თათული მონყობილი</b> — ბოლო წლებში (2015-2021 წწ)	
გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფაიანსის ნაწარმი.....	176
<b>Kakhaber Kamadadze, Tatuli Motskobili</b> - Recent materials (2015-2021) of	
Faience from Gonio .....	185
მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ სხვადასხვა წლებში	
გამოქვეყნებული ნაშრომები.....	191

## წინასიტყვაობა

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის და მისი მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგებს უკვე მიეძღვნა გონიო-აფსაროსის შრომების 9 ტომი. გამოსაცემად ჩაშვებულია მე-10 ტომიც.

წინამდებარე კრებული რიგით მეთერთმეტეა. მასში ქრონოლოგიური პრინციპით განხილულია სხვადასხვა საინტერესო თემები, ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. ცხადია უდიდესი ნაწილი გონიო-აფსაროსის ციხის ახალ მონაპოვრებს ეხება, თუმცა აქვეა საუბარი აჭარის ტერიტორიაზე წინა წლებში აღმოჩენილი ანტიკური პერიოდის საბეჭდავებზე. მნიშვნელოვანია მეოთხე კომპის გარე ტერიტორიაზე მოპოვებული მასალების არქეოლოგიური თუ არქეობოტანიკური კვლევის შედეგები. გარდა აღნიშნული საკითხებისა, ნაშრომში განხილულია ისეთი აქტუალური თემები როგორებიცაა: რომაული გარნიზონების ყოფნა გონიო-აფსაროსსა და პეტრას ციხეზე, „რომანიზებული“ სამზარეულო კერამიკის ძირითადი ფორმები, ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული კულტები, ნუმიზმატიკური მასალა და გვიანი შუასაუკუნეების მცირეაზიული ფაიანსი. ბოლო წლებში აღმოჩენილ მნიშვნელოვან მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება ასევე, გონიოს შემოგარენში აღმოჩენილი ადრებიზანტიური ხანის ავგიის ნაეკლესიარი.

ნაშრომი იბეჭდება აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხარჯებით.

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის  
მმართველი პროფ. შ. მამულაძე

## **PREFACE**

Previously published volume 9 of Gonio-Apsaros was dedicated to the explorations and studies done by the permanent expedition of Gonio-Apsaros archaeological-architectural complex. Volume 10 has also been submitted for publishing.

The present 11th volume entails various interesting topics which are set in chronological order from the Antique till the Late Medieval period. The main part of the publication concerns the new discoveries from Gonio-Apsaros fortress. However there is also a contribution about the Antique period stamp seals discovered in the past years on the territory of Ajara. Archaeological and archaeobotanic study of the remains found close to the tower N4 (on the territory outside of the fort) is of special importance. Other important topics treated by the volume are: the presence of Roman garrisons in Apsaros and Petra, the main forms of “romanized” kitchen pottery, Roman cult items, the numismatic material and recent Late Medieval faience from Asia Minor all discovered at Gonio-Apsaros. The ruins of Avgia church is also among the important discoveries made in recent years.

The volume is being published with the financial support of The Cultural Heritage Preservation Agency of Ajara

Director of Gonio-Apsaros archaeological-architectural Site

Shota Mamuladze

## სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბარიბორიაზე აღმოჩენილი საბაჭდავები და დისკოსებრი სპინები

ბოლო პერიოდში აჭარისწყლის ხეობისა და ჭოროხის ქვემო დინების კლასიკური თუ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების შესწავლისას, თავი იჩინა მხატვრული ხელოსნობის ერთ-ერთი რთული დარგის, გლიპტიკური ხელოვნების მეტად საინტერესო და საყურადღებო ნიმუშებმა - საბეჭდავებმა. დღეისათვის მონაპოვარში სულ 11 ერთეულია წარმოდგენილი. თითოეული მათგანი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული და თანმხლები მასალების მიხედვით საკმაოდ კარგადაც თარიღდებიან.

ექვსი ცალი საბეჭდავი სხვა საკულტო დანიშნულების ნივთებთან ერთად აღმოჩნდა სოფ. კვაშტის ძვ.წ. V ს-ით დათარიღებული ნამოსახლარის გათხრებისას. ეს სოფელი მდ. აჭარისწყლის მარცხენა ნაპირზე, დაბა ქედიდან 10 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. თვით ძეგლი კი სოფლის ერთ-ერთი უბნის - სირაბიძეების სამხრეთ-დასავლეთით „საყორნია კლდედ“ წოდებულ ქედზეა. „საყორნია კლდის“ ქედი აჭარა-შავშეთის მთების განშტოების ე.წ. „ჯვარიქედის“ უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. იგი იწყება მდ. აჭარისწყლის სანაპიროებიდან და დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ. ქედის ორივე კალთა მკვეთრად დაქანებული, ციცაბო კლდოვანი აღმოსავლეთი-სირაბიძეების ღელემდე ეშვება. ამ მიუვალ გორაზე ძვ.წ. V საუკუნისათვის აქაურ მკვიდრთ ტერასული ტიპის გამაგრებული სამოსახლოები მოუწყვიათ. მდინარისაკენ წამოზრდილი სერი კონტროლს უწევდა აჭარისწყლის ხეობის მოზრდილ მონაკვეთს.

ბუნებრივია იგი დაკავშირებული იქნებოდა სხვა გამაგრებულ სამოსახლოებთანაც. ასე რომ, სოფ. კვაშტის დასახლება წარმოადგენდა ამ ხეობის ერთ-ერთ უძველეს საფორტიფიკაციო ნაგებობათა კომპლექსის მნიშვნელოვან მონაკვეთს (კახიძე..., 1993: 57-80; 2016: 47-49).

ძეგლზე სამუშაოები ოთხ ტერასაზე განხორციელდა. მათგან I ტერასაზე ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებულ კულტურულ ფენაში, ადგილობრივ, თუ იმპორტულ (მათ შორის შავლაკიანი კერამიკა) მასალებთან ერთად, აღმოჩნდა სხვადასხვა ზომის ხუთი საბეჭდავი და რამდენიმე ცალი დისკოსებრი ნივთი წვრილი ნახვრეტივით. ერთი, შედარებით მოზრდილი თიხის საბეჭდავი, აღმოჩნდა III ტერასაზე, ამავე ეპოქით დათარიღებულ ფენაში (კახიძე... 1993: 59-61).



თიხის სამი საბეჭდავი გამოვლინდა მახვილაურის ანტიკური ხანის ნამოსახლარზე. მახვილაურის ნამოსახლარი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ქ. ბათუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მე-8 კმ-ზე, კახაბრის დაბლობის ჩრდილო ნაწილში, მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. ადრე მდ. ჭოროხი მახვილაურის გორას ახლოს ჩამოუდიოდა (გოგიტიძე, 1978:69), ახლა ბორცვის ძირში, ახლოს, ჩრდილოეთის მხრიდან მოედინება მახვილაურის წყალი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან - მეჯინისწყალი. საკუთრივ გორასამოსახლო მდებარეობს აჭარა-გურიის მთების ზღვისპირეთისაკენ დაშვებული მახვილაურის ქედის შემადგენელ ბორცვზე. იგი ზემოდან გადმოჰყურებს ბათუმსა და მის შემოგარენს, მდ. ჭოროხის დელტას და მის ორივე მხარეს გაშენებულ სოფლებს. აქედან კარგად მოსჩანს აჭარისწყლის ხეობის ბოლო მონაკვეთიც კარგა მოზრდილ მანძილზე. აქედან შეიძლება შავიზღვის სანაპირო ზოლისა თუ ჭოროხ-აჭარისწყლისკენ გამავალი გზების გაკონტროლება. ასე რომ, მახვილაურის გამაგრებული ტიპის სამოსახლო თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით ჭოროხ-აჭარისწყლის თანადროულ ძეგლებთან ერთად წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს.

მახვილაურის გორაზე ძირითადი არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა 1982-1983 წლებში. არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებულ ანტიკური ხანის მასალებთან ერთად აღმოჩნდა სწორედ ზემოთ აღნიშნული საბეჭდავებიც.

თიხის საბეჭდავები ასევე მოპოვებულია სოფ. ჭარნალის ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ გორასამოსახლოზეც. ეს სამოსახლო მდ. ჭოროხის მარცხენა მხარეს, ჭოროხის შენაკად ჭარნალისწყლის მარცხენა სანაპიროს შემადგენელ გორაზე მდებარეობს. 2005 წ. გონიო-ავსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ განხორციელებული სამუშაოების დროს, ამ ეპოქის დასავლურ-კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ მდიდარ და საინტერესო მასალებთან ერთად, აღმოჩნდა საკმაოდ პატარა ზომის თიხის ორი საბეჭდავიც. ისინი ფორმებით და გამოსახულებებით ძირითადად ემსგავსებიან ზემოთ დასახელებულ ძეგლებზე აღმოჩენილ ნიმუშებს.

#### მოკლედ შევჩარღვებით თითოეულ მათგანზე:

**კვაშტის საბეჭდავები და დისკოსებრი საგნები.** საბეჭდავი (საველე №193; ტაბ. I/1; III/1) აღმოჩნდა 1983 წელს, III ტერასაზე, დამწვარი შენობის წინ, დახანძრულ ფენაში. იგი მონითალო ფერის თიხისგან არის დამზადებული. თიხა საკმაოდ წმინდაა, განლექილი, შედარებით კარგად გამომწვარი. ემჩნევა ცეცხლში მოხვედრის კვალი. შემორჩენილი აქვს ცილინდრული ფორმის სახელურის დასაწყისი. ბრტყელ პირზე გეომეტრიული მოტივია გამოსახული - ე.წ. შევსებული ჯვარი. ურთიერთგადამკვეთი ორი ხაზი ოთხ თანაბარ სეგმენტად ყოფს საბეჭდავის პირს. ერთ-ერთი სეგმენტის მთლიანი ზედაპირი დაზიანებულია და მასზე არსებული გამოსახულების გარჩევაც შეუძლებელია. რაც შეეხება დანარჩენ სამ სეგმენტს, ისინი შევსებულია ჯვრის ცენტრიდან თუ სეგმენტების ურთიერთგამყოფი მკლავებიდან დაშვებული სხივისებრი რელიეფური ქედებით, ზოგჯერ ისე რომ, მკლავების საპირისპირო მხარეს განლაგებული დახრილი ხაზები სიცოცხლის ხის შთაბეჭდილებასაც ტოვებს.

გამოხატულება საკმაოდ მკაფიოა და მაღალი რელიეფით არის შესრულებული. იგი მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. საბექდავის შემორჩენილი სიმაღლე 4 სმ; პირის დმ. 8,5 სმ (ტაბ. I/1).

მეორე საბექდავიც (საველე №32) 1983 წელს აღმოჩნდა, II ტერასაზე, დამწვარი ნაგებობის ტერიტორიაზე, დანარჩენ ოთხ საბექდავთან ერთად. იგი მონითალო ფერის თიხისაგან არის დამზადებული. თიხა საკმაოდ კარგადაა განლექილი და გამომწვარი. საბექდავი ხელითაა ნაძერწი. ამ ნიმუშსაც ემჩნევა ცეცხლში მოხვედრის კვალი (ტაბ. I/2; ტაბ. III/2). მრგვალ საბექდავს მოგრძო ცილინდრული ფორმის სახელური აქვს. იგი თავისკენ ფართოვდება. თავი ნაწილობრივ დაზიანებულია, ხოლო მეორე ნაწილი - ოდნავ შებრტყელებული აქვს. სახელური საბექდავის მიმართულებით ოდნავ მსხვილდება და უსწორმასწორო ზედაპირის მქონე ზურგში გადადის. პირზე საკმაოდ კარგად, მკაფიოდ გამოსახული ე.წ. შევსებული ჯვარია ამოჭრილი. ურთიერთგადაამკვეთი ხაზებით მთლიანი ზედაპირი ოთხ ტოლ სეგმენტადაა დაყოფილი. თითოეული სეგმენტი ოთხ-ოთხი სრული და გაშლილი კუთხეებით არის შევსილი. შემორჩენილი სიმაღლე - 5 სმ., პირის დმ - 6,5 სმ.

ამავე წელსაა ნაპოვნი მესამე საბექდავიც (საველე №80; ტაბ. I/3; ტაბ. III/3), III ტერასაზე. იგი მოყავისფრო ფერის თიხისაგან არის დამზადებული. თიხა საკმაოდ კარგადაა განლექილი, წვრილმარცვლოვანია. ესეც ხელითაა ნაძერწი და გამომწვარია. ემჩნევა ძლიერ ცეცხლში მოხვედრის კვალი. წრიულ საბექდავს აქვს არცთუ ისე მაღალი, მრგვალი ფორმის სახელური. სახელურის თავზე პატარა წრეა დატანილი. ამ ნიმუშის პირზეც გეომეტრიული მოტივი, ე.წ. შევსებული ჯვარია გამოსახული. აქაც ურთიერთგადაამკვეთი ხაზებით საბექდავის პირი ოთხ სეგმენტადაა დაყოფილი. თითოეულ სეგმენტში სრული კუთხეებია ერთმანეთში ჩახაზული. ყოველ სეგმენტში სამ-სამი კუთხეა მოთავსებული. საბექდავი ხელით არის ნაძერწი და შემდეგ გამომწვარი. პირი იმდენად კარგად აქვს გადალესილი, რომ გაპრიალებულს ჰგავს. გამოსახულება ძალიან კარგად იკითხება. ზომები: სიმაღლე 3 სმ., პირის დმ. 5,2 სმ.

მეოთხე საბექდავი (საველე №802; ტაბ. I/4; ტაბ. III/4) მონითალო, მოვარდისფრო თიხისაგან არის დამზადებული. განლექილი, ხელითაა ნაძერწი და საკმაოდ კარგადაა გამომწვარი. ეს ნიმუში შედარებით პატარა ზომისაა. საბექდავს შემორჩენილი აქვს ცილინდრული ფორმის სახელურის ნაწილი. სამუშაო ზედაპირზე ზემოთ აღწერილ ნიმუშთა მსგავსად ე.წ. შევსებული ჯვარია გადმოცემული. თითოეულ სექტორში სამ-სამი კუთხეა მოთავსებული. მისი ზომებია: სიმაღლე-2,7 სმ; პირის დმ-3,5 სმ.

მეხუთე საბექდავიც (საველე №32; ტაბ. I/5; ტაბ. III/5) II ტერასაზეა აღმოჩენილი, ზემოთ აღწერილ ნიმუშებთან ერთად. დამზადებულია მონითალო ფერის, კარგად განლექილი თიხისაგან. ესეც ხელით არის ნაძერწი და კარგადაა გამომწვარი. საბექდავის მრგვალ პირს აქვს საკმაოდ მაღალი ცილინდრული მოყვანილობის სახელური, რომელიც დისკოსებრი ფორმის ბოლოთი მთავრდება. შესაბამისად, სახელურზე „მოთავსებული“ პირიც მრგვალია. ბრტყელ და მრგვალ კიდებებიან პირზე გამოხატულია შევსებული ჯვარი. აქაც, ორი ურთიერთგადაამკვეთი ხაზით პირის მთლიანი ზედაპირი ოთხ თანაბარ სეგმენტადაა დაყოფილი. თითოეული სეგმენტი შევსილია ოთხ-ოთხი კორიზონტალური თუ ვერტიკალური ქედებით. გამოსახულება საკმაოდ

მაღალი რელიეფით არის შესრულებული. იგი ამოჭრილი ჩანს დანით ან ჩხირით, საკმაოდ ღრმად. სახელურის პირზეც ზუსტად ისეთივე გამოსახულებაა, როგორც სამუშაო ზედაპირზე. ოღონდაც აქ სეგმენტების შემავსებელი ჰორიზონტალური, თუ ვერტიკალური ქედების რაოდენობა სამ-სამია. საბეჭდავის ზომებია: სიმაღლე-4 სმ; პირის დმ-4,5 სმ; სახელურის პირის დმ-2,5 სმ.

მეექვსე საბეჭდავი (საველე №21; ტაბ. I/6; ტაბ. III/6) დაზიანებულია. შემორჩენილია მხოლოდ პირისა და სახელურის ნაწილი. ფორმასა და გამოსახულებაზე წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. იგი გაცილებით პატარა ზომის უნდა ყოფილიყო. თიხა ღია მოყავისფრო, შედარებით კარგად განლექილი. საბეჭდავს ჰქონია ღილისებრი ფორმის სახელური. მრგვალ სამუშაო ზედაპირზე აქაც, ზემოთ აღწერილთა მსგავსად, შევსებული ჯვარია დატანილი. შემონახული ორი სეგმენტის მიხედვით ჩანს, რომ ჯვრის მკლავებს შორის არსებული სიცარიელე აქ შევსილია მიჯრით განლაგებული დახრილი, სხივისებური, არც თუ ისე მკვეთრად გამოხატული, რელიეფური ქედებით. მისი ზომებია: სიმაღლე-2,2 სმ, პირის დმ-3,8 სმ.

კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარზე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, აღმოჩნდა თიხის დისკოსებური ფორმის ნივთებიც. ისინი სხვადასხვა ზომისაა, მათი გამოყენება კვირისტავებად ფორმის, ზომების, დატანილი გამოსახულებების და წვრილი ნახვრეტების გამო, გამორიცხებულია. ერთ-ერთი მათგანის (სავ.199) ცენტრალურ ნაწილში ნახვრეტის ირგვლივ მოცემულია დისკოსებრი გამოსახულება, ხოლო დანარჩენ ზედაპირზე დატანილია არცთუ ისე მკვეთრად გამოკვეთილი წრიული ზოლები (ტაბ.II/8).

**მახვილაურის საბეჭდავები.** პირველი საბეჭდავი (საველე №603; ტაბ. II/1; ტაბ. IV/1) აღმოჩნდა 1982 წელს ნამოსახლარის გათხრების დროს ძვ.წ. V ს-ის კულტურულ ფენაში. იგი დამზადებულია კარგად განლექილი მოყავისფრო ფერის ალიზის ხელითაა ნაძერწი, კარგად გამომწვარი და მკრივია. ნედლი მასალა იმდენად კარგად არის დამუშავებული, რომ ერთი შეხედვით ქვას უფრო ჰგავს. საბეჭდავი ცეცხლშია მოხვედრილი. აქვს ტანისაგან არც თუ ისე მკვეთრად გამოყოფილი ცილინდრული ფორმის სახელური, რომლის ზედა ნაწილი გადატეხილია. პირი საკმაოდ კარგად აქვს დამუშავებული და გაპრიალებულია. დატანილი გამოსახულებები შესანიშნავად იკითხება. სამუშაო ზედაპირზე მოცემულია სამი მინიატურული ჯვრის გამოსახულება. მათგან ორი - ცენტრალურ ნაწილში, ხოლო ერთი - კიდეზე. პირის კიდეები ირგვლივ დაფარულია საკმაოდ ღრმა ნაჭდევი, დახრილი სხივისებური ზოლებით. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტვიფრით შესრულებულ ნახელავთან. ოსტატს წინასწარ დამზადებული მოდელით, უკვე გამოძერწილი, მაგრამ ჯერ კიდევ ნედლ თიხაზე უნდა ჰქონდეს დატვიფრული გამოსახულება. სხვანაირად, ასეთი ღრმად ნაკვეთი გამოსახულება ნედლ თიხაზე ასე სუფთა ვერ გამოვიდოდა, რაც არ უნდა წმინდა საჭრისი, თუ ჩხირი ყოფილიყო გამოყენებული. ნივთი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, კარგად არის გამომწვარი, რაც იმის ნიშანია, რომ იგი ხანგრძლივი ხმარებისათვის იყო გამიზნული (ზომები: შემორჩენილი სიმაღლე-4,2 სმ; პირის დმ-4 სმ).

მეორე საბეჭდავი (საველე №109; ტაბ. II/2; ტაბ.IV/2) შედარებით პატარა ზომისაა. კარგადაა დაცული. იგი დამზადებულია განლექილი ღია ყავისფერი თიხისაგან.

ჩანს ეს ნიმუშიც ხელითაა ნაძერწი და საკმაოდ კარგადაა გამომწვარი. აქვს არც თუ ისე მაღალი, კონუსური ფორმის სახელური. მრგვალ სამუშაო ზედაპირზე დატანილია ჯვრის გამოსახულება. ცალკეული სეგმენტები კი შევსილია ჯვრის ცენტრალური ნაწილიდან კუთხეებისაკენ დაშვებული სხივისებრი ნაჭდევი ზოლებით.

მესამე საბეჭდავი (საველე №253 ; ტაბ. II/3; ტაბ. IV/3) დამზადებულია მონითალო ფერის თიხისაგან და ხელითაა ნაძერწი. აქვს შებრტყელებული ფორმის სახელური, რომლის ზედა ნაწილიც დაზიანებულია. სამუშაო ზედაპირი სადაა. არაა გამორიცხული იგი წუნიც იყოს (ზომები: სიმაღლე-2,3 სმ, პირის დმ-3,8 სმ).

**ჭარნალის საბეჭდავები.** ორი ცალი საბეჭდავი აღმოჩნდა ჭარნალის ძვ. ნ. VII-VI სს გორასამოსახლოს ტერიტორიაზე წარმოებული გათხრების დროს. პირველი საბეჭდავი (საველე №269; ტაბ. II/7; ტაბ. IV/4) დაზიანებულია და შუაზეა გატეხილი. იგი ნაძერწია ხელით. თიხა მოყავისფრო, მსხვილმარცვლოვანი. განატეხში ჩანს პიროქსენის ნარევი. საბეჭდავი არცთუ ისე კარგადაა გამომწვარი, იგი მყიფეა და შედარებით იოლად იშლება. აქვს ცილინდრული ფორმის სახელური, რომლის ზედა ნაწილი წამტვრეულია. პირზე დატანილია ხის გამოსახულება. დაცულია გამოსახულების დიდი ნაწილი და კარგად იკითხება. ჩანს, რომ ხეს ჰქონდა თითოეულ მხარეს ოთხ-ოთხი ტოტი. ქვედა ტოტები შედარებით გრძელია, ზემოთ ისინი თანდათანობით მოკლდება. მისი ზომებია: სიმაღლე-4 სმ; პირის დმ-4,4 სმ (ტაბ. I/8).

მეორე საბეჭდავი (საველე №2691; ტაბ. II/5; ტაბ. IV/5) დაზიანებულია. ფორმაზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა შეიძლება. მისი თიხაც მოყავისფროა და მსხვილმარცვლოვანია. ურევია პიროქსენის მინარევები, გამომწვარია. ეს საბეჭდავიც ზემოთ აღწერილი ნიმუშის მსგავსად მყიფეა და შედარებით იოლად იშლება. ჩანს რომ, ორივე ერთი ხელოსნის მიერ არის დამზადებული. აქვს ტანისაგან არც თუ ისე მკვეთრად გამოყოფილი ცილინდრული ფორმის სახელური, რომელიც მთავრდება ორი ქიმისებრი შვერილით. სამუშაო პირის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი, რომელზედაც რაიმე გამოსახულების გარჩევა შეუძლებელია (ზომები: სიმაღლე-3,2 სმ; პირის დმ-4,1 სმ).

თუ თვალს გადავაავლებთ ზემოთ აღწერილ ნიმუშებს, დავინახავთ რომ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონში აღმოჩენილი საბეჭდავების თიხა ძირითადად მონითალო, მოვარდისფრო ან მოყავისფროა. ზოგიერთი მათგანის თიხა მსხვილმარცვლოვანია, ზოგიც კარგად განლექილი და წმინდაა. ასევე შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ მათი დამზადების ტექნიკაზეც. როგორც ჩანს, მას შემდეგ რაც ოსტატი საბეჭდავს გამოძერწავდა, ჯერ კიდევ მის გამონვამდე, პირზე სპეციალური იარაღით (დანით თუ ჩხირით) ამოჭრიდა ან დაიტანდა სასურველ გამოსახულებას. გამოშრობის შემდეგ კი საბეჭდავი გამოინვებოდა. მათზე დაკვირვებით ჩანს, რომ გამონვის ხარისხიც სხვადასხვაა. ზოგიერთი საბეჭდავი კარგადაა გამომწვარი, ზოგს მზეზე „გამომწვარი“ ნივთის იერი აქვს, ასეთ შემთხვევაში თიხა თითქოს მსხვრევადი და მყიფე ჩანს. რაც შეეხება საბეჭდავების ძერწვას, ზოგიერთი მათგანი ტლანქად გამოიყურება. განსაკუთრებით მაღალ დონეზეა შესრულებული კვაშტაში აღმოჩენილი საბეჭდავები და ერთი ნიმუში (№603) მახვილაურიდან. ზოგიერთ მათგანს გაკრიალების კვალიც კი ეტყობა. როგორც წესი, ისი-

ნი გრძელსახელურიანია, ანდა ზოგჯერ ყუნწიანი. გარეგნული ფორმით იმეორებენ ძველ აღმოსავლეთში, მცირე აზიასა თუ საკუთრივ საქართველოში არსებულ თიხის თუ ქვის საბეჭდავების ტიპებს იმ განსხვავებით, რომ ჩვენი საბეჭდავების ფორმები ძირითადად ერთგვაროვნებით ხასიათდება. რაც შეეხება მათზე დატანილ გამოსახულებებს, თითქმის ყველა შემთხვევაში გეომეტრიული სახის მოტივებია გადმოცემული. კერძოდ, ე.წ. შევსებული ჯვარი, ანუ ჯვარი რომლის მკლავებს შორის არსებული სივრცე მკაცრი ხაზებისაგან შედგენილი გეომეტრიული სახით-ერთმანეთში ჩახაზული სრული კუთხეებით, სხივისებრი რელიეფური ან ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ქედებით, მინიატურული ჯვრებით, წრეებით და ბოლოს ურთიერთგადაამკვეთი ხაზებით, ე.წ. ჯვართაა წარმოდგენილი. მხოლოდ ერთადერთ, სოფ. ჭარნალის ძვ.წ. VII-VI სს გორა-სამოსახლოზე აღმოჩენილ ნიმუშზეა დატანილი მცენარის გამოსახულება. ამ ტიპის საბეჭდავები სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონიდან დღემდე უცნობი იყო. ამიტომ, ისინი უნდა ჩაითვალოს ჯერჯერობით ადგილობრივი წარმოების უძველეს ნიმუშებად.

მსგავსი მასალები საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

განსაკუთრებით საინტერესო თიხის საბეჭდავები აღმოჩნდა 1954, 1959-1961 წლებში ხოვლეგორაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს. ისინი ძირითადად საცხოვრებელი თუ საკულტო ნაგებობების ტერიტორიაზეა მოპოვებული (მუსხელიშვილი, 1978:14, ტაბ.X,XII).

ხოვლეში აღმოჩენილი I ჯგუფის, ანუ საქართველოში მოპოვებული უძველესი ტიპები - არქაული საბეჭდავები გამომწვარი თიხისაგან არის დამზადებული. ისინი ტლანქად და პრიმიტიულადაა ნაძერწი და შედარებით დიდი ზომებით გამოირჩევიან (ლორთქიფანიძე, 1969:12). მათზე გეომეტრიული მოტივებია ასახული, კერძოდ ერთმანეთში ჩამჯდარი დიდი და მცირე ზომის კონცენტრული წრეები; ე.წ. შევსებული ჯვარი, რომლის მკლავებს შორის მოთავსებული არე ჩვენი საბეჭდავების მსგავსად მკაცრი ხაზებისაგან შედგენილი გეომეტრიული, ერთმანეთში ჩახაზული სრული კუთხეებითაა შევსებული. ასევე გვხვდება ურთიერთგადაამკვეთი ხაზები, ე.წ. ჯვარი და სხვა. ხოვლეს VII ჰორიზონტის თიხის ნაწარმიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. სოკოს ფორმის საბეჭდავი (მუსხელიშვილი, 1978:14, ტაბ.XI, XIII), რომელსაც კვაშტის საბეჭდავის მსგავსად, ორივე სიბრტყეზე, თავსა და ბოლოში დატანილია გამოსახულებები. კერძოდ ხოვლეს საბეჭდავის ქვედა დიდ წრეზე-რელიეფური სპირალი, ზედაზე კი - ჯვარი, რომლის მკლავების უბებშიც მართი კუთხეებია ამოკვეთილი. კვაშტის საბეჭდავის (სავ. 32.) ორივე მხარეს კი ჯვრებია დატანილი. ჯვრის გამოსახულებიანი საბეჭდავების საკმაოდ ბევრი ანალოგები აქვს მოტანილი მ. ლორთქიფანიძეს (ლორთქიფანიძე, 1969:14-15). ისინი ძირითადად დამახასიათებელია კარგად დათარიღებულ მცირეაზიურ-ხეთური და ადრეკრეტული სამყაროსათვის. აღნიშნული მოტივი მცირე აზიიდან უფრო ადრეცაა ცნობილი. მსგავსი გამოსახულებები ცნობილია უძველეს (ძვ.წ. XVI ს) კაპადოკიურ საბეჭდავებზეც. არც ელინისტური სამყაროსათვის იყო უცხო, რასაც თესალიაში მოპოვებული მასალებიც ადასტურებს (ლორთქიფანიძე, 1969:14-15).

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ხოვლეში 1961 წელს მოპოვებულ მასალებს შორის მართკუთხედის მოყვანილობის ბრტყელი და ყუნწიანი დიდი ზომის „ფირფიტა“, რომლის პირზე საკმაოდ სქემატურად და სადად მცენარეული მოტივია ამოჭრილი. საყურადღებოა, რომ აღნიშნული „ფირფიტა“ საბეჭდავად იყო განკუთვნილი (ლორთქიფანიძე, 1969:19). ჭარნალში აღმოჩენილ საბეჭდავზეც ზუსტად ანალოგიური მცენარეული მოტივია გამოსახული. ჩვენი ნიმუში თანმხლები მასალების მიხედვით ძვ. წ. VII-VI სს-ით თარიღდება.

ჩვენთვის საინტერესო მასალები გამოვლინდა შიდა ქართლის ერთ-ერთი უძველესი ნასოფლარის, გუდაბერტყას გათხრებისას. სხვადასხვა ფენაში აღმოჩნდა უძველესი ტიპის გამომწვარი თიხის რამდენიმე საბეჭდავი. ყველა მათგანი დიდი ზომისაა. მათი უმრავლესობის გამოსახულებები ხოვლეგორის და ჩვენი საბეჭდავების გამოსახულებების ანალოგიურია. ისინი შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდებიან. მათ შორის გვხვდება რამოდენიმე ნიმუში, რომელიც შედარებით მოგვიანო პერიოდით - ძვ.წ. XII ს-ით თარიღდება (ლორთქიფანიძე, 1969:19-20).

საინტერესო ნიმუშები საბეჭდავებისა სხვა სანესო რელიგიური დანიშნულების ნივთებთან ერთად აღმოჩნდა უფლისციხის მიდამოების წინაანტიკური ხანის ყათნალიხევის გორასამოსახლოს გათხრების დროს (ხახუტაიშვილი, 1964:22). მათ სამუშაო ზედაპირზე სხვადასხვა გეომეტრიული ხასიათის გამოსახულებებთან ერთად გვხვდება ჩვენთვის საინტერესო სვასტიკის თუ ჯვრის გამოსახულებებიც. ძეგლის გამთხრელის პროფ. დ. ხახუტაიშვილის აზრით, რომელიც ეყრდნობა ვ. ბარდაველიძის მიერ შესწავლილ ეთნოგრაფიულ მასალებს, ასკვნის, რომ საბეჭდავების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო სანესო ნამცხვრის - სპეციალურად შესანიშნავი პურების დასატვიფრად გამოყენება (ხახუტაიშვილი, 1964:30). მკვლევარის აზრით წარმართულ დღესასწაულებთან დაკავშირებული სანესო პურების გამოცხობა სალოცავში (ხატში) არსებულ ღუმელში წარმოებდა, ხოლო ნამცხვარზე სასურველი გამოსახულების გაკეთება ე.წ. „საბეჭდავებით“ ხდებოდა. ყათნალიხევაში აღმოჩენილი ორი საბეჭდავი სხვა საკულტო ნივთებთან ერთად სწორედ სალოცავის გათხრებისას აღმოჩნდა, რომლებზედაც გადმოცემულია თავისებური ფორმის სვასტიკა (ხახუტაიშვილი, 1964:31, ტაბ. XIII, 4,6).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოლითში 1963 წელს მიწის სამუშაოების შესრულების დროს მოპოვებული საბეჭდავი. საბეჭდავის პირზე ჩვენი ნიმუშების მსგავსად გეომეტრიული მოტივი, ე.წ. შევსებული ჯვარია დატანილი. კერძოდ ამ ნიმუშის ჯვრის მკლავებს შორის მოთავსებულ არეში, კვამტის თუ მახვილაურის ნიმუშების მსგავსად, გაშლილი კუთხეები, რკალები თუ სწორი ხაზებია ამოჭრილი (ლორთქიფანიძე, 1969:24, 25, 68, ტაბ. I/3).

საინტერესო ნიმუში აღმოჩნდა მჭადიჯვარში. მის სამუშაო ზედაპირზე ხოვლეს თუ სხვა ნიმუშების მსგავსად კონცენტრული წრეებია ჩახაზული, ხოლო სახელურის ნაკვეთილ ნაწილზე კი ჭარნალის ნიმუშის მსგავსად ხის გრაფიკული გამოსახულებაა დატანილი. მ. ლორთქიფანიძე ამ ნიმუშსაც ხოვლეში აღმოჩენილი ნიმუშების მიხედვით ძვ.წ. XIV ს ათარიღებს (ლორთქიფანიძე, 1969:25).

საინტერესო საბეჭდავებია აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოშიც. პირველ

რიგში უნდა გამოიყოს 1964 წელს ჭოგნარში აღმოჩენილი ორი საბეჭდავი. ორივე სახელურიანია და ორმხრივია. გამოსახულებები აქაც გეომეტრიული სახისაა - ურთიერთგადამკვეთი ხაზებით ოთხ არათანაბარ სეგმენტად გაყოფა და მათი მოკლე-მოკლე რელიეფური ხაზებით შევსება, სხვადასხვა ზომის მკლავებიანი სვასტიკა, ჯვრის გამოსახულება, რომლის მკლავებს შორის არე ფართო ხაზებით და წერტილებით არის შევსილი და ა.შ. მათ მ. ლორთქიფანიძე, ძვ. ნ. IX-VIII სს-ით ათარიღებს (ლორთქიფანიძე, 1969:26-27). ასევე საინტერესოა სოფ. ძვერში აღმოჩენილი საბეჭდავი, რომელიც ინახება ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში. საბეჭდავი ორმხრივია. სამუშაო ზედაპირზე სხივებიანი სპირალი, მზის სიმბოლოა გადმოცემული, ხოლო მეორე პირზე-სვასტიკა. ეს ნიმუშიც ძვ.ნ. IX-VIII სს-ითაა დათარიღებული (ლორთქიფანიძე, 1969: 27-28). ერთი ცალი კვაშტაში დაფიქსირებული საბეჭდავების მსგავსი ნივთი ბოლოხანს აღმოჩნდა ქ. ქუთაისში, რომელიც ძვ.ნ. V ს-ით თარიღდება.

თავისებური საბეჭდავების ჯგუფებს განეკუთვნება რუსთავში, ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე და წინამინდორში აღმოჩენილი ნიმუშები (ოთხი ცალი). ოთხივე საბეჭდავი დიდი ზომით და ზედმინევით ღრმად „ამოჭრილი“ გამოხატულებით გამოირჩევა. მათ პირებზე დატანილია სხვადასხვა სახის გეომეტრიული გამოსახულებები, როგორცაა შ-ებრი სპირალი, სვასტიკა, კავისებრი სპირალი (წინამინდორის საბეჭდავი), მოხრილმკლავებიანი ჯვარი და სხვ. ისინი გვიანბრინჯაოსა და ადრეკინის ხანითაა დათარიღებული (ლორთქიფანიძე, 1969:28-29, სურ. 20-24).

ძვ.ნ. IX საუკუნიდან, მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით ჩვენში უკვე ქვისა და ბრინჯაოს საბეჭდავები ჩნდება (ლორთქიფანიძე, 1969:31-32). საბეჭდავი სახეს იცვლის არა მარტო მასალისა და ფორმის თვალსაზრისით, არამედ დამუშავებისა და ტექნიკის მხრივაც. ამ ტიპის საბეჭდავები საქართველოში სულ რამდენიმე ცალია აღმოჩენილი. მათგან უნდა გამოიყოს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ნატანებსა და ბორში, (ძვ.ნ. IX-VIII სს), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოდან ურბნისში, ხოვლეში, როქში, სამთავროსა და წალკაში აღმოჩენილი ნიმუშები. ისინი ქრონოლოგიურად ძირითადად ძვ.ნ. IX-VI საუკუნეებს შორის პერიოდით თარიღდებიან (ლორთქიფანიძე, 1969:32).

ამ ტიპის საბეჭდავებზე გეომეტრიულის გარდა უკვე გვხვდება ნატურალისტური მოტივებიც: ცხოველების, ფრინველების, მტაცებელთა და იშვიათად ადამიანის გამოხატულებები, ცალკე ან გარკვეული სცენების სახით. ამავე დროს შესრულების ხარისხი კლებულობს, როგორც მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, ამოჭრილი გამოხატულებები მშრალი სქემის ხასიათს ატარებს (ლორთქიფანიძე, 1969:32). მისი აზრით ეს ძეგლები ძირითადად ადგილობრივი წარმოშობისაა. რიგი მათგანი მცირეაზიური, კერძოდ ხეთური გლიპტიკის გავლენით არის შექმნილი. ამავე დროს ადრეკრეტული კულტურის გავლენა შეიმჩნევა. ზოგიც მესოპოტამიურ გლიპტიკურ ძეგლებს ენათესავება. ასევე შეიმჩნევა კავშირი ურარტულ ძეგლებთანაც (ლორთქიფანიძე, 1969:39).

ჩვენს ძეგლებზე აღმოჩენილი საბეჭდავების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო ნიმუშებია აღმოჩენილი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ამ მხრივ საინტერესო გამოდგა ჯერ კიდევ 1955-1956 წლებში აზერბაიჯანში ქ. ყაზახში, ე.წ. „სა-

რი-თეფეს” ნამოსახლარის გათხრები. აქ აღმოჩენილ ნაგებობას მასალების ხასიათის მიხედვით, გამოხრელები საკულტო დანიშნულებისად მიიჩნევენ. ამ ნამოსახლარზე კერამიკულ ნაკეთობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მრავალრიცხოვანი (სულ 20 ცალი) თიხის საბეჭდავები. ისინი აქ წარმოდგენილია ორი მრგვალი და ოთხკუთხა ფორმით. არის ორმხრივ მრგვალი შტამპიც. მათ სამუშაო ზედაპირზე დატანილ სხვადასხვა სახის გეომეტრიული გამოსახულებების გვერდით გვხვდება ჩვენი ნიმუშების მსგავსად, სვასტიკისა თუ ჯვრის გამოსახულებებიც. ეს საბეჭდავები I ათასწლეულის დასაწყისით თარიღდებიან (Халимов, 1960:68-78). მსგავსი საბეჭდავები აღმოჩენილია მინგეჩაურშიც (Асланов...1950:89; Халимов, 1960:75). შედარებით ადრეულები ჩანან ერევანთან ახლოს-მუხანათ-თეფეს ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მსგავსი საბეჭდავები (Крупнов, 1947:18; Халимов, 1960:75).

საქართველოში, აზერბაიჯანსა თუ სომხეთში აღმოჩენილი თიხის საბეჭდავები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა დროს აღმოჩენილ ნიმუშებთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ინგუშეთში ჯერ კიდევ 1937-1939 წლებში აღხასტინის ნამოსახლარის გათხრებისას აღმოჩენილი წინასკვითური პერიოდის ხუთი საბეჭდავი (Крупнов, 1947: 17; Крупнов, 1960:137, рис.19). ხუთივე საბეჭდავი ფორმით და ზოგჯერ გამოსახულებებითაც მსგავსია ჩვენთან აღმოჩენილი ნიმუშებისა. თუმცა აქაური საბეჭდავების ზედაპირზე ჭარბობს კონცენტრული წრეხაზები, შუაში წრის გამოსახულებით. ცოტა მოგვიანებით, როდესაც დაიწყო ჩრდილო კავკასიის ნამოსახლარების შედარებით ფართო შესწავლა, მომრავლდა საბეჭდავების რიცხვიც. ეს ითქმის ჩეჩნეთში, სერჟენ-იურთის ძველ ნამოსახლარზე გათხრების შედეგად აღმოჩენილ ნიმუშებზე (Мунчаев, 1962:186; Мерперт, 1962:40; Иерусалимская...1963:46) და შედარებით მოგვიანებით იგივე ტერიტორიაზე, 1962, 1963 წლებში დამატებით აღმოჩენილ კიდევ შვიდ საბეჭდავზე (Крупнов, 1965:192-194).

ჩრდილოეთ კავკასიაში ადრე თუ მოგვიანებით აღმოჩენილი საბეჭდავები მეტნაკლებად ერთნაირი ტიპისაა და დიდ სიახლოვეს იჩენენ საქართველოში თუ კონკრეტულად ჩვენთან აღმოჩენილ თიხის საბეჭდავებთან. მათ აქვთ თანამედროვე საკანცელარო ბეჭდების მოყვანილობა. უმეტეს ნაწილს აქვს წრიული, ხოლო მცირე ნაწილს კი - ოვალური მოყვანილობა. მათ ზედაპირზე დატანილია კონცენტრული წრეხაზები - შუაში წრებით, ასევე სპირალისებური ნერტილოვანი, ან ურთიერთგადამკვეთი ჩაღრმავებული ზოლები თუ ჯვრის გამოსახულებები. კავკასიური საბეჭდავები და მათ შორის სერჟენიურტის საბეჭდავები ე. კრუპნოვის აზრით მიეკუთვნებიან I ათასწლეულის დასაწყისს (Крупнов, 1965:195). მათი ფუნქციონალური დანიშნულების განსაზღვრაში ავტორი ეყრდნობა საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებების ანალიზს. მათზე დატანილი რელიეფები დაჰყო ორ ნაწილად. პირველ ჯგუფში გააერთიანა ის საბეჭდავები, რომელთა ზედაპირზე დატანილია ამობურცული გამოსახულებები, ხოლო მეორე ჯგუფში გაერთიანებულია საბეჭდავები, რომელთა ზედაპირზე დატანილია ჩაღრმავებებით შექმნილი გამოსახულებები (Крупнов, 1965:195). ე. კრუპნოვის აზრით პირველი ჯგუფის საბეჭდავები, რომელთაც უცხოური ანალოგების მიხედვით პინტადერებსაც უწოდებს, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ტატუირებისათვის, ხოლო მეორე ჯგუფის საბეჭდავები კერამიკა-



სა თუ ცომეულზე ორნამენტის დატანისათვის. აქვე ე. კრუპნოვს მოაქვს საკმაოდ მდიდარი მონაცემები საერთო კავკასიურ ეთნოგრაფიული ყოფიდან, სადაც ამდაგვარ ხისა თუ ძვლის საბეჭდავებს იყენებდნენ საკულტო პურებზე გამოსახულებების დატანისათვის (Крупнов, 1965:195).

მეტნაკლებად მსგავსი ნიმუშები საბეჭდავებისა ცნობილია რუსეთის სხვა სამხრეთი რაიონებიდანაც (Кругликова, 1952:119; Шеллов, 1959:78).

განსაკუთრებით საინტერესო საბეჭდავებია აღმოჩენილი ტროაში. ისინი ნაპოვნია შლიმანის მიერ XIX ს-ის ბოლოს. მსგავსი ნიმუშები აღმოჩნდა შემდეგაც. ტროაში აღმოჩენილი საბეჭდავები განსაკუთრებით ახლოსაა ჩვენს ეგზემპლიარებთან ორნამენტაციის მიხედვითაც, სადაც ნამყვანია ჯვრის გამოსახულებები (Troia, 1997: 192).

საბეჭდავები, რომლებიც სხვადასხვა მასალისა და ფორმისაა, საკმაოდ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ურარტულ ძეგლებზე. სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, ისინი აქ სამარხებშიცაა ჩაყოლებული. ურარტული საბეჭდავები რომლებიც კერამიკისაგან, ქვისგან თუ ბრინჯაოსაგანაა დამზადებული უმეტესად გირისებრი მოყვანილობისაა. გვხვდება ცილინდრული ან წაკვეთილი კონუსის ფორმაც. მათზე დატანილია სხვადასხვა სიმბოლური ნიშნები, ასევე მზის ბორჯღალა, სიცოცხლის ხე, ანთროპო თუ ზოომორფული გამოსახულებები და სხვა. როგორც აკადემიკოსი ბ. პიოტროვსკი შენიშნავს, საბეჭდავების სამარხებში ჩაყოლება მათ საკულტო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს. რომ ისინი ასრულებდნენ ამულეტების დანიშნულებას. არაა გამორიცხული მათი მეორადი გამოყენებაც, რომ მათ ჰქონოდა სუფთა პრაქტიკული, სამეურნეო დანიშნულებაც. ზოგიერთ მათგანზე დატანილ ნიმუშებს კი გამთხრელის მოსაზრებით უნდა ჰქონოდა მაგიური დანიშნულება სხვადასხვა ბოროტი ძალებისაგან დაცვის მიზნით (Пиотровский, 1950: 70-75; Пиотровский, 1952:45-48).

საკმაოდ საინტერესო მასალები აღმოჩნდა ყარაყუმის მიდამოებში, სადაც არსებობდა ძველი მდინარე მურგაბის დელტა. აქ გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების შესწავლის დროს დაფიქსირდა თიხის, ქვის თუ ლითონისაგან დამზადებული საბეჭდავები (Сарианиди, 1973; Сарианиди, 1975; Сарианиди, 1976:42-68; Масимов, 1976:132-150). აქვე აღმოჩნდა ამავე ეპოქის საბეჭდავ-ამულეტები, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შუააზიური გლიპტიკური ძეგლების შესწავლის თვალსაზრისით (Сарианиды, 1976:42-68; Масимов, 1976:132-150).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, საბეჭდავები, რომლებიც დამზადებულია თიხისაგან და განეკუთვნება შტამპელის ტიპის ჯგუფს. მათ აქვთ, როგორც წესი კონუსისებრი ფორმა. სამუშაო ზედაპირზე დატანილია, სხვადასხვა სახის გეომეტრიული ფორმის გამოსახულებები. ჭარბობს ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები, რომლებიც ზოგჯერ ქმნიან პატარა ზომის კვადრატებს, ან რვაქიმიან ვარსკვლავებს, გვხვდება ვარდულის გამოსახულებებიც. ერთ-ერთ მათგანზე დატანილია ხის გამოსახულებაც. რაც განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის, გვხვდება ჯვრისებრი გამოსახულებები. ჯვრის გამოსახულებები სხვადასხვა ვარიაციებით, განსაკუთრებით ჭარბობს ბრინჯაოს საბეჭდავებზე. ბრინჯაოს საბეჭდავების მეო-

რე ნაწილზე კი გვხვდება ზოომორფული (ფრინველთა, განსაკუთრებით მტაცებელ ფრინველთა, ასევე თხის, თევზის, ლომის და სხვა) გამოსახულებები. საყურადღებოა, რომ ამ ძეგლზე თანადროულ საბეჭდავებზე არ აღმოჩენილა არცერთი ანთროპომორფულ გამოსახულებიანი საბეჭდავი, მაშინ, როდესაც მურგაბში აღმოჩენილი ბრინჯაოს საბეჭდავები თავისი ფორმებით ძალიან გვანან ბაქტრიის გლიპტიკურ ნიმუშებს, ასევე მთიანი კოპეტდალის მასალებს. ვ. სარიანიდის მიერ შედგენილი კარტოგრაფიული მონაცემების მიხედვით ბრინჯაოს საბეჭდავები ამ რეგიონის გარდა გავრცელებული ჩანს საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე-მესოპოტამიიდან მდ. ინდის ტერიტორიამდე (Сарианиды, 1976:42-68).

ჩვენთვის ასევე განსაკუთრებით საინტერესოა მურგაბშივე აღმოჩენილი ქვის საბეჭდავები, თუ საბეჭდავ-ამულეტები. შტემპელის ტიპის საბეჭდავების დიდ უმრავლესობაზე დატანილია ჯვრის გამოსახულება; ასევე ვარდულის გამოსახულებები, რომელიც ყვავილის ან მრავალსხივიანი ვარსკვლავების ფორმითაა წარმოდგენილი. ჯვრის თუ სხვა სახის გეომეტრიული ხასიათის გამოსახულებები გვხვდება აქაურ საბეჭდავ-ამულეტებზეც, რომლებშიც ჭარბობს ცხოველების თუ ფანტასტიკური ან მითოლოგიური გამოსახულებები (Масимов, 1976:137-139). მურგაბის საბეჭდავები, კოპეტდალის, სამხრეთ თურქმენეთის ბაქტრიის და ჩრდილოეთ ავღანეთის ძეგლზე აღმოჩენილი მსგავსი ნიმუშების მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანითაა დათარიღებული (Масимов, 1976:149).

თუ გადავხედავთ აქ და საერთოდ ძველ აღმოსავლურ სამყაროში აღმოჩენილ საბეჭდავებსა თუ სხვა გლიპტიკურ ძეგლებზე დატანილ გამოსახულებებს, მათზე, ძირითადად დატანილია ის სიმბოლოები, რომლებიც ამ ხალხების ცნობიერებასა თუ განსაკუთრებით რწმენა-წარმოდგენებს ასახავს (Сарианиды, 1989:17-25; Комороци, 1981; Сарианиды, 1986; Amiet, 1986; Pottier, 1984). ძველ აღმოსავლურ სამყაროში ამ ტიპის გამოსახულებები ჯერ კიდევ ენეოლითის ხანიდან ჩნდება და თითქმის ყველა შემთხვევაში ამ ხალხების რწმენა-წარმოდგენების სფეროს უკავშირდება (Масон, 1963; Масон, 1964; Сарианиды, 1976:42-68; Сарианиды, 1967:181-186; Масимов, 1981:132-150). ამ ტიპის, განსაკუთრებით ანთროპო და ზოომორფული გამოსახულებები ბაქტრიასა და მარგიანში ჩნდებიან მას შემდეგ რაც ისინი სირია-ხეთური სამყაროდან ვრცელდებიან შუამდინერეთსა და ელამში (Amiet, 1986; Сарианиды, 1989:17-25).

შეიძლება სხვა პარალელების მოტანაც, მაგრამ თუ გადავხედავთ საქართველოსა და განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში აღმოჩენილ გლიპტიკურ ძეგლებს, ისინი როგორც ზემოთაც აღინიშნა, განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული ხეთურ ანალოგიურ მასალებთან, ანუ სირო-ხეთურ გლიპტიკასთან. აგრეთვე აშკარად ჩანს გარკვეული სიახლოვე ადრეკრეტულ საბეჭდავებთან. ზოგიერთ ნიმუშს პროტოტიპები წინა აზიასა და ადრეელადურ მასალებში მოეპოვება. ამასთანავე შეიმჩნევა ადგილობრივი თავისებურებებიც.

მ. ლორთქიფანიძის აზრით, საქართველოში თიხის საბეჭდავები ძვ.წ. VII ს-ის შემდეგ აღარ არის ხმარებაში - ქრება. თუ გადავხედავთ ჩვენთან აღმოჩენილ კარგად დათარიღებულ თიხის საბეჭდავებს, ჩანს, რომ ხეთური და ადრეკრეტული გლიპ-

ტიკის გავლენა ქართულ ძეგლებზე შეინიშნება არამარტო გვიანბრინჯაოს ხანაში (ხოვლე, გუდაბერტყა, ყათნალიხევი, მოლითი და ა.შ.), არამედ იგი ხანგრძლივად არსებობს და აშკარად იგრძნობა ცოტა მოგვიანებითაც, ჩვენთან ქარნალში (ძვ.წ. VII-VI სს), კვამტასა (ძვ.წ. V ს) და მახვილაურში (ძვ.წ. V ს) აღმოჩენილ ნიმუშებზეც. ასე რომ, როგორც სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და ბოლო დროს ქუთაისში მოპოვებული მასალების მიხედვით ჩანს, თიხისაგან დამზადებული საბეჭდავები მოგვიანებითაც აგრძელებენ არსებობას. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ამ ტიპის საბეჭდავები რაოდენობრივად ქარბობენ ლითონისა და ქვისგან დამზადებულ ნიმუშებს.

თავის მხრივ, ხეთური გლიპტიკის მძლავრი გავლენა ფაქტიურად შეინიშნება საბეჭდავების ფორმაზე, მათზე დატანილი ერთი და იგივე სიმბოლური გამოსახულებების განმეორება, მდგრადობა დროის დიდი მონაკვეთით ერთმანეთისაგან დაცილებულ ძეგლებზე, იმდროინდელი აქაური მოსახლეობის სულიერ წარმოდგენათა სიმყარითა და ღრმა ტრადიციებით უნდა აიხსნას. თავის მხრივ ხეთური გლიპტიკის მძლავრი გავლენა, ხშირ შემთხვევაში ერთგვარობა კი მცირე აზიის მოსახლეობისა და ქართველ ტომთა მჭიდრო ურთიერთობების დასტურია საკმაოდ ადრეული ეპოქებიდან, რომლის გავლენებიც შემდგომ საკმაოდ დიდხანს გრძელდება და იგი თავისებურ ასახვას პოულობს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სფეროში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა 2016–2017 წლებში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახვილაურის მეტად საინტერესო გორა-სამოსახლოს გათხრები, სადაც ცალკე გამოიყო კულტურული ფენა, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით თარიღდება. ახალ კულტურულ ფენაში მრავლად იყო წარმოდგენილი წითელი წერნაქით დაფარული სამეთუნეო კერამიკის სხვადასხვა ფორმები, რაც, როგორც ძეგლის გამთხრელები ფიქრობენ, ხათების მიგრაციასთან და აქ ცხოვრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული (ვრცლად იხ. ა. კახიძე, ნ. სურმანიძე, 2019: 44–55; ა. კახიძე, შ. მამულაძე, 2016: 16–17). ანატოლიური ცივილიზაციის უძველესი კონტაქტების ამსახველი მსგავსი არტეფაქტები აქამდე არ იყო ცნობილი, ამიტომაც ამ მონაპოვრების მიმართ ინტერესი განსაკუთრებულია.

აქვე მოკლედ შევჩერდებით ჩვენთან აღმოჩენილი საბეჭდავების აზრობრივ დატვირთვაზე.

რელიგიის ინსტიტუტი ეკუთვნის ყველაზე უნივერსალურ, ყველაზე გავრცელებულ ინსტიტუტს ყველა დროში და ყველა ხალხში დედამიწის ზურგზე. დღემდე არაა მიკვლეული არცერთი ხალხი, რომელიც განვითარების რაც არ უნდა ისეთ დაბალ დონეზე იდგეს, რომელსაც არ ჰქონდა რომელიმე სახის რელიგია. ფაქტიურად, მეცნიერებამ დღემდე არ იცის ისეთი ცივილიზაცია, რომელსაც რელიგიური წარმოდგენები გამოეყოფებინოს (Штернберг, 1936: 241). ასეა ჩვენთანაც. ამიტომ, როგორც ყველგან, ისე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებები გარკვეული აზრის მატარებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. მათ, აშკარად, გამოხატული და ძლიერი აზრობრივი დატვირთვა აქვთ. დაახლოებით ისეთი, როგორც ენას თანამედროვე მეტყველებაში (Топоров, 1972: 40). ამიტომ თითოეული ნიმუში, როგორც მ. ხიდაშელი აღნიშნავს, გააზრებუ-

ლი უნდა იქნეს, როგორც ძეგლი. მათში კარგადაა ასახული ამა თუ იმ ხალხის წარმოდგენები, რომელიც თაობათა მიერ არის შემუშავებული და ჩამოყალიბებული (ხიდაშელი, 2001). ამ გამოსახულებებში კარგად ჩანს არამარტო ამა თუ იმ ხალხის კონკრეტული შეხედულებები, რწმენა-წარმოდგენები, არამედ მათში არეკლილია სხვა კულტურათა გავლენის შედეგად მიღებული და გათავისებული სიმბოლური ნიშნები თუ შესაბამისი წარმოდგენები. შეიძლება ითქვას, რომ საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებები მივიჩნიოთ ამ სიმბოლიკის შემქმნელი და მატარებელი ხალხის კონკრეტული აზროვნების, რწმენა-წარმოდგენების თუ მთელი სულიერი სამყაროს ნივთიერ გამოხატულებად. კარგად არის ცნობილი, რომ არქაული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ერთგვაროვანი, დიდი მატერიალური კულტურების ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელება. ამ კულტურებში გაერთიანებული ძეგლები ხასიათდებიან სტილისტური თუ სიუჟეტური ერთგვაროვნებით. ამგვარ სტილს მკვლევარები უწოდებენ კოლექტიურ, არაცნობიერ, განსაზღვრულ მხატვრულ სტილს, რომელიც ერთგვაროვანია და გამორიცხავს ცალკეული ოსტატების მხატვრულ ინდივიდუალობას. ეს უძველესი ხელოვნება, რომელსაც გამოყენებითი ხასიათი აქვს, განეკუთვნება კოლექტივის სინკრეტული შემოქმედების სფეროს და მისი რიტუალურ-მაგიური პრაქტიკის განუყოფელ ნაწილს შეადგენს (Иванов, 1973: 8). ასე რომ სიმბოლო პირველ რიგში დაფუძნებულია სინამდვილის ცოცხალ განჭვრეტაზე. ის არის მისი ასახვა. იგი ფუნქციონირებს არა იზოლირებულად, არამედ ყოველთვის აუცილებელია, როგორც მაჩვენებელი რაღაც განსაკუთრებულის, როგორც თვითონ არის (Иосев, 1991: 248-249). მოკლედ რომ ვთქვათ, სიმბოლოში, ჩვენ შემთხვევაში, საბეჭდავებზე დატანილ გამოსახულებებში არის ყველაფერი ის, რაც ახასიათებს აბსტრაქტულ აზროვნებას. სამართლიანად შენიშნავდა რ. არნხეიმი, როცა აღნიშნავდა, რომ ეს ხელოვნება ცალკეული ხატების, სიმბოლოების საშუალებით მატერიალურ, ხელშესახებ სახეს აძლევდა იმას, რაც უხილავი იყო, საკრალური და ამით ადამიანი სულიერ სამყაროში შეჰყავდა. გარდა ამისა არქაული ხელოვნების ძეგლებზე დატანილი გამოსახულებები რეალურად არსებულის მაგივრობას სწევდნენ. ამით ეს ხელოვნება თავის უმთავრეს ამოცანას ასრულებდა - აღბეჭდავდა სამყაროს, მაგიურად მოქმედებდა გარემოზე, ამავე დროს გადმოსცემდა ზუსტ ინფორმაციას (Археѣм, 1974: 132). ასე რომ კანონზომიერება თვით დატანილ პლასტიკაშია, როგორც იტყვიან სული საგანშია და არა მის მიღმა, შორეულ შინაარსში. ასეთი ხასიათისაა წარმართული რელიეფი, ბალთების პლასტიკა, ორნამენტული დეკორი, ფოლკლორული სახეები და სხვა. ასეთი იყო ქართული დარბაზის დედაბოდის მზე-ბორჯღალი, ან თუნდაც კერის ცეცხლი, ვითარცა მზე-ღვთაების განსახიერება, მისი „ჰიპოსტაზი“ (სირაძე, 1987: 6-7). ამიტომაც საბეჭდავების ფუნქციონალური დანიშნულების განსაზღვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათზე დატანილი გამოსახულებების სწორ ახსნას, ინტერპრეტაციას. ეს კი საშუალებას მოგვცემს, ამა თუ იმ ხალხის და კონკრეტულად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების და საერთოდ მათ ცნობიერებაზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად.

მოკლედ ჩვენთან აღმოჩენილ საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებების შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა, კვაშტის მონაპოვარში წარმოდგენილი დისკოსე-ბურ ნივთებზე დატანილი წრიული გამოსახულებები. მეორეს მხრივ საკუთრივ საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებებიც წრის შიგნითაა მოქცეული და სინამდვილეში ჩაკეტილ სივრცეს განასახიერებს. წრიული გამოსახულებების ორნამენტულ ფორმებს უამრავი სახეცვლილებები აქვს. ისინი საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი როგორც წინა აზიის, ისე კავკასიური სამყაროდან (ვრცლად იხ. ხიდაშელი, 2001: 62-86). დისკოსებრი გამოსახულებები საკმაოდ ბევრია ტრიპოლიეს ენეოლითურ ჭურჭლებზეც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ კულტურაში თითქმის ყველაზე მეტი გამოსახულებებია იმ სიმბოლოებისა, რომელიც მზეს შეესატყვისება. აქ მზე უმთავრესად ერთი ან რამდენიმე კონცენტრირებული წრითაა წარმოდგენილი, რომელთა შიგნითაც ხშირად ჯვარია გამოსახული (Рибакoв, 1965: 24-47; Рибакoв, 1965: 13-33). კვირისტავი, ბორბალი და სხვა მსგავსი გამოსახულებები, ყველა ხალხში მზის სიმბოლოს წარმოადგენდა. ამ ტიპის გამოსახულებები ე.წ. „მაგიური წრე“, აღნიშნავს კ. იუნგი, ესაა მზის ბორბალი, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში თავად ბორბლის გამოგონებამდე უფრო ადრე გაჩნდა (Юнг, 1955: 218). სოციოკოსმოგონიაში, რომელსაც ძირითადად არქაულ კულტურაში ვხვდებით, წრიულობა სოციუმის ჩაკეტილ სივრცეს განასახიერებს, სადაც ყოველივე სულიერი თუ უსულო წრის შიგნით არსებული სოციუმის „შინაა“, ხოლო წრის გარეთ არსებული „გარე“. ეს წრიულობა კოსმიურ ნყოფას შეესაბამება და უკვე კოსმოგონიურ მითებში ახალ მსოფლმხედველობას იძენს (Левин, 2001: 105-137). მ. რაულის აზრით, ნერბრუნვა, ტრიალი, რაც წრის დინამიურ განსაზღვრებას წარმოადგენს, რიტუალსა და ხელოვნებაში, წარმოშობს მაგიურ ძალას, მათ შორის დამცავ ძალას, რადგანაც ქმნის ხელშეუხებელ ტერიტორიას - წრეს (Керлот, 1994).

საბეჭდავების ნაწილზე დატანილია სიცოცხლის ხის გამოსახულება. იგი მსოფლიო ხის სახის ერთ-ერთი ვარიანტია. ის განასახიერებს მითოლოგიურ წარმოდგენებს სიცოცხლის შესახებ (Топоров, 1972:93-96). კოსმიური ხე ხანგრძლივი დროის განმავლობაში განასახიერებდა არქაული ადამიანის მიერ შექმნილი სამყაროს მოდელს, რის გამოც დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა უძველესი ხელოვნების წამყვან თემას (ხიდაშელი, 2001:63). იგი გადმოგვცემდა სამყაროს დინამიურ, ვერტიკალურ სტრუქტურას, სადაც დაფიქსირებული იყო ზესკნელის, შუასკნელისა და ქვესკნელის არსებობა. ამავე დროს მასში აისახებოდა თავად ხე და ის ობიექტები, რომლებიც მის ოთხივე მხარეს იყვნენ განლაგებულნი. თვით კოსმიური ხის „აღმართვა“, ნიშნავდა იმას, რომ შეწყვეტილია ქაოსი და სამყაროს ნაწილებს შორის დამყარებულია ყველა შესაძლო კავშირები (Топоров, 1972:93-96). მსგავსი გამოსახულებებიც მრავლადაა ცნობილი სხვადასხვა ხალხების და მათ შორის კავკასიური სამყაროს სხვადასხვა ეპოქის ნივთიერი კულტურის ძეგლებიდან. სიცოცხლის და ნაყოფიერების ხის მოტივი კი ჩვენში შუაბრინჯაოს ხანიდან ვრცელდება. იგივე გვევლინება სათემო და სატომო ნაყოფიერების ღვთაებად (კიკვიძე, 1976: 196). მან ფართო გავრცელება უფრო გვიან, მეორე ათასწლეულის დასასრულისათვის ჰპოვა და მალე იგი ყოველი ღვთაების ერთადერთ სიმბოლოდ იქცა. სიცოცხლის ხეც სატომო ღმერთის სიმბოლოდ უნდა ქცეულიყო (კიკვიძე, 1976:195). ეს ბუნებრივია,

როგორც ი. კიკვიძე შენიშნავს, ჯერ ერთი, იგი ნიადაგიდან არის აღმოცენებული და ამ ნიადაგის ნაყოფიერების სიმბოლური განსახიერებაა. მეორეც, თვით არის ნაყოფის მომცემი. მესამეც, ფოთოლცვენითა თუ შემოსვით, თითქოსდა, ბუნების სიკვდილ-სიცოცხლეს გამოხატავს, ან მარადმწვანობით-სიცოცხლის უსასრულობას და ა.შ. (კიკვიძე, 1976: 192). ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებული იყო სიცოცხლის ხის ადგილი ქართველი ტომების რელიგიურ წარმოდგენებში, მითებსა და სიმბოლიკაში. მისი გავლენები თითქმის ჩვენს დრომდე აღწევს. ეს კარგად ჩანს ისტორიულ ჭანეთ-ლაზეთსა (ხოფა, არხავი, რიზე...) და შავშეთ-იმერხევეში დღემდე შემორჩენილ საცხოვრებელ ნაგებობებში არსებული ე.წ. ლაზური სიცოცხლის ხის გამოსახულებების სიმრავლითაც.

ჩვენთან აღმოჩენილი საბეჭდავების ყველაზე დიდ ნაწილზე ჯვარია გამოსახული. საქართველოში ჯვრის გამოსახულებანი დადასტურებულია არა მარტო ადრეკლასობრივი, არამედ წინაკლასობრივი ხანის ძეგლებზე: თრიალეთში (Куфтин, 1941: 85, таб. XXIV), ცხინვალის ნაცარგორაზე (გობეჯიშვილი, 1956: 256), ხოვლედან (მუსხელიშვილი, 1978) და სხვა. იგი ადრიდანვე (ენეოლითი) თავს იჩენს მინათმოქმედი ხალხების ნივთიერ კულტურაში (Хлопин, 1962: 14-21; Массон, 1963: 19-20). ჯვრის გამოსახულებანი და ჯვრის პრინციპზე აგებული კომპოზიციები, ასევე მრავლად გვხვდება სამხრეთ ამიერკავკასიის და წინა აზიის ადრემინათმოქმედი ტომების მატერიალური კულტურის ძეგლებზე (ხიდაშელი, 2001: 62,86) და სხვაგან. მათზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ისე კი აღვნიშნავთ, რომ ამ ტიპის სიმბოლო-ნიშნები არსებობას განაგრძობს მომდევნო პერიოდშიც და როგორც ჩანს, წარმოადგენდა დროისა და სივრცის შეცნობის ძირითად პრინციპს, რომელიც აზროვნების ყველა სფეროში ვლინდება და მათი გადმონაშთები თითქმის უკანასკნელ ხანამდე შემონახა ხალხურმა კულტურამ.

რაც შეეხება ჯვრის წარმოშობასა და შინაარსს, ამის თაობაზე მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. მათ შესახებ აქ ჩვენ აღარ შევჩერდებით. ისე კი ყველაზე გავრცელებული შეხედულებაა, რომ იგი ქვეყნიერების ოთხი მხარის ნიშანია. ი. სურგულაძის აზრით, ჯვარი, როგორც კოსმოგენიური ნიშანი, არქაული დროისაა და სივრცის თავისებური გააზრების შედეგად იყო შექმნილი. იგი ყველაზე სრულად ასახავდა ადამიანის უმარტივეს შეხედულებებს სამყაროზე. ჯვარი ყოველთვის გულისხმობდა ერთი მხრივ სამყაროს ცენტრს, ხოლო მეორე მხრივ გადმოგვცემდა სამყაროს მთლიანობის იდეას, წარმოაჩენდა მის აგებულებას მის, როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ სტრუქტურას, მიანიშნებდა ოთხი მთავარი მიმართულების არსებობაზე. ამიტომაც გადაიქცა იგი ქვეყნიერების აღმნიშვნელ განზოგადებულ კოსმოგონიურ ნიშნად (სურგულაძე 1986: 54; 1993: 62-69).

საბეჭდავებზე დატანილი გამოსახულებების აზრობრივ დატვირთვაზე ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. რაც შეეხება მათ ფუნქციონალურ დანიშნულებას, ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებებია.

მ. ლორთქიფანიძე შეისწავლის რა აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით ხოვლეგორზე აღმოჩენილ საბეჭდავებს, აღნიშნავს, რომ ზოგიერთი საბეჭდავი ჭურჭლის სატვიფრავს წარმოადგენს (ლორთქიფანიძე, 1969: 29). ე.წ. საბეჭდავი-ტ-

ვიფარი, რომლის ძირითადი ფუნქცია საბეჭდავი იყო, საერთო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო და არა პერსონალური. ამ ტიპის საბეჭდავები თემის საერთო საზიარო საკუთრებას შეადგენდა. ასევე გვარსაც ერთი საზიარო საბეჭდავი უნდა ჰქონოდა. იგი გარკვეული პირის გამგებლობაში იმყოფებოდა, რომელსაც გარკვეული მოვალეობა-ბეჭდვა ეკისრებოდა. საბეჭდავების გარკვეული ნაწილი სათავსოებისა და ჭურჭლის დასაბეჭდად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. აგრეთვე იმ ქონების დასაცავად, რომელიც ტაძრის საკუთრება იყო. მ. ლორთქიფანიძის აზრით, საბეჭდავის ყოფაში შემოსვლა ხსენებულ პერიოდში, ჩვენში ერთგვარად „ეკონომიკურმა“ მხარემ განაპირობა - გარკვეული დოვლათისა და ქონების დაგროვება, რომელიც თემისა და გვარის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა (ლორთქიფანიძე, 1969: 30). ვფიქრობთ, პირადი საბეჭდავის გაჩენა კერძო საკუთრების განვითარებას უკავშირდება და იგი მდიდართა კუთვნილებად უნდა ქცეულიყო. როგორც ჩანს, საბეჭდავი მისი ძალაუფლების, მისი განსაკუთრებულობის და განსხვავებულობის ნიშანიც უნდა ყოფილიყო.

ძველ აღმოსავლეთში მსგავსი ნიმუშები, თუ მათი ნატეხები ბლომადაა აღმოჩენილი და წარმოადგენენ, როგორც ნიშანს საკუთრებისას (Вулли, 1961: 39; Крупнов, 1965: 194). კავკასიური და მათ შორის ჩვენთან აღმოჩენილი საბეჭდავებიც მიეკუთვნებიან უფრო მოგვიანო პერიოდს. კავკასიური საბეჭდავების ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული კრუპნოვს. მისი აზრით ის საბეჭდავები, რომელთა ზედაპირზე დატანილია ამობურცული გამოსახულებები გამოყენებული უნდა ყოფილიყო ტატუირებისათვის (Крупнов, 1965: 195). ჩვენს ძეგლებზე აღმოჩენილი საბეჭდავების ერთი ნაწილიც ამობურცულზედაპირიანია. ისინი მორფოლოგიურად ახლოს არიან კავკასიურ თუ სხვა ძეგლებზე აღმოჩენილ ნიმუშებთან და შეიძლება გაერთიანდნენ ერთიანი სახელწოდების ქვეშ, რომელსაც პინტადერები ეწოდებათ, მითუმეტეს, თუ გადავხედავთ წერილობით წყაროებსაც ტატუირების ტრადიცია დამახასიათებელი ჩანს მოსინიკებისთვისაც, რომლის შესახებაც მიგვითითებს ქსენოფონტე. აღნიშნული წესის შესახებ კავკასიის ხალხებში მოგვითხრობენ შედარებით მოგვიანო პერიოდის ანტიკური ხანის ავტორებიც - დიოდორე სიცილიელი, პომპონიუს მელა, პლინიუს სეკუნდუსი და სხვები. ასეთი თიხის შტამპები გავრცელებული იყო ამერიკელი ინდიელებისა და მექსიკელების ყოფიერებაში ტატუირებისათვის გვიან შუასაუკუნეებამდე. ეს წესი კავკასიაში შემორჩენილი იყო XX საუკუნის დასაწყისისთვისაც კი. ამაზე მიუთითებს ა.მ. დირა, რომელსაც 1904 წელს პირადად უნახია დალესტანში სოფ.ხოჯალმახში და ვიხულში ტატუირებული ქალები და სხვა. იგივე კრუპნოვის მოსაზრებით, მეორე ტიპის საბეჭდავები, რომელთაც აქვთ ჩაღრმავებული გამოსახულებები, სრულებით გამოუსადეგარია ტატუირებისათვის. ისინი მისი აზრით შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო ორნამენტის დატანისათვის კერამიკასა და ცომეულზე (Крупнов, 1965: 195-197). თანადროულ კერამიკულ ნიმუშებზე, როგორც სხვაგან, ისე ჩვენთანაც ასეთი ორნამენტის დატანის ტრადიცია არ ჩანს. ასე, რომ უფრო სავარაუდოა ამ ტიპის საბეჭდავების გამოყენება ცომეულზე, საკულტო პურებზე გამოსახულებების დატანისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრება აქვს

გამოთქმული პროფ. დ. ხახუტაიშვილსაც. მისი აზრით უფლისციხეში ყათნალიხევის წინაანტიკური ხანის გორა-სამოსახლოზე აღმოჩენილი საბეჭდავების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო სანესო ნამცხვრის-სპეციალურად შესანიშნავი პურების დასატვიფრად გამოყენება (ხახუტაიშვილი, 1964: 30). მკვლევარის აზრით, წარმართულ დღესასწაულებთან დაკავშირებული სანესო პურების გამოცხობა სალოცავში (ხატში) არსებულ ღუმელში წარმოებდა, ხოლო ნამცხვარზე სასურველი გამოსახულებების დატანა ე.წ. „საბეჭდავებით“ ხდებოდა (ხახუტაიშვილი, 1964: 31, ტაბ. XIII, 4,6). მართლაცდა საკულტო პურებზე გამოსახულებების ფაქტები კარგადაა დამტკიცებული და დადასტურებული კავკასიის ეთნოგრაფიულ ყოფაში. მაგალითად ხევსურები და კავკასიის სხვა ხალხები იყენებდნენ ისეთი ხის თუ ძვლის საბეჭდავებს პურის ორნამენტაციისათვის (Бардавелидзе... 1939:149; Бардавелидзе, 1957: 43; ბარდაველიძე, 1953: 57-65), რომლებიც თავისი ფორმით ახლოსაა არქეოლოგიურ სინამდვილეში აღმოჩენილ ნიმუშებთან. გარდა ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული მაგალითებისა, ამ მოსაზრებას, რომელსაც რამდენადმე ჩვენც ვემხრობით, მხარს უჭერს ბოლო წლების არქეოლოგიური მონაპოვრებიც. მხედველობაში გვაქვს ჭვანის (ტაკიძეების) განვითარებული შუა საუკუნეების ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ ტიპის მასალები. საქმე იმაშია, რომ ციხის შიდა ტერიტორიაზე აღმოჩნდა თონეები, რომელთა ნაწილის შიდა ზედაპირი სადაა, ხოლო ნაწილის კი დაფარულია სხვადასხვა სახის ორნამენტით. ამ ტიპის თონეების შიდა ზედაპირზე საბეჭდავით დატვიფრულია წრიული ფორმის ნაჭდევი ბადურა ორნამენტი, რომელიც შიგნით კვადრატებს იძლევა (ტაბ. V), ხოლო მეორე ნაწილზე კი-რვაფურცლიანი ვარდულებია (ტაბ. V) (მამულაძე, 1993; მამულაძე, 2010: 91-99). საინტერესოა, ისიც, რომ ორნამენტაციის ეს მოტივები გვხვდება ადრეული ეპოქების საბეჭდავებზეც, როგორც ჩვენთან, ისე ჩვენი ქვეყნის გარეთაც. 1961 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს ყათნალიხევის VI ჰორიზონტში გამოვლენილ „ცხვრის თავებიან ოთახში“ აღმოჩენილ იქნა ძვ.წ. XIII საუკუნით დათარიღებული თიხის წრიული ფორმის კოშტი, რომელზედაც ხუთფურცლიანი ვარდულია დატანილი (ლორთქიფანიძე, 1969: 16). განსაკუთრებით საინტერესოა ანალოგიური მოტივით შემკული კრეტას-ვროკასტროში მოპოვებული საბეჭდავი (Matr, 1928: 227). მასზეც ზუსტად ისეთივე ვარდულია დატანილი, როგორც ჭვანის თონეების შიგა ზედაპირზე. ვარდული იქაც და აქაც რვაფურცლიანია. იგი როგორც ცნობილია, წარსულში ცისკრის ვარსკვლავის სიმბოლო იყო და საერთო ასტრალურ იდეას კი არა, არამედ კონკრეტულ ციურ ღვთაებას განასახიერებდა (კიკვიძე, 1976: 190). ვფიქრობთ, გარდა იმისა, რომ ეს ვარდულები ხელს უწყობდა პურის გუნდის თონის კედელზე დამაგრებას, მათ ესთეტიკურის გარდა, გააჩნდათ რიტუალური ღირებულებებიც. ე.ი. შესაძლებელი ხდებოდა ნამცხვარზე, რომელიც, როგორც ჩანს, შესანიშნავად იყო განკუთვნილი, ძველი ტრადიციული ორნამენტული მოტივების დატანა. პურებისა თუ სხვა ნამცხვრეულის შეწირვის ფაქტებმა, სათანადო რიტუალების შესრულების შემდეგ, თითქმის ჩვენ დრომდე შემოინახა თავი. ამის უამრავი მაგალითია დამონმებული როგორც აჭარის, ისე ისტორიული ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის ყოფასა და კულტურაში (მამულაძე, 1993: 42-56; მამულაძე, 2016: 45-87). ახლახანს, აღმოჩნდა მაღალმთიან



აჭარაში დღემდე შემორჩენილი ხის საბეჭდავები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა ამ ტიპის პურებსა თუ სხვა სახის ნამცხვრეულზე ორნამენტის დატანისათვის იყენებდა (ცნობა მოგვანოდა ეთნოგრაფმა თ. ტუნაძემ, რისთვისაც მადლობას ვუხდით). ასევე მაღალმთიან აჭარაში დღემდეა შემორჩენილი შედარებით ხანგრძლივი დროით (განსაკუთრებით ზამთრისათვის) შესანახ რძის პროდუქტებზე სხვადასხვა სახის ორნამენტის დატანის წესი. ალპურ საძოვრებზე, როდესაც ხის კოლოფებში, კაპინებში ან სხვა დიდი ზომის ჭურჭელში აგროვებენ რძის პროდუქტებს ზამთრისთვის, მათ ზედაპირზე დააქვთ სხვადასხვა ფორმის (უფრო მეტად კონცენტრული წრეები, ჩახვეული სპირალი, ვარდული და სხვა) გამოსახულებები. როგორც ჩანს, ეს წესი იმ ძველისძველი რწმენა-წარმოდგენების გამოძახილი უნდა იყოს, რომლის მიხედვითაც, დატანილ გამოსახულებებს უნდა დაეცვა ჭურჭელი თუ შიგთავსი პროდუქტი ხელყოფისაგან. როგორც მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს ძველად მათ ხომ ისეთივე დანიშნულება ჰქონდათ, როგორც ავგაროზებს (ლორთქიფანიძე, 1969: 23-24). ბეჭდის დასმა ტაბუს უდრიდა და ამიტომ ერთგვარად საკუთრების უფლების აღიარებასაც ნიშნავდა. შემდეგ საბეჭდავი ინდივიდის ნივთების დასადამლავად გამოიყენებოდა, რათა დაეცვა ისინი ავი თვალისაგან. ამ მიზნით თიხის საცობები იბეჭდებოდა, ასევე ამფორები თუ ქვევრები ღვინით და ა.შ. (Чаильд, 1959: 176) მსგავსი წესი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ძველ ტრადიციებში მრავლადაა დამოწმებული, რომლის შესახებაც აქ ჩვენ საუბარს აღარ გავაგრძელებთ. მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში წარმართულმა რელიგიურმა გადმონაშთებმა, რომ თითქმის დღემდე შემონახა თავი, ამას ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ მასალებთან ერთად რამდენადმე ადასტურებს სხვა არქეოლოგიური მონაცემებიც. როგორც ზემოთაც აღინიშნა, კვამტის ანტიკური ხანის ნამოსახლარის ტერიტორიაზე გათხრების დროს აღმოჩნდა დისკოსებური ფორმის ნივთები. საინტერესოა დისკოსებურ ნივთებზე დატანილი წრიული გამოსახულებები. ორნამენტის ამ ფორმას უამრავი სახეცვლილება აქვს და საკმაოდ მრავლადაა ისინი აღმოჩენილი, როგორც წინა აზიიდან ისე კავკასიური სამყაროდან (ხიდაშელი, 2001: 62-86). ამ ტიპის გამოსახულებები ე.წ. „მაგიური წრე“, ესაა მზის ბორბალი, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში თავად ბორბლის გამოგონებამდე უფრო ადრე გაჩნდა. ამის გარდა, მაგიური წრე, მისი თავდაცვითი ფუნქციის გამო დედის არქეტიპთანაც ჩანს დაკავშირებული (Юнг, 1955: 218). ე. ჰანის მიხედვით კვირისტავის ფართოდ გავრცელების მიზეზი ისაა, რომ პირველყოფილი კოსმოგონიური რწმენების პირობებში იგი მზის სიმბოლოს წარმოადგენდა. მას ბორბალი უშუალოდ კვირისტავიდან წარმოშობილად მიაჩნია - ორი კვირისტავი ჯოხით დაუკავშირდა ურთიერთს და ეს პრინციპი დაედო საფუძვლად ბორბლიანი ეტლის იდეას. ფერერიც თვლის, რომ ბორბალი გახვრეტილი და ღერძზე წამოცმული მზის დისკოა (გეგეშიძე, 1958: 136). აღსანიშნავია, რომ მსგავსი ნიმუშები ჭვანის (ტაკიძეების), დარჩიძეების ციხისყელის, თხილვანის განვითარებული შუასაუკუნეების (XI-XIII სს) ძეგლების გათხრებისასაც დაფიქსირდა (მამულაძე, 1993: 68-69). ისინი სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიდანაა დამზადებული. მათ კუთვნილებას განვითარებული შუასაუკუნეებისადმი უდაოს ხდის ის გარემოება,

რომ დისკოები სწორედ ამ ეპოქის სადა თუ მოჭიქული კერამიკის ჭურჭელთა ფრაგმენტებისაგანაა დამზადებული. მათთან ერთად გვხვდება რკინის პატარა ზომის ბურთულისებრი ფორმის გახვრეტილი საგნებიც.

ამ ტიპის მასალებიც ადრეული ეპოქებიდანაა ცნობილი. ისინი საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა უფლისციხეში, ყათნალიხევის ნამოსახლარის გათხრებისას. როგორც ძეგლის გამთხრელი, პროფ. დ. ხახუტაიშვილი მიუთითებს ათეულობით დისკოსებურ საგნებთან ერთად აღმოჩენილი კევრის გაცვეთილი კოხები, სალესი ქვები, ობსიდიანის ანატკეცები, ურმის თვლის თიხის მოდელი, ასევე სხვადასხვა ცხოველების (ხარის, თხის...) ფიგურები და ა. შ. აშკარად შესანიშნავი საგნებია (ხახუტაიშვილი, 1964:24). ობსიდიანისაგან დამზადებული მსგავსი დისკოს საგნები აღმოჩენილია ჯერ კიდევ თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთ ყორღანში. ბ. კუფტინს სათანადო პარალელური მასალის საფუძველზე მითითებული აქვს, რომ მთის ბროლისაგან დამზადებული კრეტული დისკოების (ძვ.წ. 1600 წლის ახლო ხანა) მსგავსად, თრიალეთური დისკოებიც ხის საგნების საინკრუსტაციოდ იყო გამოყენებული. მსგავსი დისკოები ტროა II-დანაც არის ცნობილი, სადაც ერთ-ერთ კომპლექსში 40 ცალზე მეტი ასეთი საგანი იყო აღმოჩენილი (Куптин, 1949:17-18). ისეთი ჭურჭლები, რომლებზედაც დისკოსებური გამოსახულებებია დატანილი, ან კიდევ დისკოებია აღმოჩენილი (Рыбаков, 1965:24-47), ბლომად გვხვდება ტრიპოლიეს ენეოლითური კულტურის მასალებშიც (Рыбаков, 1965:13-33).

ცხინვალის ნაცარგორას II ფენაში (ძვ.წ II ათასწლეულის მეორე ნახევარი) აღმოჩენილი ცხოველის ფიგურებს გ. გობეჯიშვილიც ასევე „შესანიშნავი საგნების“ ჯგუფში აერთიანებს და ფიქრობს, რომ ამით აიხსნება მათი ფორმის ულახათობა და ზედაპირის უგულისყურო დამუშავება (გობეჯიშვილი, 1951:248-249).

უფლისციხის შიდა ქალაქში თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებიდან დამზადებული მსგავსი საგნები გვიანშუასაუკუნეების ფენაშიც იქნა დადასტურებული (ხახუტაიშვილი, 1964: 24).

დიდი რაოდენობითაა ცნობილი ამ ტიპის მასალები ჟინვალის ნაქალაქარის ტერიტორიიდან. ისინი აქ ძირითადად მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებისაგანაა დამზადებული (09.XVIII-79-14; 09.XVII-79-57; 09.XVII-78-16; 09. XVII-78-169 და ა.შ). დისკოს ფორმის საგნების დანიშნულების გარკვევა ვ. ბარდაველიძის ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით სცადა პროფ. დ. ხახუტაიშვილმა (ხახუტაიშვილი, 1964: 24-26). ვ. ბარდაველიძეს მითითებული აქვს, რომ საზოგადოდ რგოლისებრი საგნების „სინმინდის“ რწმენა ჩვენში უძველესი ხანიდან უნდა მომდინარეობდეს (ბარდაველიძე, 1941: 19-20). მას დადასტურებული აქვს, რომ სვანეთში ფარის თემში მდებარე ერთ-ერთ გორაკზე არსებობს მზის ღვთაება ბარბალეს სალოცავი, სადაც წინათ ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ხატის ნაგებობა მდგარა. სალოცავის ტერიტორიის ერთ-ერთ კუთხეში დისკოს ფორმის გახვრეტილი ნივთების დიდი რაოდენობა ყოფილა თავმოყრილი. გაირკვა, რომ როცა სვანის ოჯახში უშობელი ხბოს მოიგებდა, მწველავი ქალი კვირისტავს მოძებნიდა, ან მსგავს საგანს ფიქალი-სა თუ კირქვისაგან გამოთლიდა, ძროხის ჯიქანს ქვეშ შეუშვერდა და ცალი ხელით

ისე ჩამონველიდა, რომ რძის ჭავლს დისკოს ნახვრეტში გაევილო. ამის შემდეგ კვირისტავს და საგანგებოდ გამომცხვარ ყველისგულიან კვერს ბარბალეს სალოცავში წაიღებდა და შესწირავდა; თანაც სათანადო მავედრებელ ლოცვებს წარმოთქვამდა (ბარდაველიძე, 1941:19-20). ყველგან ქართველ ტომებში, აღნიშნავს ვ. ბარდაველიძე, ბარბალე წარმოდგენილია, როგორც ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაება. ამასთანავე მთიან მოსახლეობაში (სვანეთი, ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი და როგორც ჩანს აჭარის მთიანეთი და სხვა) ბარბალეს უმთავრესად მესაქონლეობის და ნაწილობრივ მიწისმოქმედების ღვთაებად მიიჩნევენ; ასევე მდედრობითი საქონლისა, საერთოდ მდედრობითი სქესის არსებათა ნაყოფიერებისა და გამრავლების ღმერთად წარმოუდგენიათ (ბარდაველიძე, 1941:42-43). ამავე დროს, დისკოს ფორმის საგნები, როგორც ცნობილია, ასტრალურ ღვთაებათა (მზის, მთვარის) ერთ-ერთ სიმბოლოსაც წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, შეიძლება მოგვიანო პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილი დისკოსებრი საგნები ამჟღავნებს გარკვეულ კავშირს დიდი დედა ნანას (მზექალი, ბარბარე) კულტთან და ისინი სანესო-რიტუალური საგნების ჯგუფში უნდა გაერთიანდეს. ასეთია მოკლედ ის ნივთიერი მასალა, რომელიც აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ამ მეტად საინტერესო რეგიონში.

## ლიბრაბურა

1. **ბარდაველიძე, 1953:** - ბარდაველიძე ვ., ქართული (სვანური) სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილისი
2. **გობეჯიშვილი, 1951:**-გობეჯიშვილი გ., სტალინირის ნაცარგორა// „მომხილველი“ II, თბილისი
3. **გოგიტიძე, 1978:** - გოგიტიძე ს., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი
4. **გეგეშიძე, 1958:** - გეგეშიძე გ., ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბილისი
5. **ვახუშტი, 1941:** - ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი
6. **თანდილავა, 1974:** - თანდილავა ზ., ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში// სდსზ I, თბილისი
7. **თოფურია, 1942:** - თოფურია ვ., ქვაჯვარნი საქართველოში//მსკი, ნაკვეთი IV, თბილისი
8. **კახიძე... 2019:**-კახიძე ა. სურმანიძე ნ., მახვილაურის გორა-სამოსახლოს არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი პროტოხეთური კერამიკა// საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი
9. **კახიძე..., 1993:** - კახიძე ა, მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი
10. **კახიძე..., 2016:** - კახიძე ა, მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი
11. **კიკვიძე, 1976:** - კიკვიძე ი., მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბილისი
12. **ლორთქიფანიძე, 1969:** - ლორთქიფანიძე მ., ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი I, თბილისი
13. **მამულაძე, 1993:** - მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი
14. **მამულაძე, 2010:** - მამულაძე შ., ახალი მასალები საბეჭდავების ფუნქციური დანიშნულების ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისათვის// კსძ, გვ.91-99 თბილისი
15. **მამულაძე, 2010:** - მამულაძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი რწმენა-წარმოდგენები და კავკასიურ-აღმოსავლური სამყარო// ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, საერთაშორისო კონფერენციის მასალები II, გვ.400-407, ბათუმი

16. **მგელაძე..., 2009:** - მგელაძე ნ, ტოტოჩავა გ., ვეშაპის კულტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და ვეშაპოიდების შესწავლის ისტორიისათვის// ამმ II, ბათუმი
17. **მელიქსეთ-ბეგი, 1938:**- მელიქსეთ-ბეგი ლ., მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი
18. **მუსხელიშვილი, 1978:** - მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბილისი
19. **ნოლაიდელი, 1935:** - ნოლაიდელი ჯ, ნარკვევები და ჩანაწერები I, ბათუმი
20. **სირაძე, 1987:** - სირაძე რ., ლიტერატურულ ესთეტიკური ნარკვევები, თბილისი
21. **სურგულაძე, 1986:** - სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი
22. **სურგულაძე, 1993:** - სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი
23. **ჩიქოვანი, 1956:** - ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ისტორია, თბილისი
24. **ხახუტაიშვილი, 1964:** - ხახუტაიშვილი დ., უფლისციხე I, თბილისი
25. **ხიდაშელი, 2001:** - ხიდაშელი მ., სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბილისი
26. **Арнхейм, 1974:** - Арнхейм Р., Искусство и визуальное восприятие, Москва
27. **Асланов..., 1950:** - Асланов Г., Ваидов Г., Ионе Г. Древний Мингечаур, Баку
28. **Бардавелидзе..., 1939:** - Бардавелидзе В., Читая Г. Хевсурский орнамент, Тбилиси
29. **Бардавелидзе, 1957:** - Бардавелидзе В. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тбилиси
30. **Вулли, 1961:** - Вулли Л. Ур халдеев, Масква
31. **Есаян..., 1988:** - Есаян С.А., Калантарян А.А. Археологические раскопки в Армении, Ереван
32. **Иванов, 1973:** - Иванов В.В., очерки по истории семиотики, Москва
33. **Иерусалимская... 1963:** - Иерусалимская А.А., Козенкова В.И. Крупнов Е.И. Древние поселения у с. Сержен-юрт в Чечно-Ингушетии,- КСИА, вип. 94, Москва
34. **Керлот, 1994:** - Керлот Х.Э., Словар символов, Москва
35. **Комороци, 1981:** - Комороци Г.К., символика дерева и искусстве Древнего Двуречья.- Древний Восток и мировая культура, Москва
36. **Куфтин, 1941:** - Куфтин Б.А., Археологические раскопки в Триалети, Тбилиси
37. **Кругликова, 1952:** - Кругликова И.Т., Глиняный штамп из Кимерика.-КСИИМК, вип. XLIII, Москва

38. **Крупнов, 1947:** - Крупнов Е. И., Археологические памятники верховьев р. Терека и бассейна р. Сунжи.- Тр. ГИМ, вып. XVII, Москва
39. **Крупнов, 1960:** - Крупнов Е. И., Древняя история северного Кавказа, Москва
40. **Крупнов, 1965:** - Крупнов Е.И., Новые «пинтадеры» из сел. Сержсень-юрт (Чечено-Ингушетия),.-Новое в Советской Археологии, Москва
41. **Ламберг..., 1990:** - Ламберг-Карловский К.К., Модели взаимодействия в III тысячелетии до н.э. от Месопотамии до долины Инда.-ВДИ, №1, Москва
42. **Леви-Строс, 2001:** - Леви-Строс К., Структурная антропология, Москва
43. **Лосев, 1991:** - Лосев А.Ф., Философия, мифология, культура, Москва
44. **Масимов, 1976:** - Масимов И.С., Новые находки печатей эпохи бронзы с низовий мургаба.-СА, №2, Москва
45. **Масимов, 1981:** - Масимов И. С., Новые находки печатей эпохи бронзы Мургаба.,-СА, №1, Москва
46. **Массон, 1964:** - Массон В. М., Средняя Азия и древний Восток, Москва-Ленинград
47. **Массон, 1963:** - Массон В. М., Средняя Азия и Иран II I тысячелетие до н.э.-КСИА, Москва
48. **Мерперт, 1962:** - Мерперт Н. Я., Раскопки Сержен-Юртского поселения в 1960 г.-КСИА, вып. 88, Москва
49. **Мунчаев, 1962:** -Мунчаев Р.И., Памятники маикопской культуры в Чечено-Ингушетии.-СА, №3, Москва
50. **Пиотровский, 1952:** -Пиотровский Б., Кармир-Блуг I, Ереван.
51. **Пиотровский, 1952:** - Пиотровский Б., Кармир-Блур, II, Ереван.
52. **Рибаков, 1965:** -Рибаков Б.А., Космогония и мифология земледельцев энеолита.-СА, №1, Москва
53. **Рибаков, 1965:**-Рибаков Б.А., Космогония и мифология земледельцев энеолита.-СА, №2, Москва
54. **Сарианиди, 1967:** - Сарианиди В.И., Протогородская цивилизации Юга Средней Азии.-СА, №3, Москва
55. **Сарианиди, 1973:** - Сарианиди В.И., Древности низовий мургаба.,- АО.,-1972, Москва
56. **Сарианиди, 1975:** - Сарианиди В.И., новые открытия в дельте р. мургаба.-1974, Москва
57. **Сарианиди, 1976:** - Сарианиди В.И., Печати-Амулеты мургабского стилия.- СА, №1, Москва
58. **Сарианиди, 1986:** - Сарианиди В.И., Месопотамия и Бактрия во II тыс. до н.э.-СА, №2, Москва

59. **Сарианиди, 1989:** - Сарианиди В.И., Сиро-хетские божества в Бактрийско-Маргианском пантеоне-СА, №4, Москва
60. **Сарианиди, 1990:** - Сарианиди В.И., Сельский храм Тоголок -1 в Маргеана.-ВДИ, №2, Москва
61. **Топоров, 1972:** - Топоров В.Н., К происхождению некоторых поэтических символов; Ранние формы искусства, 1, Москва
62. **Халимов, 1960:** - Халимов Д.А., Поселения на Холме Сара-Тепе. -СА, №4, Москва
63. **Хлопин, 1962:** -Хлопин И.Н., Изображение креста в древне земледельческих лугулах южной Туркмении, КСИА, 91, Москва
64. **Чайльд, 1959:** - Чайльд Г., Древнейший восток в свете новых раскопок, Москва
65. **Шелов, 1959:** -Шелов Д.Б., Раскопки Танаиса в 1952 г.-КСИИМК, вип.74, Москва
66. **Штернберг, 1936:** - Штернберг Л.Я., Первобытная религия в свете этнографии, Ленинград
67. **Юнг, 1955:** - Юнг К.Г., Душа и миф. Шесть архетипов, Москва
68. **Amiet, 1986:** - Amiet P. L, Age des exchange inter-iraniens, 3500-1700 avant J. C. P.
69. **Pottier, 1984:** - Pottier M. H., Material funeraire de la Bactriane Meridionale de L, Age du bronze
70. **Troia, 1997:** - Der schatz aus Troia, Schliemann und der Mythos des Priamos-Goldes, Mit Textbeiträgen von Wladimir P.Tolstikow und Michail J. Trejster Übersetzung aus dem Russischen :Christian König, Stuttgart Zurich
71. **Matr, 1928:** - Matr F., Die fruhkretischen Siegel, Berlin


**STAMP SEALS AND DISCOID OBJECTS DISCOVERED ON THE  
TERRITORY OF SOUTH-WESTERN GEORGIA**

*Summary*


In recent years a number of interesting stamp seals have been unearthed during the archaeological study of the Late Bronze/Early Iron Age and Classical period settlements in Adjaristkali and the lower part of Chorokhi river basins. The paper presents the stamp seals and discoid objects discovered on the settlements of Kvashta, Makhvilauri and Charnali. The majority of them depicts a cross motif, but there are also representations of the Tree of Life on some of them. The motifs should have had a deep symbolical meaning, which played an important role in inter-personal communication. These symbols are a good representation of religious beliefs and folkways of the ancient population on the territory of South-western Georgia. They suggest that some exogenous symbols or even respective beliefs and folkways penetrated the local culture.



I



1



2




3



4



5




6


II



1




2



3



4




5





6



7



8



9



III



1



2



3



4



5



6

IV



1



2



3



4




5



6

V




1



2

VI



1



2

VII



## გონიო-აფსაროსის ციხის მეოთხე ხოჯის ბარე ტარიტორიაზე აღმოჩენილი მასალების არქეოლოგიური და არქეობოტანიური ანალიზი

გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია 1995 წლიდან დღემდე ძირითად არქეოლოგიურ სამუშაოებს ციხის შიდა ტერიტორიაზე აწარმოებს (ვრცლ. იხ. კახიძე...2002; კახიძე...2004: 4-73; კახიძე..., 2016; მამულაძე..., 2007; სულავა, 2009; მინდორაშვილი..., 2008: 116-128; მინდორაშვილი..., 2009:25-58; მამულაძე..., 2013:187-221; მამულაძე..., 2014:201-218; მამულაძე..., 2017: 239-258; მამულაძე..., 2017: 207-238; Plontke-Lüning..., 2002: 87-97; Plontke-Lüning..., 2003: 17-34; Plontke-Lüning..., 2005: 133-145; Kakhidze..., 2002: 251-262; Mamuladze..., 2010: 455-465; Mamuladze..., 2013: 355-362; Mamuladze...,2016: 533-552; Kaxidze..., 2014;K arasiewicz-Szczypiorski..., 2015: 179-198; Karasiewicz-Szczypiorski..., 2016: 521-532; karasiewicz-Szczypiorski..., 2018: 485-526; karasiewicz-Szczypiorski..., 2019: 63-76; Mamuladze..., 2019: 125-134 და სხვ.).

ობიექტური მიზეზების გამო ჯერ კიდევ ვერ მოვახერხეთ ნაქალაქარის ტერიტორიაზე სამუშაოების ფართოდ გაშლა. ციხის შემოგარენში მცირე მასშტაბის საველე სამუშაოები 2000 წლიდან დავიწყეთ. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ციხის დასავლეთი გალავნის კედლის გარეთ წარმოებული გათხრები. ამ უბნებზე აღმოჩნდა ციხის მშენებლობამდელ ნაგებობათა ნაშთები და შესაბამისი არქეოლოგიური მასალები. ეს სიახლეები საშუალებას იძლევა ახლებურად იქნეს გააზრებული როგორც ციხის მშენებლობის, ისე სხვა საინტერესო საკითხები (ვრც. იხ. მამულაძე..., 2005; მამულაძე..., 2006).

ამჯერად მოკლედ გავამახვილებთ ყურადღებას ციხის გარეთ #4 კოშკის მიმდებარე და გზის გადაღმა მარჯვენა მხარეს 2005 და 2008 წლებში გავლებულ საცდელ თხრილებზე. ჩანაფიქრის განხორციელება რამდენადმე დააჩქარა 2005 წლის მაისში ბათუმი-სარფის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, სატელეფონო კაბელისათვის განკუთვნილმა მიწის სამუშაოებმა. აქ მოულოდნელად დაფიქსირდა მონუმენტური ნაგებობის ნაშთები. შევაჩერეთ მშენებლები და დავიწყეთ აღმოჩენილი ნაგებობის შესწავლა. გზის გადაღმა სამუშაოები საკმაოდ ინტენსიურად წარიმართა. ზედაპირიდან 50-60 სმ. სისქის ფენის მოხსნის შემდეგ, მთელს პერიმეტრზე, ჩვენს წინ გადაიშალა საკმაოდ მოზრდილი ნაგებობის ნაშთები (ტაბ.VI-VIII). ჩანს, რომ იგი მოგვიანო პერიოდის შენობაა. არაა გამორიცხული საზოგადოებრივი დანიშნულე-



ბის ნაგებობა (მაგ. ქარვასლა?) იყოს. მისი მშენებლობა ოსმალური მმართველობის პერიოდს უნდა დაუკავშირდეს. დადასტურდა, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი ნაშთები წარმოადგენდა დიდი ზომის ნაგებობის დასავლეთ ფასადს. მისი გვერდითი კედლების გაგრძელება ციხისკენ მიემართება. ფაქტიურად მთლიანი ნაგებობა (42,5 X 40 მ) მიდგმული იყო გვიანშუასაუკუნეებში ციხის დასავლეთი კედლის ჩრდილო დასავლეთ მონაკვეთზე. ნაგებობის, როგორც ეს სასინჯმა თხრილებმაც დაადასტურა, სამხრეთი კედელი მიშენებული იყო ციხის #4 კოშკს (ტაბ. XIII/1; ტაბ. XIV/1; ტაბ. XV/1), ხოლო ჩრდილოეთი კედელი - #5 კოშკს. მთლიანი ნაგებობის ძირითადი ნაწილი ბათუმი-სარფის სამანქანე გზის ქვეშაა განთავსებული. ამიტომ სამუშაოების ფართოდ გაშლა ვერ მოხერხდა. მისი მთლიანი სიგრძე 42 მ-ია, სიგანე კი 40 მ. იგი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. საკუთრივ ნაგებობის დასავლეთი კედელი შედგება ორი - გვერდითი აღმოსავლეთით, ციხის გალავნისაკენ მიმართული მზლუდავი კედლების, ოთხი ბურჯისაგან და ბურჯებს შორის დამაკავშირებელი კედლებისაგან (ტაბ. VI-VIII; ტაბ. X-XI). ჩრდილოეთი კედელი მხოლოდ 4 მ-ის სიგრძეზე გაინმინდა (ტაბ. VI/1). იგი შემდეგ სამანქანე გზის ქვეშ ექცევა და როგორც 5 კოშკთან დადებულმა საცდელმა თხრილმა დაადასტურა, უშუალოდ ციხის კოშკზეა მიშენებული. მისი საერთო სიგრძე დაახლოებით 40 მ-ია, სიფართო კი 1,40 მ-ს აღწევს, გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე 1,50 მ-ია. კედელში, ბურჯების გასწვრივ მონაკვეთზე დატანილია 20-25 სმ დმ-ის ხვრელი (ტაბ. IX/1-2; ტაბ. X/1; ტაბ. XI/1). იგი როგორც ქვემოთაც ვნახავთ, თბილი ჰაერის მასის მოძრაობისათვის იყო განკუთვნილი. ხვრელი კედლიდან გრძელდება ჩრდილოეთით 80 სმ-ზე და შემდეგ გაუთხრელ ფართობში შედის (ტაბ. IX). ჩრდილოეთის მზლუდავი კედლიდან პირველ ბურჯამდე 5,45 მ-ია. ბურჯის მაქსიმალური სიმაღლე 1,50 მ-ია. სიგანე ზედა ნაწილში 1,70 მ-ია, საძირკვლის დონიდან 45 სმ-ზე, მის ორივე მხარეს, წყობაშივე დატანილია იატაკისათვის განკუთვნილი საფეხურები (მარცხენა-60 სმ, მარჯვენა-30 სმ). ამიტომაც ამ მონაკვეთში საფეხურების ჩათვლით მისი სიგანე უკვე 2,60 მ-ს აღწევს (ტაბ. VI; ტაბ. X/1). ბაზა ძირითადად შედგენილია რიყისა და ნაგლეჯი ქვებით დუღაბის გამოყენებით. გვხვდება ბაზალტისა და ტუფობრეგჩის დამუშავებული კვადრებიც. ასეთივე ტექნიკითაა გამართული მეორე ბურჯიც (ტაბ. VI; ტაბ. XI/1). I და II ბურჯს შორის დაცილება 5,46 მ-ია. მისი სიმაღლე საძირკვლის დონიდან 1,45 მ-ია, ზედა ნაწილში იგი თითქმის კვადრატული ფორმისაა (1,60 X 1,55 მმ). ამასაც საძირკვლის დონიდან 40 სმ-ზე დატანილი აქვს როგორც მარცხენა (სიფართო-45 სმ), ისე მარჯვენა მხარეს (სიფართო-40 სმ) იატაკისათვის განკუთვნილი საფეხურები. მესამე ბურჯი (ტაბ. VI; ტაბ. XI/2) მეორისაგან 5,40 მ-ითაა დაცილებული. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე საძირკვლის დონიდან 90 სმ-ია. მისი სიგრძე სიგანე ზედა ნაწილში თითქმის ერთნაირია და 1,30-1,35 მ-ს შორის მერყეობს. ამასაც საძირკვლის დონიდან 75 სმ-ზე დატანილი აქვს იატაკისათვის განკუთვნილი საფეხურები (მარცხენა-65 სმ. მარჯვენა-50 სმ სიფართის). აქაც წყობაცა და მასალაც ისეთივეა, როგორც ზემოთ აღწერილი ბურჯებისა: შედარებით კარგად დამუშავებული ქვებით გარე ზედაპირია დაფარული. მესამე და მეოთხე ბურჯებს შორის მანძილი 5,80 მ-ია. ამ ბურჯის (ტაბ. VI; ტაბ. X/2) გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე 95 სმ-ია. მისი ზომებია ზედა ნაწილ-

ში: სიფართე 1,60 მ, სიგანე-1,70 მ. ამასაც საძირკვლის დონიდან 65 სმ-ზე, მარცხენა მხარეს დატანილი აქვს 40 სმ, ხოლო მარჯვენა მხარეს 35 სმ. სიფართის იატაკისათვის განკუთვნილი საფეხურები. მშენებლობის ტექნიკა აქაც ანალოგიურია ზემოთ აღწერილებისა. ამ ბურჯის, ისევე როგორც სხვა დანარჩენების თავზე, შემორჩენილია დუღაბის კონსტრუქციის კვალი. მეოთხე ბურჯიდან სამხრეთის მზლუდავ კედლამდე 5,50 მ-ია. ამ კედლის შემორჩენილი ნაწილის მაქსიმალური სიმაღლე 1,20 მ. სიგრძე საავტომობილო გზის გვერდით შემაკავებელ თანამედროვე კედლამდე-3,50 მ, ხოლო კედლის სიფართე 1,60 მ-ია. ეს კედელი, როგორც დანარჩენი, ნაგებია რიყისა და დაუმუშავებელი ქვიშაქვით. წყობა კი წარმოადგენს შერეული წყობის (ოპისმი-გსტუმ) გვიანდელ ვარიანტს - რიგებს შორის ვიწრო ჰორიზონტალურ ჩანართებად აგურის მაგივრად რიყის წვრილი ქვებია გამოყენებული, ხოლო შემაკავშირებლად - დუღაბი. ამ კედლის ძირითადი ნაწილი აღმოსავლეთით მიემართება, 3,50 მ-ის შემდეგ ტრასის ქვეშ ექცევა და როგორც სასინჯმა თხრილმაც გვიჩვენა, ებმის ციხის 4 კოშკს (ტაბ. XIII/1; ტაბ. XIV/1; ტაბ. XV/1). იგი რომაული პერიოდის კოშკის ჩრდილოეთი კედლის სამსაფეხურიან ცოკოლზეა უშუალოდ მიშენებული. ქვის წყობაცა და მშენებლობის ტექნიკაც ზემოთ აღწერილის მსგავსია. კედლის შემორჩენილი სიმაღლე ამ მონაკვეთში 2,25 მ-ია. სიფართე კი-1,60. საინტერესოა ისიც, რომ გვიანდელი ნაგებობის კედლის შიდა მხარეს დაფიქსირდა კედელზე მიშენებული ორი შედარებით არც თუ ისე პატარა ზომის ბურჯები (ტაბ. VII/2; XIII/1). პირველი მათგანი რომაული და ოსმალური პერიოდის კედლების გადაბმის ადგილას იყო მიდგმული. მისი სიმაღლე 80 სმ. ზედა ნაწილის სიგრძე სიგანე თითქმის ერთნაირია და 75-80 სმ-ს შორის მერყეობს. მსგავსი ბურჯია ასევე მიშენებული მისგან 3,35 მ-ის დაცილებით კედელზე. ეს ბურჯები ერთ დონეზეა განლაგებული და არაა გამორიცხული ნაგებობის იატაკის საყრდენებად იყოს გამოყენებული. მითუმეტეს ამ ტერიტორიაზე 10-12 სმ. სისქის დუღაბიანი იატაკის ნარჩენები დაფიქსირდა მთელს პერიმეტრზე.

გზის მარჯვენა მონაკვეთის გათხრებმა ასევე დაადასტურა, რომ ნაგებობას დასავლეთით ქონდა მზლუდავი კედელი, რომელიც ბურჯებს შორისაა გამართული (ტაბ. VI; VIII/2; IX/1). დაკვირვებით ჩანს, რომ ბურჯებს შორის კედლების და ბურჯთა საძირკვლები სხვადასხვა დონეზე მდებარეობს და არ ქმნიან ერთიან ნიველირებულ ლენტურ სტრუქტურას, რაც ბუნებრივია გვაფიქრებინებს, რომ ეს კედლები ნაგებობის ფუნქციონირების მეორე პერიოდს განეკუთვნება. ამათი მშენებლობის ტექნიკაც სრულიად განსხვავებულია. წყობაში დიდი რაოდენობითაა გამოყენებული ციხის მშენებლობისათვის განკუთვნილი კვადრებიც (ტაბ. VI/4). ნაგებობის აღნიშნულ მონაკვეთში, იატაკის კვალი არ დასტურდება. სამაგიეროდ დადგინდა, რომ თითოეული ბურჯის ქვეშ შექმნილია სადინარები (არხები?). კარგად ჩანს, ბურჯების ქვეშ ამ არხების განტოტებანიც (ტაბ. IX/2; ტაბ. XI/1). მოვიტანთ ერთ-ერთი მათგანის მოკლე დახასიათებას. სადინარები განთავსებულია ბურჯების იატაკისათვის განკუთვნილი საფეხურების ქვეშ. ცენტრალური სადინარი ბურჯის ცენტრალურ ნაწილშია დატანილი. იგი აქედან ორივე მიმართულებით (აღმოსავლეთითა და დასავლეთით) ოთხ ნაწილად იტოტება. ხვრელების ფორმა ძირითადად ოთხკუთხა კვადრატული ფორმისაა და მათი დმ. 25-30 სმ-ია, ყველა ხვრელის დასავლეთი მხარე

დაგმანული იყო ხის საცობით. ვფიქრობთ, რომ ბურჯებს ქვეშ შექმნილი არხები წარმოადგენდა არა წყლის სადინარებს (ტაბ.VI/1,3), არამედ ეპიკაუსტუმის ნაწილს - ცხელი ჰაერის ჰორიზონტალური მიმართულებით გავრცელებისათვის შექმნილს, რაც ჩვეულებრივ შენობის ზოგიერთ ნაწილში გარკვეული სითბური რეჟიმის შექმნას ემსახურებოდა. მითუმეტეს თუ დაუკვირდებით მათ, ისინი სწორედ იატაკის ქვედა დონეზეა განთავსებული. ყველა ნიშნის მიხედვით ცხელი ჰაერი ნაგებობის იატაკის ქვეშ ვრცელდებოდა ჩრდილოეთის მხრიდან. ამაზე მიგვანიშნებს ნაგებობის ჩრდილოეთ ნაწილში მზლუდავი კედლის გარეთ დულაბშივე დატანილი არხის ნაშთი, რომელიც შემოდის კედელში და სამხრეთისაკენ მიემართება; აქვე დადასტურდა ჰიდრაულიკური ხსნარის დეფორმირებული მასები (ტაბ.IX/1-2). გათხრებისას ჩრდილოეთი კედლის გარეთ დაფიქსირდა კარგად დამუშავებული ქვის არქიტექტურული დეტალებიც (ტაბ.VI/4). რაც შეეხება არქეოლოგიურ მასალას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოგვიანო პერიოდის მოჭიქული კერამიკისა და ფაიანსის თითო-ოროლა ფრაგმენტს, არ დაფიქსირებულა. აღნიშნული ნაგებობა, როგორც ჩანს, და როგორც ზემოთაც აღინიშნა, ოსმალთა აქ დამკვიდრების შემდეგაა აშენებული. იგი დაახლოებით შეიძლება XVII საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღდეს.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, იძულებული ვავხდით გვიანშუასაუკუნეების დიდი ზომის ნაგებობის (ქარვასლის?) გვერდითი მზლუდავი კედლების გასწვრივ ბათუმი-სარფის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, #4 და 5 კოშკების წინ დაგვედო პატარა ზომის თხრილები, რათა გაგვერკვია ამ კედლების მიმართება ციხესთან. აღმოჩნდა, რომ ორივე კედელი მიდგმულია აღნიშნულ კოშკებზე. მე-4 კოშკის წინა ტერიტორიაზე გათხრების პროცესში დადასტურდა ასევე, რომ სიღრმეში ჩვენ საქმე გვექონდა უფრო ადრეული - რომაული პერიოდის კულტურულ ფენებთან. ამიტომ იძულებული ვავხდით შესაძლებლობის ფარგლებში გაგვეფართოვებინა თხრილი ჩრდილოეთით. აქ სამუშაოები ძირითადად გაიშალა SW სექტორის X დიდი კვადრატის 21-ე, 31-ე, 41-ე და NW სექტორის 31-ე დიდი კვადრატის 21-ე, 31-ე და 41-ე კვადრატებში (ტაბ.V). მთელს ფართობზე ზედაპირიდან 30-35 სმ-ის ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის შემდეგ (ტაბ. XII, ჭრილი I, 1; ჭრილი II, 1), დავედით თიხატკეპნილიან იატაკზე, რომლის სისქეც დაახლოებით 15-20 სმ-ია. იატაკის ზედაპირი მდინარეული ქვებითაა დაფარული. ეს ტერიტორია ოსმალურ პერიოდში იყო მოზინული და ზედაპირმოგებული ფართობი წარმოადგენდა სავალ ნაწილს (ტაბ.XII, ჭრილი I, 2, ჭრილი II, 2). ან კიდევ არაა გამორიცხული იგი გვიანდელი დიდი ზომის ნაგებობის (ქარვასლის?) იატაკის ნაწილიც იყო. მითუმეტეს, იგი გვიანდელი ნაგებობის სამხრეთ კედელზე იატაკისათვის განკუთვნილი ბურჯების დონეს შეესატყვისება. ამ ფენის გათხრებმა თურქული პერიოდის საკმაოდ საინტერესო მასალები მოგვცა. მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სხვადასხვა სახის ჩიბუხების, ფაიანსის, სადა თუ მოჭიქული კერამიკის ნატეხები. შეიძლება გამოიყოს ხელაღების, დოქების, ჭრაქების მოზრდილი ნიმუშები თუ ფრაგმენტები. ისინი სრულიად მსგავსია ციხის შიდა თუ გარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი თანადროული მასალებისა და კარგად თარიღდებიან XVII- XVIII სს.

აღსანიშნავია მოჭიქული ჯამების ნატეხები. ესენი ადრეული პერიოდის მოჭიქული ჭურჭლის ნიმუშებისაგან რამდენადმე განსხვავდებიან და რიგი თავისებურებებით ხასიათდებიან. ეს განსაკუთრებით ითქმის საღებავის ფერების, მოხატვის სახეებისა და ხერხების შესახებ. მათი კეციც შედარებით უხეშია, უფრო ცუდადაა დამუშავებული და გამომწვარიც კი. ასევე საღებავების ფერების შეხამება და თვით მოხატვა, მოჭიქვის ტექნიკა ადრეულთან შედარებით უხეშია, უფრო დაბალ დონეზეა შესრულებული. უმეტესობა მუქი მწვანე თუ ცისფერია. ორნამენტი შესრულებულია ამოკანვრის წესით ანგობზე და უმთავრესად გეომეტრიული სახისაა. როგორც ჩანს უმეტესობა შემოტანილია თურქეთის სხვადასხვა სანარმოო ცენტრებიდან, ან არაა გამორიცხული მათი ადგილზე წარმოებაც. ისინი ძირითადად XVI-XIX საუკუნეებით თარიღდება (გონიოში აღმოჩენილი მსგავსი მოჭიქული კერამიკის შესახებ ვრც. იხ. აფხაზავა..., 1998: 269-278; კახიძე, 2002: 44-70; ქამადაძე, 2014ბ; ქამადაძე, 2016ა; ქამადაძე, 2016 გ). ასევე შეგვხვდა თითო-ოროლა ცალი ჩიბუხის ნატეხიც. ამათი ფორმა და ორნამენტი მრავალფეროვანია. არის ფაიანსის ფრაგმენტებიც, მათი ძირითადი ნაწილი ფინჯნისებრი ჭურჭლის ნატეხებია, როგორც აქ, ისე მთლიანად ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენული ამ ტიპის ჭურჭელი ძირითადად ორი ოსმალური ცენტრის - იზნიკის და ქუთა(ჰ)იას ნაწარმი უნდა იყოს (ვრცლ. იხ. აფხაზავა, 1998: 269-278; ქამადაძე, 2014ა:223-232 ქამადაძე, 2014ბ: 325-328; ქამადაძე 2016ა: 48-41; ქამადაძე 2016 ბ: 245-251; ქამადაძე, 2016გ; Камададзе, 2016:220-225...). აქედან პირველში ხელოსნობის ამ დარგის აყვავება XVI-XVII სს-ში იწყება, მეორეში კი XVIII-XIX სს-ის დასაწყისში (ანე, 1957; Мюллер, 1972; Öney, 1993; Öney, 2003: 699-735; Belgin, 2007: 329-334; Carswell, 1998; Гусач, 2017: 581-600 და სხვ.).

თიხატკეპნილიანი ფენის მოხსნის შემდეგ მთელს ფართობზე იწყება ზღვის მიერ მოტანილი წვრილმარცვლოვანი ქვიშისა თუ სილის საკმაოდ სქელი ფენა. მისი სიფართე ციხის კედელთან შედარებით ვიწროა (20-25 სმ), ხოლო დასავლეთით ზღვისკენ, თანდათანობით ფართოვდება და 60-70 სმ-ია (ტაბ. XII, ჭრილი I/3; ჭრილი II-5-6; ტაბ. XIV/1; XV/1). ანალოგიური სიტუაცია დაფიქსირდა წინა წლებში წარმოებული გათხრებისას ციხის დასავლეთი კედლის გარეთ სამხრეთ-დასავლეთით მთელს ფართობზე. როგორც იქ, ისე ჩვენს შემთხვევაშიც ზღვიური მასა უშუალოდ რომაული პერიოდის (I-III სს) კულტურულ ფენებს ზემოთაა განთავსებული და ისინი თავისებურად დააკონსერვა. საინტერესოა ის, რომ წინა წლების თხრილში ზღვის დანატოვარი მასის ალებისას აქა-იქ დაფიქსირდა ამფორისა და სხვადასხვა სახის ჭურჭლის ნატეხები, წყალგაყვანილობის მილების თუ კრამიტის ნამტვრევები. მათი შესწავლისას გაირკვა, რომ მასალები ძირითადად რომაული თუ ბიზანტიური პერიოდისაა (კახიძე, 2004). წინა და ამ წლის გათხრებმა გვიჩვენა, რომ ციხის დასავლეთი კედლის გასწვრივ იყო როგორც რომაული (I-III სს) ისე ბიზანტიური ეპოქის (VI-VII სს) კულტურული ფენები. სწორედ ზღვის შემოტევის შემდეგ აქ არსებული მასალების მცირე ნაწილი, კედელთან ახლოს, ზღვისავე მოტანილ ფენაში განიმარხა. ამიტომაც შეიძლება ზღვის მოქცევის ქვედა თარიღად VI-VII საუკუნეების შემდგომი პერიოდი მივიჩნიოთ. შესაძლებელი ხდება ზედა თარიღის დადგენაც. საქმე იმაშია, რომ ციხის მე-4 კომპთან გავლებული საკონტროლო

თხრილის ნაზღვეურ ფენაში კარგად ჩანს და შესანიშნავად იკითხება ოსმალური პერიოდის მონუმენტური ნაგებობის (ქარვასლის) საძირკვლისათვის ჩაჭრილი ზოლი. შევსილი მონაკვეთი შავი ფერისაა და მკვეთრად განსხვავდება ზღვის დანატოვარი ფენისაგან. ნაგებობა კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა XVII ს-ის პირველ ნახევარში უნდა იყოს აგებული. ასე რომ ზღვის შემოტევა-უკანდახევის პროცესები VI-VIII სს ან XVII ს-ის პირველ ნახევრამდე უნდა მომხდარიყო. თუ კონკრეტულად როდის, ამას მომავალი სპეციალური კვლევის შედეგები გვიჩვენებს.

ზღვის დანატოვარი მასის ალების შემდეგ გვხვდება 15-20 სმ სისქის სტერილური ფენა (ტაბ. XII, ჭრილი I/4). მას აგრძელებს 20-25 სმ-ის სიმაღლის ხელოვნურად მოზვინული კენჭნარი შრე, რომელიც აქა-იქ კერამიკის ნამტვრევებსაც შეიცავს (ტაბ. XII, ჭრილი II/7). იგი უშუალოდ რომაული პერიოდის კულტურულ ფენაზეა ზემოდან დაფენილი. როგორც ჩანს მოზვინვის პროცესი მიზნად ისახავდა ახალი სამშენებლო მოედნის შექმნას, მაგრამ ნაგებობა აღარ გაუმართავთ. მსგავსი სურათი, უფრო სრულყოფილი სახით დადასტურდა წინა წლებში ციხის დასავლეთი გალავნის კედლის გარეთ, უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში გავლებულ საცდელ თხრილშიც (ტაბ. XII). III ს-ის მეორე ნახევრიდან აქაც და ჩვენს საცდელ თხრილშიც, ამას როგორც ქვემოთაც ვნახავთ, კარგად ჩანს აქაური სამოსახლოების ნგრევის თუ გადანვის ძლიერი კვალი. ამის გამოა, რომ მთელს ფართობზე შეიქმნა საკმაოდ მძლავრი დანახშირებული ფენა (ტაბ. XII, ჭრილი I/10, ჭრილი II/11; ტაბ. XIV-XV/1). ასეთივე სიტუაცია დასტურდება ციხის შიგნითაც. III ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისში, როგორც წინა და მოგვიანო წლების გათხრებმაც დაადასტურა, ძველი ნაგებობების ქვის საძირკვლებსა თუ დანახშირებულ ნარჩენებზე მოუზვინავთ საკმაოდ სქელი (20-30, ზოგან 50-55 სმ) მასა. შიგა სივრცისაგან განსხვავებით, ციხის გარეთ ზედ ახალი ნაგებობანი აღარ გაუმართავთ. ანალოგიური სურათი დადასტურდა წინა წლებში ციხის სამხრეთ დასავლეთ გარე მიმდებარე ტერიტორიაზეც, სადაც მხოლოდ პირველი ეტაპის (I-III ს -ის პირველი ნახევარი) კულტურული ფენები თანმხლებ ნაგებობათა ნაშთებითა და მასალებით დაფიქსირდა, ხოლო შიგნით გალავნის კედლების მშენებლობისას ჩაჭრილი ადრეული და მომდევნო პერიოდის ნაგებობათა ნაშთები და შესაბამისი არტეფაქტები (ტაბ. XIX/1). ე.ი. ადრეული პერიოდის ნაგებობის ნაწილი გალავნის კედლის გარეთაა, ხოლო მეორე ნაწილი შიგნით. ასე, რომ აქ კარგად იმიჯნება ერთმანეთისაგან I-III ს პირველი ნახევრისა და III ს-ის მეორე ნახევრის საამშენებლო დონეები საკმაოდ მძლავრი შრით, ორი საამშენებლო პერიოდითა და შესაბამისი არქეოლოგიური მასალებით. (ვრც. იხ. კახიძე, 2004; 2005). ყველაფერი იმისთვის დაგვჭირდა, რომ ჩვენს თხრილშიც სწორედ მსგავს სიტუაციასთან უნდა გვექონდეს საქმე. აქაც I-III ს-ის პირველი ნახევრის ნაგებობათა ნანგრევებსა თუ დანახშირებულ მოზვინულ ფენაზე, ნაგებობის გამართვა ვეღარ მოუხსნიათ. სამაგიეროდ კოშკის საძირკვიდან 1,5 მ-ის დაცილებით მთელს სიგრძეზე ჩაუჭრიათ 70 სმ სიღრმის თხრილი, რომელიც როგორც ჩანს კოშკის საამშენებლო მოედნისა თუ საძირკვლების გამართვისათვის იყო განკუთვნილი (ტაბ. XII/1; ტაბ. XV). თხრილი 70 სმ სიღრმის შემდეგ შედარებით ვიწროვდება და საძირკველს მიუყვება მთელს სიღრმეზე. აშკარად ჩანს რომ იგი კოშკის მშენებლობის დროსაა ჩაჭრილი და დაზიანებული-

ლია მანამდე არსებული რომაული ხანის (I-III ს-ის პირველი ნახევრის) კულტურული ფენები. საძირკვლების გამართვის შემდეგ თხრილი შეუვსიათ ჩანაჭრიდანვე ამოღებული მიწის ფენით. ამიტომაცაა, რომ მისი პრეპარაციისას დიდი რაოდენობის კერამიკული მასალა (ძირითადად კრამიტის ნატეხები) დაფიქსირდა საძირკვლის კედლებამდე მთელს ფართობზე (ტაბ.XII, 1/7; ტაბ.XV). თხრილის კონტურები შესანიშნავად იკვეთება და იგი სრულიად განსხვავებულია ხელუხლებელი ფენებისაგან. ე. ი. ჩაჭრილია I-III ს-ის შუა ხანებამდე არსებული კულტურული ფენა. როგორც ჩანს თანამედროვე ციხის გალავნის კედლებისათვის სწორედ, III ს-ის პირველი ნახევრის შემდგომ პერიოდში ჩაუჭრიათ საძირკვლები. ამიტომაცაა რომ ერთი და იგივე ნაგებობის ერთი ნაწილი გარეთ დარჩა, ხოლო მეორე შიგნით. უნდა ვიფიქროთ, რომ ამჟამინდელი ციხე შედარებით გვიან, მესამე საუკუნის შუა ხანების შემდგომ - მესამე საუკუნის ბოლომდე პერიოდში უნდა იყოს აშენებული. რაც შეეხება დახანძრულ ფენებს, იგი ვფიქრობთ სკვითურ-სარმატული მოდგმის ტომების, ბორანების ახ.წ. 257 წლის გამანადგურებელ შემოსევებთან უნდა იყოს დაკავშირებული (ვრც.იხ. მამულაძე...2019). აქაც მეოთხე კოშკის წინა თხრილშიც, მოზინული ფენის ქვეშ (ტაბ.XII, ჭრილი I; ჭრილი II, 12; ტაბ.XIV/1; ტაბ.XV/1), ადრეული ნაგებობის ნაშთები დაფიქსირდა. ჩანს რომ ნაგებობას ჰქონდა ქვის საძირკველი. შესწავლილი მონაკვეთის მიხედვით, ირკვევა, რომ იგი მოზრდილი მდინარეული თუ ნაგლეჯი ქვითაა შედგენილი. საძირკვლის სიფართო 1 მ-ს აღწევს, შემორჩენილი სიგრძე კი-3,60 მ-ია. იგი ჩრდილოეთით გრძელდება და გაუთხრელ ფართობში შედის. ნაგებობის ზედა ნაწილი აქაც ხის უნდა ყოფილიყო. ეს კარგად ჩანს ქვის საძირკველსა და კრამიტის სახურავის ჩამონოლილ ნაწილს შორის მთელს ფართობზე მოქცეული საკმაოდ სქელი (40-50 სმ) დანახშირებული ფენითა და ხის ფრაგმენტების ნარჩენებით (ტაბ. XIV/1; ტაბ.XV/1). ნაგებობის კედლები, როგორც აღმოჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, შედგენილი იყო ხით, თიხით და ქვით. სავარაუდოდ ხის კარკასის მიერ წარმოქმნილი უჯრედები შევსილი იყო თიხისა და ქვის ნარევით. აღმოჩნდა ცეცხლში მოხვედრილი ბათქაშის ფრაგმენტებიც. ნახანძრალმა ფენამ (ნაგებობის შიდა სივრცე) საკმაოდ საინტერესო სურათი მოგვცა. სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დაფიქსირდა მარცვლეულის საკმაოდ სქელი დანახშირებული ფენა (ტაბ.XII ჭრილი 1/10; ჭრილი II/11; ტაბ.XIV). აქვე აღმოჩნდა ამფორის ნატეხებიც. საყურადღებოა რომ ამ ჭურჭლის პირი და ყელი საკმაოდ ფართეა. როგორც ჩანს იგი სამარცვლე ჭურჭელია და არა საღვინე. ნაგებობის შიდა სივრცეში დაფიქსირდა საკმაოდ ბევრი 8 სმ სისქის მოზრდილი Opus Cementikum- კირისა და წვრილმარცვლოვანი ნაერთისაგან შედგენილი ფილები. ისინი მთელს ტერიტორიაზე უსისტემოდაა მობნეული და როგორც ჩანს იატაკისათვის იყო განკუთვნილი. აქვე აღმოჩნდა სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმი, მათ შორის დიდი რაოდენობით კრამიტის მოზრდილი თუ მცირე ნატეხებიც. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მარცვლეულთან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის კარგად დაცული მონეტაც. ნაგებობის დიდი ნაწილი ჩრდილოეთით გაუთხრელ ფართობში ექცევა. აქ აღმოჩენილი მასალებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს წითელლაკიანი კერამიკა (ტაბ.XIII). როგორც სხვა კერამიკული ნაწარმი, იმპორტული კერამიკის ეს სახეობაც მცირე რაოდენობითაა წარმოდგენი-

ლი. პატარ-პატარა ფრაგმენტებია. მათში შესაძლებელი ხდება რამოდენიმე მათგანის გამოყოფა. ნითელლაკიანი თეფშისებური ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (გ.ა.2005.48). კიდე დაბალი, პირი გარეთკენ გადაშლილი და ტანისაგან რელიეფური ნიბოთი გამოყოფილი. მსგავსი ფორმის ჭურჭლები გარკვეულ ვარიანტებს ქმნიან. კერძოდ, ტანისა და პირის გამოყოფი რელიეფური ნიბო ზოგზე მკვეთრადაა გამოხატული, ზოგზე კი ნაკლებად. მათ მრავალრიცხოვანი პარალელი ეძებნებათ. მსგავსი ნიმუშები განსაკუთრებით ჩრდ. შავიზღვისპირეთის არაერთი ნაქალაქარის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ასევე ათენის აგორაზე, პერგამონის ნაქალაქარზე და სხვ. (ვრცლ. იხ. ებრალიძე, 2005). მსგავსი ფორმები არსებობენ ახ.ნ. I საუკუნიდან. გვხვდება II საუკუნის მასალებთან ერთადაც (ებრალიძე, 2004:108-109). მათ შორის უნდა აღინიშნოს ჯამის პირის ფრაგმენტი (გ.ა.2005.132). ისინი სწორპირიანი, დაბალქუსლიანი მოზრდილი ჯამებია. გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანალოგიური ფორმის რამოდენიმე ჯამის აღდგენაც კი მოხერხდა (ებრალიძე, 2005: 43). ბიჭვინტაში ასეთ ჯამებს ქ. ბერძენიშვილი ახ. ნ. III საუკუნით ათარილებს. თუმცა ჩვენთან I-II სს დათარილებულ ფენაშიც გვხვდება. მსგავსი ნიმუშები აღმოჩნდა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზეც (ბერძენიშვილი, 1963: 107-125). ფენაში წარმოდგენილი იყო ასევე ქუსლის ფრაგმენტი (გ.ა.2005.144). მოყვითალო-მოჩაღისფრო კეცის. დაბალქუსლიანი ჯამის ძირის ნატეხი (გ.ა.2005.151), ფინჯნის მარყუჟისებრი ყურის ფრაგმენტი (გ.ა.2005.163) და სხვა. მოცემული იმპორტული კერამიკის, კერძოდ, ნითელლაკიან ჭურჭელთა ნიმუშები, კეცის, ლაკის ხარისხის, პარალელური მასალის და რაც მთავარია აღმოჩენის ადგილის მიხედვით ახ.ნ. I, უფრო კი II საუკუნის პირველი ნახევრითაა დათარილებული (ებრალიძე, 2005. იქვე შესაბამისი ლიტერატურა).

გათხრებისას აღმოჩნდა მცირე რაოდენობის მინის ჭურჭლის ფრაგმენტებიც. გამოყოფთ ზოგიერთს. მინის ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი (გ.ა.05.31,159), შერჩენილი აქვს მხოლოდ ნიბოს ნაწილი. მინა გამჭვირვალე ღია ცისფერია. ვერტიკალურნიბოიანი ფიალები ე.წ. მილეფიორის ტექნიკითაა დამზადებული. მათ დას. ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში „Rippenschale“-ს (Сорокина, 1962: 215) უწოდებენ. გერმანელი მკვლევარი ბ. რუტი მიუთითებს, რომ ახ.ნ. I ს ბოლოსა და ადრეული II საუკუნისათვის ამ ტექნიკით მზადდებოდა თითქმის მინის ჭურჭლის დიდი ნაწილი (Beat Rütli, Bond13\1, August, 1991:28). საწარმოო ცენტრებთან დაკავშირებით ფიქრობენ, რომ თავდაპირველად ისინი კეთდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, კერძოდ სირიაში. არ გამორიცხავენ კვიპროსსაც. უფრო მოგვიანებით, მათ ამზადებდნენ ახ.ნ. I ს-ის მეორე და მესამე მეოთხედებში დასავლეთ ევროპის საწარმოო ცენტრებში. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ფრაგმენტებიც ამავე პერიოდისა და საწარმოო ცენტრისა ჩანან (კახიძე..., 2009; შალიკაძე, 2000: 56-61). აქ აღმოჩენილი უსახო ამფორის ფრაგმენტებიც (ტაბ. XVI) ძირითადად I-III სს ნაწარმია, რომლებიც სხვადასხვა საწარმოო ცენტრებშია დამზადებული (მსგავსი ნიმუშების შესახებ ვრცლად იხ. მ.ხალვაში, 2002, იქვე ლიტერატურა).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დანახშირებულ ფენაში, მარცვლოვანი ნაშთების გვერდით აღმოჩენილი ვერცხლის მონეტაც. იგი კარგადაა დაცული და ამ ფენის დათარილებისათვის სხვა მასალებთან ერთად საკმაოდ საინტერესო

ინფორმაციას იძლევა. მონეტა ვერცხლისაა კესარიული. V: ტრაიანეს (98-117 წწ) პროფილია გამოსახული. მარჯვნივ, ირგვლივ აქვს წარწერა AVTOKP KAIC NEP IPAIA NOC CEP I. ღ: ჰერაკლეს კვერთხია მოცემული, ირგვლივ შემოუყვება წარწერა-ΥΠΑΓΟΣΓΠΑΤΗΡΙΑΤΡΙΔΟΣ. კესარიული მონეტები აღმოჩენილია გონიოში, ციხისძირში, ურეკში, სუფსაში, ნოქალაქევიში, ნებელდაში, სოხუმში, ბიჭვინტაში, ეკში, ნაბაკევიში, ლურბელში. II-III სს-ის I ნახ. კესარიული მონეტები გონიოში მიმოიქცეოდა III საუკუნის ბოლომდე (ვარშალომიძე, 2001; 2009).

აქვე მოკლედ გავამახვილებთ ყურადღებას იმ მარცვლეულ კულტურებზე, რომლებიც აღმოჩნდა თხრილში (ტაბ. XII, ჭრილი I/9, ჭრილი II/.13).

2005 წელს გონიო-აფსაროსის ციხის დასავლეთი გალავნის კედლის გარეთ გათხრები დროებით შევაჩერეთ და მთლიანი დანახშირებული ფენა დავაკონსერვეთ. მოგვიანებით, 2008 წლის აგვისტოში პალეობოტანიკური კვლევისთვის ავიღეთ ნიმუშები. დანახშირებული ფენიდან სინჯში დიდი რაოდენობით მარცვლეულია აღმოჩენილი, ძირითადად შიშველმარცვლიანი რბილი (ნამდვილი) ხორბალი (*Triticum aestivum s.l.*) დომინანტობს. რბილი ხორბლის 2 სახეობაა დაფიქსირებული: 1. შიშველმარცვლიანი რბილი ხორბალი (*Tr. aestivum s. l. (Tr. durum - /Tr. turgidum-* ინდექსით B/L X 100<65) და 2. ქონდარა ხორბალი (*Tr. aestivum ssp.compactum* ინდექსით B/L X 100 >65-70). გამოვლენილია კილიანმარცვლიანი ხორბლები: ასლის (*Tr. dicocum indeqsiT* B/L X 100 >65-70) და ზანდური (*Tr. monococum*) ერთეული დანახშირებული მარცვლები. განამარხებულ კარპოლოგიურ ნიმუშში აგრეთვე უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება: კილიანმარცვლიანი ქერი (*Hordeum vulgare*) შიშველმარცვლიანი ორმწკრივა ქერი (*H. distichum var. nudum*), შვრია (*Avena sativa*) და ფეტვი (*Panicum miliaceum*). პარკოსნი კულტურებიდან: ოსპი (*ens culinaris*), ბარდა (ისუმ სატივუმ), უგრეხელი (*Vicia ervilia*), ცულისპირა (*Lathyrus sativus*). შედარებით უხვადაა ოსპის დანახშირებული მაკრონაშთები. კარპოლოგიურ კომპლექსში ზემოთ აღნიშნული კულტურების განამარხებულ მაკრონარჩენებთან ერთად გვხვდება მათი თანმდევი სარეველა მცენარეთა თესლები, ბუნებრივი სავარგულების და რუდერალურ სახეობათა ნაშთები. შესწავლილ მასალაში 35 მდე ველურად მოზარდ მცენარეთა ნაშთები დაფიქსირდა. მათ შორის უხვადაა მარცვლეული კულტურების, განსაკუთრებით კი ხორბლის ნათესთა სარეველები: ყვითელი ძურნა (*Setaria glauca*), ნამდვილი ძურნა (*Setaria verticilata*), ბურჩხა (*Panicum. crus-galii*), ბენვიანი ცერცველა (*Vicia hirsuta*), უფხო ღვარზლი (*Lolium arvense*), წივანა (*Festuca communis*), მელიკა (*Melica nutuns*), თაგვიყანა (*Hordeum murinum*), ენდრონიკა (*Gallium aparine*), ჭიოტა (*Agrostemma githago*), ფხუნა (*Asperula arvensis*), ქინძარა (*Bifora radians*), ოსპისებრი ცერცველა (*Vicia tetrasperma*), ქვაპურა (*Bufleurum rotundifolium*). თეთრი მდოგვი (*Sinapis alba*), ქოთანა (*Silene dichotoma*). აღსანიშნავია სათოხნი და ბაღჩა-ბოსტნის კულტურათა სარეველები: ძაღლის ქინძი (*Aethusa cynapium*), ტკაცუნა (*Androsace maxima*), თიმელია (*Thymelaea passerina*), შავთეთრა (*Fumaria officinalis*), ასევე სანელებელი და საკაზმები, როგორცაა ნიახური (*Apium graveolens*), კვლიავი (*Carum carvi*), ქინძი (*Coriandrum sativum*). კარპოლოგიურ კომპლექსში გამოვლინდა რუდერალურ ჰაბიტატებისთვის დამახასიათებელი მცენარეთა ნაყოფების ნაშთები: მინდვრის ნარი (ჩირსიუმ არვენ-



სე), ნარი (*C. setosum*), თერო (*Lathyrus tuberosus*), ტყის ჟუნჭრუკი (*Stellaria media*), ჭეჭველა (*Vaccaria segetalis*), აგრეთვე კოფრჩხილა (*Falcaria vulgaris*), მინდვრის გვირილა (*Leucanthemum vulgare*), მინდვრისნემსა (*Galium verum*), თავის ცერცველა - (*Vicia sepium*).

შესწავლილ მასალაში შიშველმარცვლიანი რბილი ხორბალი დომინანტობს. ოსპის შემცველობა ნიმუშებში საგრძნობლად მცირეა, ერთეულია ბარდის და უგრეხელის მაკრონარჩენები. მცირე რაოდენობა შვრიისა და ქერის ნაშთების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეს მცენარეები იზრდებოდა, როგორც სარეველა ხორბლის ნათესებში. თუმცა ნიმუშში ქერის ორივე სახეობის თანაარსებობის გამო დასაშვებია, რომ მოჰყავდათ როგორც საკვები კულტურა, იყენებდნენ ცხენის გამოსაკვებად და ლუდის დასამზადებლადაც. საკაზმ-სანელებლები – ქინძი, კვლიავი, ოხრახუში, როგორც ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილი რომაული სამზარეულოსი, სავარაუდოდ ადგილზევე მოჰყავდათ გარნიზონის მკვიდრთ, რაზეც ირიბად მიგვანიშნებს ნიმუშში გამოვლენილი სათოხნი და ბაღჩა-ბოსტნის კულტურათა სარეველები.

## ლიბერატურა

1. **აფხაზავა, 1998:** - აფხაზავა ნ, მამულაძე შ., გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა გონიოდან// ბჰრსუშ II. 269-278, ბათუმი
2. **ბერძენიშვილი, 1963:** - ბერძენიშვილი ნ., ბიჭვინტის წითელლაკიანი თიხის ჭურჭლის შესწავლისათვის// მსკა, III. 107-125 თბილისი
3. **ებრალიძე, 2004:** - ებრალიძე ტ., იმპორტული კერამიკა// გონიო-აფსაროსი IV. 108-119, თბილისი
4. **ებრალიძე, 2005:** - ებრალიძე ტ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით)// გონიო-აფსაროსი VI. თბილისი
5. **ვარშალომიძე, 2001:** - ვარშალომიძე ი., სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ.წ. პირველი საუკუნიდან 1453 წლებამდე, ბათუმი
6. **ვარშალომიძე, 2009:** - ვარშალომიძე ი., მონეტები გონიო-აფსაროსიდან// გონიო-აფსაროსი VII, ბათუმი
7. **კახიძე, 2002:** - კახიძე ა, მამულაძე შ, ებრალიძე ტ., 2000 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში// გონიო-აფსაროსი III, 44-70. ბათუმი
8. **კახიძე, 2004:** - კახიძე ა, მამულაძე შ., სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები// გონიო-აფსაროსის IV, ბათუმი
9. **კახიძე, 2005:** - კახიძე ა, მამულაძე შ, ებრალიძე ტ., 2004 წელს გონიო-აფსაროსის ციხის დასავლეთი კედლის გარეთ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში, ბათუმი (ხელნაწერი)
10. **კახიძე, 2009:** - კახიძე ა, შალიკაძე თ., მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან// ფიჭვნარი IV, გონიო-აფსაროსი IX, ბათუმი-ოქსფორდი
11. **კახიძე, 2016:** - კახიძე ა, მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი
12. **მამულაძე, 2007:** - მამულაძე შ, კახიძე ა, კახიძე ე., გონიო-აფსაროსი, თბილისი
13. **მამულაძე, 2013:** - მამულაძე შ, შალიკაძე თ, ასლანიშვილი ლ., გონიოს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში 2012 წელს წარმოებული გათხრების მოკლე ანგარიში// აჭარა წარსული და თანამედროვეობა I, 187-221, ბათუმი

14. **მამულაძე, 2014:** - მამულაძე შ, სურმანიძე ნ., 2014 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭისა და აბანოთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები// საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამხრეთ-დასავლეთ საქართველო IV მასალები, 201-218, თბილისი
15. **მამულაძე, 2017:** - მამულაძე შ, შალიკაძე თ, ქამადაძე კ., 2015 წელს გონიო-აფსაროსში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები// აჭარა წარსული და თანამედროვეობა III, 239-258 ბათუმი
16. **მამულაძე, 2017:** - მამულაძე შ, შალიკაძე თ, სურმანიძე ნ, ქამადაძე კ., გონიო-აფსაროსში 2014 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში// აჭარა წარსული და თანამედროვეობა III, 207-238. ბათუმი
17. **მამულაძე, 2019:** მამულაძე შ, კარასევიჩ სციპიოპსკი რ., ქამადაძე კ, მამულაძე ს, მამისეიშვილი თ., გონიო-აფსაროსში 2019 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, ბათუმი (ხელნაწერი)
18. **მინდორაშვილი, 2008:** - მინდორაშვილი დ, მამულაძე შ., გონიო-აფსაროსის №20 კოშკის არქეოლოგიური გათხრები// საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. 116-128, თბილისი
Gonio-Apsaros is distinguished by the variety of numismatic monuments. Here the archaeological research revealed Hellenistic, Roman, Byzantine, European and Ottoman coins. The coins obtained in 1995-2000 are studied and published by us. We studied the coins found in subsequent years in our article. Most coins are poorly protected due to humidity. The sample units are of a small number. Twenty-four of the numismatic materials described are from the Roman period (I-III century), and one is a Polish coin (XVII century). The Roman coins according to the mints are distributed as follows: Caesarea – 8, Antiochia – 7, Trapezunt – 5, Rome – 1, 3 – of unspecified mint because of poor protection. We have the following situation according to the centuries: I – 9 (Vespasian (69-79), Domitian (81-96)), II – Trajan (98-117), Hadrian (117-138), Antoninus Pius (138-161), III – 6 (Septimius Severus 193-211), Caracalla (211-217), Commodus (180-192), Julia Domna (139-217) coins. The Caesarea products are leading, which are followed by the Antiochia and Trapezunt copper. Rome is represented by one copy. If we add new data to the analysis of coins obtained in previous years we get the following image: Thirty-eight coins have been minted in the I century: Tiberius ((14–37) – Lugdunum (Gallia) 1 Denar, hieperia(37/39) - 1 (Bosporan Kingdom), Herodes Agripa ((37–44) -1 (Judea), Antiochia (Syria) -22 (Nero 54 – 68) – 5, Domitian ((81-96) – 5, 12 of them generally can be dated by the second half of the first century), Vespasian(69-79) – 6 (Rome, Caesarea), Titus (79–81) – 1 (Gadara), except the separate units, among the coins of II-III centuries, there were 6 coins minted in the first century among the treasury found in 1998: the Denar minted in Lugdunum of Tiberius, the Denar minted in the Rome of Vespasian and Polemon II(49-63) – 4 Drachmas. Most of the first century coins were minted in Antioch– 22 units, 4 in the Kingdom of Pontus, 3 in Rome, 3 in Caesarea, 2 in Lugdunum and one in Bosporus, Judea and Gadara. Most of coins are copper (26). The coins minted in the middle and at the end of the first century are dominating. 45 coins were minted in the II century. Trajan – 7 (Caesarea, neo-Caesarea, Trapezunt, Rome), Hadrian 13 (11–Caesarea, 1 - Eastern mint, 1 – not defined). Faustina(+141)–2(1– Rome), Antoninus



Pius (138-161), –6(2 – Rome, 3- Caesarea, 1 - not defined). Commodus (180-192) – 4 (3-Trapezunt, 1 – not defined). Septimius Severus (193–211) – 3 (Trapezunt, Rome, Eastern mint). In addition to the Gonio treasure, there are 12 coins of this period: Trajan – 3 (Rome), Hadrian – 5 (2-Rome, 3-Caesarea, Antoninus Pius – 1 (Rome), Faustina II 9161–176) – 1 Rome, Marcus Aurelius(161–180) or Commodus – 1 (Rome). The most of coins of the second century coins were minted in Caesarea-21, Rome – 15, Trapezunt – 5, neo-Caesarea – 1, Eastern mint – 2, 3 – place of mint is not defined). 44 coins were minted in the III century. Septimius Severus – 5 (1-Rome, 1-Caesarea, 3 – Trapezunt), Julia Domna – 5 (2-Caesarea, 1 – Trapezunt), Caracalla – 2 (Caesarea); Caracalla or Geta – 1, Gordian III (238-244) – 3 1-Caesarea, 1- Sinop), Trankulina (238-244) – 1 (Trapezunt), Aurelian (270-275) – 2 (Thessaloniki). One coin is minted in Trapezunt, which could not be accurately identified.

The treasure includes 23 coins of this period, Septimius Severus – 9 (1-Rome, 8-Caesarea), Julia Domna -5 (Caesarea), Caracalla- 7 (2-Rome, 5-Caesarea), Geta-2 (1-Rome, 1-Caesarea), 25 coins were minted in Caesarea, 5 in Rome, 7 in Trapezunt, 2 in Thessaloniki, 1 in Sinop. The similar coins were found in Bichvinta.

According to written sources, archaeological and numismatic material, the existence of a Roman garrison in Apsaros in the I-III centuries is confirmed. The Roman coins are part of their wages used for trade with the locals.

The Polish coin was minted in the name of Sigismund III (1587-1632) in the Bodgosh mint. A similar coin was discovered in Gonio in previous years. It is possible that it was brought by the Cossacks in Gonio; western Georgia is associated with the Cossacks in the fight against the Ottomans. In their settlement, coins of the United Kingdom of Poland and Lithuania were in circulation in the first half of the 17th century. The Cossacks have repeatedly attacked the Gonio fortress. It may also come from the Ottoman Empire as an international currency.

## ტაბულაბის აღწერილობა

### ტაბ. I

1. ვესპასიანე (69-79 წწ), კესარია
2. ვესპასიანე (69-79 წწ) , კესარია,
3. დომიციანე (81-96 წწ), ანტიოქია,
4. დომიციანე (81-96 წწ) ? ანტიოქია,
5. დომიციანე, სპილენძი. რომი
6. ანტიოქია, სპილენძი, I ს.?
7. ანტიოქია, სპილენძი, I ს.?
8. ანტიოქია, სპილენძი, I ს.
9. ტრაიანე (98-117 წწ)
10. ტრაიანე, ტრაპეზუნტი,
11. ადრიანე (117-138 წწ), კესარია.

### ტაბ. II

12. ადრიანე, კესარია,
13. ადრიანე, კესარია,
14. ადრიანე, კესარია
15. კომოდუსი (180-192 წწ), ტრაპეზუნტი,
16. სეპტიმუს სევერუსი (193-211 წწ), ტრაპეზუნტი,
17. იულია დომნა (193-217), ტრაპეზუნტი
18. იულია დომნა (193-217 წწ), კესარია
19. კარაკალა (211-217), კესარია
20. სიგიზმუნდ III (1587-1632)

I



1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11





12



13



14



15



16



17



18



19



20



## ავგის ნაეკლესიარი

2015 წლის ივნისის თვეში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით ქ. ბათუმის გარეუბან ახალსოფელში არქეოლოგიური ექსპედიცია განხორციელდა. ექსპედიციის მიზანს ადრეშუასაუკუნეების საეკლესიო ნაგებობის შესწავლა წარმოადგენდა. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ახალსოფელი ორად იყოფა. მისი ერთი ნაწილი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, ხოლო მეორე- ქ. ბათუმის შემადგენელი ნაწილია. ჩვენს მიერ შესწავლილი ძეგლი ავგის უბანში (ავგის ქ. 50) ადგილობრივი მკვიდრის თ. შარაძის საკარმიდამო ნაკვეთში მდებარეობს.

არქეოლოგიური გათხრების დაწყება აქ შემთხვევით აღმოჩენილმა ბიზანტიური პერიოდის კრამიტისა და აგურის ფრაგმენტებმა განაპირობა. აღმოჩენის ადგილის ვიზუალური დათვალიერებისას ზედაპირულად შეინიშნებოდა ქვის წყობის ნაშთები. ადგილობრივთა მონათხრობით, აქ იდგა შენობა, რომელიც XX ს-ის II ნახევრამდე საკმაოდ კარგად იყო დაცული. მოგვიანებით იგი დაუნგრევიათ და მისი ქვები სხვადასხვა სამშენებლო საქმიანობისათვის გამოუყენებიათ. ძეგლის რაობის გასარკვევად მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები ვანარმოეთ (შესასწავლი ფართობი მოიცავდა შემდეგ კვადრატებს: NO: 1-3, 11-13, 21-23, 31-33; SO: 1-3, 11-13, 21-23, 31-33; SW: 1-3, 11-13, 21-23, 31-33; NW:1-3, 11-31; კვადრატების ზომები 4x4 მ).

ორკვირიანი სადაზვერვო არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შემდეგ აღმოჩნდა საკმაოდ დიდი ზომის ბაზილიკა, რომელიც მშენებლობის ტექნიკით, გეგმარებით და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ადრებიზანტიური პერიოდის საეკლესიო ნაგებობას წარმოადგენს. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ტრანსეპტიანი დარბაზი (ტაბ. I-III), რომლის სანყისი გეომეტრიული სქემა ე.წ. ვნების ჯვარია (crux immissa), მას „ლათინურ ჯვარსაც“ და „გრძელ ჯვარსაც“ (crux immissa oblonga) უწოდებენ. ტრანსეპტიანი დარბაზების გავრცელების არეალი ადრე შუასაუკუნეებში საკმაოდ ფართე იყო. იგი ბიზანტიის იმპერიის პერიფერიებში თითქმის ყველგან გვხვდება და მისი ორი სახეობა იყო ცნობილი: უგუმბათო და გუმბათიანი (Restle, 1979: 68-73, ნახ. 42-44). გუმბათიანი ბაზილიკები ბიზანტიის იმპერიაში ძალიან ადრე წარმოიქმნა (Stanzl, 1979:79-92), ბრტყელი კოჭოვანი გადახურვიდან თალოვანზე გადასვლამ თავისთავად წარმოშვა გუმბათი (Быш, 1900: 315). მიჩნეულია, რომ ამდაგვარ გეგმარებას საფუძვლად მარტირიუმები და კლდოვანი სამარხების სქემები უდევს (Bandmann, 1956:187).

ავგის ნაეკლესიარი უგუმბათო ბაზილიკის ტიპს განეკუთვნება. არქეოლოგიური გათხრებისას ტაძრის ნანგრევებში არცერთი ისეთი ქვა არ აღმოჩენილა, რომე-

ლიც კამარის არსებობაზე მიუთითებდა. გარდა ამისა, ტაძრის კედლები იმ სიმყარის არ არის, რომ დარბაზისა და ტრანსეპტის გადაკვეთის კუთხეებს გუმბათის სიმძიმე ეტვირთათ. ნაგებობაში არც პილასტრები იკითხება. როგორც ჩანს, მას მარტივი კოჭოვანი, ბრტყელი ქერი უნდა ჰქონოდა, როგორც ეს დასავლურ ადრეულ ბაზილიკურ ნაგებობებს ახასიათებდათ.

მსგავსი გეგმარების მქონე ნაგებობა ცნობილია აფხაზეთიდან და იგი ზოგადად ადრე შუასაუკუნეებით არის დათარიღებული (Шамна, Шамна, 1985: 19-22). დაახლოებით ასევე თარიღდება ამავე ტიპის ეკლესია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც (Romančuk, 2005: 26).

ავგიის ნაეკლესიარი ამ ტიპის საკულტო ნაგებობებისაგან განსხვავდება ერთი დეტალით-ნართექსით. იგი მოგვიანო მინაშენს არ წარმოადგენს და თავიდანვე ეკლესიასთან ერთადაა აგებული (ტაბ. II/5-6; ტაბ. III/1-2). ნართექსი დარბაზისაგან 70 სმ-ის სიგანის ტიხრითაა გამოყოფილი. მისი კარის ლიობი დარბაზის კარს უსწორდება. დასავლეთის მხრიდან ნაგებობას აქვს კვადრატული მინაშენი (ტაბ. II/7; ტაბ. III/2). იგი გვიან „მიდგმულს“ ჰგავს, თუმცა ძირითად სტრუქტურასა და მინაშენს შორის დიდი ქრონოლოგიური მონაკვეთი არ შეინიშნება. მისი კედლები მხოლოდ 60 სმ-ის სიგანისაა და ძირითად ნავთან შედარებით რამდენამდე დაბალია. შემორჩენილია მხოლოდ უკიდურესი ქვედა სტრუქტურა. კარის ლიობის ადგილი არ იკითხება. ეს როგორც ჩანს, კარიბჭეა-ესონართექსის „რეპლიკა“, მასზე დაკვირვებით ჩანს, რომ იგი მშენებლობის დასრულებამდე განადგურებულა. მსგავს მინაშენს შეიცავს თითქმის ამავე სქემის გუმბათოვანი ნაგებობა ნაჯახოვოშიც (ზაქარაია, კაპანაძე: 1991: 54-56, სურ. 91).

ნაგებობის კედლები ზოგიერთ ადგილას 2 მ-ის სიმაღლემდეა შემორჩენილი (ტაბ. II-III). იგი ნაგლეჯი, დაუმუშავებელი ქვითაა ნაგები კირხსნარის (კერამიკული ფხვნილის, კენჭებისა და ღორღის ქარბი მინარევით) გამოყენებით. რიგები რეგულარულია. საკვანძო ადგილებში წყობა ქვიშაქვის კარგად გათლილი კვადრებითაა შეკრული და განმტკიცებული (ე.წ. „opus incertum“). სხვადასხვაგვარია აბსიდის წყობა. აქ საგანგებოდ შერჩეული, შედარებით მომცრო, გარე ასახულობაში კვადრატული და თანაბარი ზომის ქვებია გამოყენებული (ე.წ. „opus quadratum“) (ტაბ. II/3-4; ტაბ. III/1). კარის ლიობები ყველგან ერთი და იგივე სიგანისაა - 1,5 მ. საინტერესოა, რომ ჩრდილოეთისა და სამხრეთის სათავსოთა კარის ლიობები ერთმანეთს საგანგებოდაა აცილებული. სამხრეთის აღმოსავლეთის მონაკვეთშია გაჭრილი (ტაბ. II/1; ტაბ. III/1) ჩრდილოეთისა კი დასავლეთით (ტაბ. II/2; ტაბ. III/1). ეკლესიაში იატაკებიც სხვადასხვა დონეზეა გამართული. მათ შორის განსხვავება დაახლოებით 20 სმ-ია და ლიობთა წინ ქვის ფილებით ერთხარისხიანი დაბალი საფეხურებითაა გამართული. იატაკი, როგორც ძირითად ასევე გადამკვეთ ნავში, გამართული იყო კირხსნარისა და კერამიკული ფხვნილის ნაერთით (ე.წ. „opus signinum“). ერთ ადგილას ჩანდა, რომ თითქოსდა ინტერიერის კედლებიც ასეთივე ხსნარით იყო შელესილი, რაც სავსებით ბუნებრივია. ეკლესიის შვერილი აბსიდა მკვეთრად გამოხატული ნალისებრი მოყვანილობისაა და ასეთსავე სქემაზე დაფუძნებული კაპადოკიური ადრექრისტიანული ეკლესიების აბსიდების მსგავსია (Restle, 1979: ნახ. 32, 34, 39). ნაგებობის არქიტე-

ქტონიკა მთლიანად რომაულ ტერფსაა (ფეხი, ფუტი<sup>20</sup>) დაქვემდებარებული. ტაძრის საერთო სიგრძე 23.7 მ-ია (79 ტერფი), სიგანე (ტრანსვერსის მკლავების საერთო სიგრძე) 19.2 მ (64 ტერფი). დასავლეთის მინაშენის სიგრძე 3.9 მ-ია (13 ტერფი), კედლის სიგანე 90 სმ (3 ტერფი) და ა.შ. ერთი სიტყვით ტაძარში არსებული ყველა დეტალი, რომაულ ტერფს ექვემდებარება. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან სწორედ რომაული სამყაროს განზომილებებს დაექვემდებარა ადრექრისტიანული სამყარო. ასეთივე სურათი იკითხება ამავე პერიოდის თითქმის ყველა ძეგლზე (Gartkiewicz, 1990:71-75; Krautheimer, 1984: 102-104; ყიფიანი, 2009:751-752).

ნაგებობა გადახურული ყოფილა ხის კონსტრუქციებზე დალაგებული ბრტყელი და ლარიანი კრამიტებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში გადახურვის ეს ხერხი ძალზედ იშვიათია. ავგიის ეკლესიის მსგავსი გადახურვა ჯერჯერობით ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ჭაბუკაურისა და დოლოჭოპის უბანში შესწავლილ სამნავიან ბაზილიკებს ახასიათებს (ბახტაძე, 2015: 62-63; ბახტაძე, 2018: 109-110).

როგორც ცნობილია, V-VI სს-თა მიჯნის შემდეგ აგებული ქართული ბაზილიკური თუ დარბაზული ტაძრები ქვის კამარებითაა გადახურული, ამიტომ გადახურვის ეს მეთოდი ნასაზრდოები ჩანს უშუალოდ IV-V სს-ის რომაულ-ბიზანტიური სამყაროდან: რომის იმპერიის ცენტრალურ და აღმოსავლეთის ქრისტიანულ პროვინციებში უძველესი ბაზილიკების სახურავები, როგორც წესი, ხის მზიდ კონსტრუქციებს ეყრდნობოდა (ბახტაძე, 2018: 109-110).

**არქეოლოგიური მასალები.** ავგიის ნაეკლესიარის განათხარი მასალა ძირითადად წარმოდგენილია სამშენებლო კერამიკის-კრამიტების, აგურებისა და იატაკის ფილების სახით. მცირე რაოდენობით გვხვდება ქოთნების, ქვაბ-ქოთნების, დოქების, ამფორების პირ-კედლისა და ძირის ნატეხები, ასევე მინის, ბრინჯაოსა და ლითონის ნაწარმი. საკუთხეველში, აბსიდის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა სამი რკინის ჯვარიც.

*სამშენებლო კერამიკა.* სამშენებლო კერამიკაში მასალათა უმრავლესობას სოლენის ტიპის კრამიტები წარმოადგენს (ტაბ.IV/1-5). ახასიათებთ იასამნისფერი (ავგია. 2015/5, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 32, 65, 69, 83, 85, 92, 93, 94, 97, 98, 100, 103, 105, 106, 107, 108), ნარინჯისფერი (ავგია. 2015/2, 3, 19, 20, 21, 22, 30, 31, 33, 34, 64, 91, 101) ან ყავისფერი (ავგია. 2015/4, 6, 18, 77, 89, 90, 95, 96, 99, 102, 104) კეცი და დაბალი ანეული გვერდი. მცირე რაოდენობით გვხვდება ლარიანი კრამიტის ნატეხებიც (ავგია. 2015/57, 70, 75) (ტაბ.V/1). მათი უმეტესი ნაწილი სამხრეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სახელოსნო და სატრანზიტო ცენტრში - ქ. სინოპშია დამზადებული. ამ ქალაქთან ძველ კოლხეთს ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მოყოლებული ჰქონდა მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობენ, ეს კონტაქტები ადრეშუასაუკუნეებშიც გრძელდება. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში კრამიტი განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების არეში მყოფ შენობათა დასახურად გამოიყენებოდა. კრამიტით იყო დახურული ასევე საკულტო ნაგებობებიც (ჯღამაია, 1980:18-21).

20. რომაული ტერფი იგივე ატიკური ტერფია, რომელიც უმნიშველო ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა და მისი პრაქტიკული ზღვარი 0.3 მ-ს უტოლდება (Büsing, 1982:7).

სამშენებლო კერამიკის შემდეგ ჯგუფს იატაკის ფილები ქმნიან (ტაბ.V/2-5). ყველა მათგანი ყავისფერკეციანია მართკუთხა ფორმის (ავგია. 2015/16, 17, 66, 67, 71, 80, 109, 110). ერთ-ერთზე (ავგია. 2015.66) შემორჩენილია ცხოველის ნაფეხურები (ტაბ.V/3). ხოლო ორი ფილის (ავგია. 2015.78/79) ერთი ბოლო მართკუთხა სამკუთხედისებრადაა ნაკვეთილი (ტაბ.V/5).

სამეურნეო კერამიკიდან აღსანიშნავია სხვადასხვა ყავისფერკეციანი ქვევრის კედლის ნატეხები (ავგია. 2015/7, 54, 84). მათი ზედაპირი რელიეფური ქედებითაა შემკული.

რამოდენიმე ნატეხითაა წარმოდგენილი დერგებიც (ტაბ.VI/1-2). აქვთ ბრტყელი გარეთ გადაშლილი, განატეხში სამკუთხა ან ოთკუთხა მოყვანილობის ბაკო, დაბალი ყელი და სწორი ტანი (ავგია. 2015/1, 81, 87). ერთ-ერთ მათგანზე (ავგია. 2015/1) დატანილია სამი ამოღარული ჯვარი (ტაბ.VI/1).

შედარებით მრავალრიცხოვანია ქოთნები (ტაბ.VI/3-6). წარმოდგენილია პირის, კედლისა და ყურის ნატეხებით. ახასიათებთ ბრტყელი ოდნავ გარეთ გადაშლილი ბაკო, დაბალი ყელი, მომრგვალებული ტანი და ბრტყელგანივკვეთიანი ყურები (ავგია. 2015/35, 36, 38, 39, 42, 43, 44, 50, 53, 82).

მცირე რაოდენობით გვხვდება დოქებიც (ავგია. 2015/41, 51, 57, 61, 68, 711, 18, 85). აქვთ ბრტყელი ძირი (ტაბ.VII/1). კეცის შეფერილობის მიხედვით გამოიყოფა ორი ვარიანტი: ა) მოვარდისფრო-წარინჯისფერკეციანი და ბ) ყავისფერკეციანი ნიმუშები.

ტაფისებრია ერთ-ერთი ჭურჭლის პირ-კედლის ნატეხი (ავგია. 2015.37). ახასიათებს ყავისფერი კეცი, არაპროპორციული პირი და მომრგვალებული ტანი (ტაბ. VII/2).

შემდეგ ჯგუფს სამეურნეო-სატრანზიტო დანიშნულების ჭურჭელი – ამფორები ქმნიან. პირ-ყელისა და ყურის ნატეხებითაა წარმოდგენილი ადგილობრივი კოლხური ნელშეზნექილი ამფორები (ავგია. 2015/9, 63, 88). ისინი გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნიმუშების მსგავსია (ტაბ.VII/3) და კარგად თარიღდებიან ახ.წ.V-VII სს-ით (ხალვაში, 2002: 20). გვხვდება სხვადასხვა წარინჯისფერკეციანი ტანდალარული ამფორების პირ-ყელისა და ყურის ნატეხებიც (ავგია. 2015/11, 52, 55) (ტაბ.VII/4-5). მათაც მოეპოვებათ უამრავი პარალელი, როგორც საკუთრივ გონიო-აფსაროსის მონაპოვრებში, ისე ზოგადად ბიზანტიური პერიოდის სხვადასხვა ძეგლებზე აღმოჩენილ მასალებში და კარგად თარიღდებიან V-VI სს-ით.

განათხარ მასალაში გვხვდება ბრინჯაოს სხვადასხვა ნივთის ყურებიც. ყველა მათგანი მრგვალგანივკვეთიანია (ავგია. 2015/12, 14). აღმოჩენის ადგილის მიხედვით ეს ნაკეთობებიც V-VI სს უნდა დათარიღდეს.

მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი მინის ნაწარმი (ავგია. 2015/4, 40, 41, 45, 59). მთლიანადაა დაცული ერთ-ერთი სასმისის ძირი (ავგია. 2015/15). ახასიათებს ლურჯი შეფერილობის თხელი კედელი და კონუსურად შეზნექილი ძირი (ტაბ. VIII/1). როგორც ცნობილია, ამ ტიპის ჭურჭელს ორმაგი დანიშნულება ჰქონდა. მათ მოიხმარდნენ როგორც სასმისს ან როგორც ლამპარს. ამგვარი სასმისის ლამპრად



გამოყენება დასტურდება ქ. ტიბერიის (ისრაელი) ჰამათის სინაგოგის იატაკზე მოხატული მოზაიკით (Crowfoot, Harden 1931: 197-200; Antonaras, 2008: 24). მოზაიკა IV სს-თაა დათარიღებული და მასზე გამოსახულია შვიდი სასმისისაგან შედგენილი მენორა (Ancient Glass...1998: 24; Antonaras, 2008: 24). ლამპრად გამოყენების შემთხვევები ასევე ცნობილია, კარანისიდან (ეგვიპტე) და ჩრდილოეთ საფრანგეთის ძეგლებიდან (Antonaras, 2008: 24). რაც შეეხება, მათ სასმისებად მოხმარებას, დასტურდება ვოვივოდინას (სერბეთი) (Saranović-Svetek, 1986: 61, ნომ. 52. ტაბ. IV,1) თესალონიკის (საბერძნეთი) (Papanicola-Bakirtzi, 2002: 532-533) ოსენოვოს (ბულგარეთი) (Minčev, Georgiev, 1981: 11-12, ტაბ. VIII/1) აღმოჩენებით. მსგავსი ტიპის სასმისები IV-V სს-თაა დათარიღებული (Antonaras, 2008: 23-24; სურ. 3/1-4/1; Antonaras, 2010: 387, სურ. 4). ავგიის სასმისი თანხმლები მასალების მიხედვით V ს-ით თარიღდება.

ლამპრის უნდა იყოს ქურჭლის ყურის ერთი ნატეხი (ავგია. 2015.59) (ტაბ.VIII/2). მინის ლამპრები საკმაოდ პოპულარული იყო ადრექრისტიანულ ეპოქაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ლამპრებად ძირითადად სასმისებს იყენებდნენ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ სასმისებს პირის კიდესთან ახლოს დამატებით უკეთებდნენ პატარა ზომის ყურებს, რომელზეც შესაძლებელი იყო ლითონის კაუჭის დამაგრება და შესაბამისად უკვე ლამპრადქცეული სასმისის ჩამოკიდება (Antonaras, 2010: 388). ავგიის ლამპრის ყური თესალონიკის მუზეუმში დაცული ზუსტი ანალოგის მიხედვით კარგად თარიღდება V ს-ით (Antonaras, 2008: 24, სურ. 3/2ii-4/2ii; Antonaras, 2010: 388, სურ. 6). V-VII საუკუნეებში მინის ლამპრები ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (Antonaras, 2008:24; Papanicola-Bakirtzi 2002: 285, ნომ. 299; Kissas, 1988: 209, ფიგ. 4; Uboldi, 1995: 124-125, ფორმა V).

მინის ნაწარმს განეკუთვნება ასევე, მრგვალი, ზედაპირდაბრტყელებული, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის გემა (ავგია. 2015.58) (ტაბ.VIII/3) და სხვადასხვა ჯვრის 2 თვალი. ერთ-ერთი მათგანი (ავგია. 2015/73) ზურმუხტისფერია, მართკუთხა ფორმის, კიდებმომრგვალებული (ტაბ.VIII/4), ხოლო მეორე (ავგია. 2015/74) მწვანე, ბოლოებგაფართოებული (ტაბ. VIII/5).

ეკლესიის შიდა სივრცეში აღმოჩნდა 3 რკინის ჯვარიც (ტაბ.VIII/6-8). სამივე მათგანი დაზიანებულია (ავგია. 2015/46,47,60). შედარებით კარგადაა შემონახული ერთ-ერთი ნიმუში (ავგია. 2015/60). მისი სამივე მკლავი ცენტრიდან თანაბრადაა დაშორებული, ხოლო მეოთხე - ქვედა მკლავი დაგრძელებულია. მკლავების დაბოლოებები არ იკითხება (ტაბ.VIII/8).

განათხარ მასალაში გვხვდება ლურსმნის ფრაგმენტი (ავგია. 2015/56) და საშუალო ზომის რუხკეციანი ქვის ბირთვიც (ავგია. 2015.76). ყველა მათგანი პარალელური მასალების მიხედვით V-VI სს-ის ნაკეთობებს განეკუთვნება.

ამგვარად, ავგიის ტაძარი არქიტექტონიკით, სამშენებლო ხელოვნებით და არქეოლოგიური მასალების მიხედვით V-VI სს-ით უნდა დათარიღდეს.

## ლიბერატურა

1. **ბახტაძე, 2015:** - ბახტაძე ნ., დოლოჭოპი// ონლაინ არქეოლოგია 8, გვ.62-63
2. **ბახტაძე, 2018:** - ბახტაძე ნ., უძველესი ბაზილიკების არქეოლოგიური კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში და მოსაზრებანი პირველი ქართული ქრისტიანული ტაძრების ხუროთმოძღვრული აღნაგობის შესახებ//მაცნე #1, 106-129. თბილისი
3. **ზაქარაია, კაპანაძე, 1991:** - ზაქარაია პ., კაპანაძე თ., ციხეგოჯი-არქეოლოპოლისი-ნოქალაქევი (ხუროთმოძღვრება), თბილისი
4. **ყიფიანი, 2009:** - ყიფიანი გ., მეფე მირიანის ბაზილიკა, „ბიზანტინოლოგია საქართველოში 2“, II. თბილისი
5. **ხალვაში, 2002:** - ხალვაში მ., კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი
6. **ჯღამაია, 1980:** - ჯღამაია ჯ., სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბილისი
7. **Ancient Glass...1998:** - Ancient Glass from the Holy Land. San Francisco: Fine Arts Museum of San Francisco and Israel Antiquities Authority
8. **Antonaras, 2008:** - Antonaras, A.C., Glass lamps of the Roman and Early Christian periods. Evidence from the Thessaloniki area// Trade and Local Production of Lamps from the Prehistory until the Middle Age. Acts of 2nd International Congress on Ancient and Middle Age Lighting Devices. 23-30 [= Lychnological Acts 2]. Cluj-Napoca: Editura Mega
9. **Antonaras, 2010:** - Antonaras, A.C., Early Byzantine glass vessels: forms and uses//Byzanz-das Römerreich im Mittelalter 1. 383-430. Mainz: Römisch-Germanischen Zentralmuseums
10. **Bandmann 1956:** - Bandmann G., Mittelalterliche Architektural Bedeutungsträger, Berlin
11. **Büsing, 1982:** - Büsing H., Metrologische Beiträge. Hand und Fuß// Jahrbuch des Deutschen Archäologischen Instituts 97, 1-45
12. **Crowfoot, Harden, 1931:** - Crowfoot G.M, Harden D.B., Early Byzantine and Later Glass Lamps// Journal of Egyptian Archaeology, 17, 196-208
13. **Gartkiewicz, 1990:** - Gartkiewicz P.M., The cathedral in old Dongola and its antecedents // Nubia 1, Dongola 2, Warsaw: Archeobooks

14. **Kissas 1988:** - Kissas S., He anaskaphe sten Kolchida Kilkis// Archaeologico ergo ste Makedonia kai Thrake 2, 207-217
15. **Krautheimer, 1984:** - Krautheimer R., Early Christian and Byzantine architecture (4th revised edit.). Yale: Yale University Press
16. **Minčev, Georgiev, 1981:** - Minčev Al, Georgiev P., Rannohristiianska grobnica s' stenopisi kraji s. osenovo, Varnensko, Izvestija na Narodnija Muzej, 17 (32), 9-16
17. **Restle, 1979:** - Restle M., Studien zur früh byzantinischen Architektur Kappadokiens. Wien: Verlag der Österreichischen Akademie der Wissenschaften
18. **Romančuk, 2005:** - Romančuk, A.I., Studien zur Geschichte und Archäologie des byzantinischen Cherson// Colloquia Pontica 11, Leiden-Boston: Brill
19. **Stanzl, 1979:** - Stanzl G., Längsbau und Zentralbau als Grundthema der frühchristlichen Architektur, Wien: VÖAW
20. **Saranović-Svetek, 1986:** - Saranović-Svetek V., Antičko staklo u jugoslovenskom delu provincije Donje Panonye. Novi Sad: Vojvođanski Muzej
21. **Uboldi, 1995:** - Uboldi M., Diffusione delle lampade vitree in età tardoantica e elto medievale e spunti per una tipologia// Archaeological Medievale 22, 93-145
22. **Papanicola-Bakirtzi 2002:** - Papanicola-Bakirtzi D., Every Day Life in Byzantium, exhibition Catalogue, Thessaloniki, Whatie Tower October-January, Athens
23. **Вулф, 1900:** Вулф О., Архитектура и мозаика храма Успения В Никее, В.В. т. VII
24. **Шамба, Шамба, 1985:** Шамба С.М, Шамба Г.К., Раскопки древнего Гюэноса, Археологические открытия в абхазии 1981-1982 гг. Тбилиси

## AVGIA CHURCH

### *Summary*

Funded by Ajara Cultural Heritage Preservation Agency, another archaeological expedition began in June 2015 in Akhalsopeli – the suburbs of Batumi. The purpose of the expedition was to study the early Medieval church structure.

The two-weeks observational archaeology excavation has uncovered quite a large basilica, that bore a resemblance to the temples of the early Byzantine period in terms of the technique, planning, and archaeological materials. The archaeological excavation has revealed a transept hall (pl.2-3), with an initial geometric cruciform shape, *crux immissa*, also known as the "crucifix" and "long cross" (*crux immissa oblonga*). Transept halls were common in the early Medieval period and can be found almost in every periphery of the Byzantine Empire. Mostly, there were two types of transepts: the domed and undomed (Restle 1979: 68-73, Fig. 42-44). Domed basilicas in the Byzantine Empire were created quite early (Stanzl 1979: 79-92) - transforming from a flat-roofed system to the arched roofs, consequently produced a dome (Vul'f 1900: 315). It is considered that such planning was based on the schemes of martyries and rocky tombs (Bandmann 1956: 187).

Avgia Church can be classified as an undomed basilica. None of the stones found in the ruins can prove the existence of the vaults. The walls of the temple and the intersections of the hall and the transepts are scarcely strong enough to bear the weight of the dome. The building shows no evidence of pilasters. Apparently, it must have had a simple, coarse, flat ceiling typical for an early western basilica structure.

The structure of the building that is similar to the one from Abkhazia, generally dates back to the Medieval period (Shamba and Shamba 1985: 19-22). Almost a similar church in the northern Black Sea dates back to the same era (Romančuk 2005: 26).

Avgia Church site differs from other cult buildings only in one feature - the narthex. Evidently, it was not added later, it must have been built together with the church (pl.1-3). The narthex is separated from the hall with a 70 cm width septum. The door aperture

equals the door of the hall. The western part has a square extension, that could have been added later. Though there is not a big chronological discrepancy between the main structure and the extension. Its walls are less than 60 cm in width and a bit lower than the main nave. Only the lowest structure has survived. There is no sign of a door aperture. This seems to be a “replica” of the gate-exonarthex, which might have been destroyed before the completion of the construction. The domed structure building in Najakhavo (Martvili Municipality) contains similar extension (Zakaraia and Kapanadze 1991: 54-56, Fig. 91).

Some of the walls have survived up to 2 meters in height. They are made of rubble, unprocessed stones and lime mortar (mix of ceramic powder, pebbles, and crushed rocks). Rows are regular. The key areas are well bound and fortified by sandstone quadras (so-called “opus incertum”). The layout of apses somehow vary. Some carefully selected and comparatively small, square and equal sized stones are used (so-called “opus quadratum”). The door embrasures are of the same width - 1,5 m. Interestingly, the door embrasures of the northern and southern storerooms are intentionally distant and misaligned. The southern one is cut out in the eastern part, and the western one - in the northern part. Floors are laid at different levels. The difference between the floor levels is about 20 cm and the same quality low step stone tiles are laid in front of the embrasures (pl.1-3). The floors of the main and intersected naves are made of a mix of lime mortar and ceramic powder (so-called "opus signinum"). One spot has revealed that the interior walls must have been plastered with the same solution, which is quite natural. The apse of the church is explicitly horseshoe-shaped and is similar to the early Christian Cappadocian apses, that were built according to the same scheme (Restle 1979: Figs 32, 34, 39). The architectonics of the building is entirely based on Roman foot (feet).<sup>21</sup> The total length of the cathedral is 23.7 m (79 feet), and width (total length of transept arm) is 19.2 m (64 feet).

The western extension of the temple is 3.9 m in length (13 feet), the wall width is 90 cm (3 feet) and so on. In short, all the details in the temple are subject to the Roman foot. It's quite typical, considering the fact that an early Christian world subordinated the Roman world in all the areas. The same can be said in regards to almost every monument of the same period (Gartkiewicz 1990: 71-75; Krautheimer 1984: 102-104; Kipiani 2009: 751-752).

The building had been covered with wooden structures made of flat and striated/grooved tiles. It must be noted, that in Georgia this method of roofing is rarely found.

21. Roman foot is the same as Attic foot, that has suffered a minor change and its practical limit is 0.3 m.

The roofing method of Avgia Church is similar to the three-nave basilicas found on the territory of Nekresi settlement, Chabakauri and Dolochopi precincts (Bakhtadze, Mamiashvili and Gabekhadze 2015: 66-67; Bakhtadze 2018: 109-110).

Archaeological Evidence. The finds unearthed on the site of Avgia Church include construction materials: tiles, bricks and floor tiles. Several sherds of pots, jugs, amphora necks and bases, as well as fragments of glass, bronze and metal works have been found on the site. In the altar that is in the middle of the apse, three iron crosses have been uncovered.

The Solen type tiles represent the majority of materials in the construction ceramics (pl 4/1-5). Most of them are made in the important trade and transit center in the South Black Sea Coast - Sinope. After the group of construction ceramics, comes a set of floor tiles (pl.5/2-5). All of them are brown and have a rectangular shape. The household ceramics are represented as various fragments of kvevris (large earthenware vessels) that are made of brown clay. The surface is decorated with relief mountain ranges. Some fragments of dergis (large pots) have been uncovered also (pl.6/1-2). A comparatively large number of pots (pl.6/3-6) are represented as pieces of rims, walls and handles. A small number of jugs. has been obtained as well. They have flat bases (*pl.7/1*). A pan-like sherd of a vessel rim-wall is made of brown clay, and has a disproportionate mouth and rounded body (pl.7/2). Another group comprises household-movable vessel amphorae. The local Colchian concave amphorae are presented as sherds of rim-necks and ears (pl.7/3). They are similar to the finds, uncovered in the fort of Gonio-Apsarus and date back to the 5th-7th centuries AD (Khalvashi 2002: 20; Mamuladze, Kakhidze and Khalvashi 2012: 237-243). Some rim-neck and ear sherds of a grooved orange clay amphorae have also been uncovered (*pl.7/4-5*). They bear quite a lot similarities to Gonio-Apsarus findings, as well as of the Byzantine period monuments that date back to the 5th-6th centuries AD (Khalvashi 2002: 42-58, Fig.3; Mamuladze, Kakhidze and Khalvashi 2012: 237-243).

Among the artefacts the handles of various bronze items have also been uncovered. All of them are round-edged (Avgia.2015/12,14). According to the context of discovery, these items should be dated back to the 5th-6th centuries AD.

Considerably fewer glass objects have been found. The base of one of the vessels is fully preserved. It is characterized by a thin blue wall and a conically incurved base (pl. 8/1). As it is known, this type of vessel had a dual purpose. They were used as a drinking vessel or as a lamp. The use of such a cup lamp is evidenced by the floor mosaic of the Hammat Tiberias' Synagogue, Israel (Crowfoot and Harden 1931: 197-200; Antonaras 2008: 24). The mosaic dates back to the 4<sup>th</sup> century AD and displays a seven-branched

menorah (*Ancient Glass from the Holy Land* 1998: 24; Antonaras 2008: 24). The case of using this item as a lamp can be evidenced by the monuments of Karanis (Egypt) and Northern France (Antonaras 2008: 24). The cases of repurposing them as drinking vessels can be proved by the finds of Vojvodina, Serbia (Šaranović Svetek 1986: 61, No 52, pl. IV.1), Thessaloniki, Greece (Papanikola-Bakirtzi 2002: 532-533), Osenovo, Bulgaria (Minčev and Georgiev, 1981: 11-12, pl. VIII.1). These types of drinking vessels date back to the 4<sup>th</sup>-5<sup>th</sup> centuries AD (Antonaras 2008: 23-24, Figs 3 .1,4 .1; 2010: 387, Fig.4). The Avgia vessel is dated back to the 5th century AD.

A single piece of dish handle (pl. 8/2) must be a part of a lamp. Glass lamps were quite popular in the early Christian era. As mentioned earlier, drinking vessels were often used as lamps. The difference between a lamp and a vessel was just a tiny handle attached near the rim, so that they could hold a hook that was attached afterward, just to hang it on the wall (Antonaras 2010: 388). According to the analogue protected in the Thessaloniki Museum, the handle of the Avgia lamp can be dated to the 5<sup>th</sup> century AD (Antonaras 2008: 24, Fig. 3.2ii,4.2ii; 2010: 388, Fig. 6). In the 5<sup>th</sup>-7<sup>th</sup> centuries glass lamps were quite common on the eastern Black Sea Coast (Antonaras 2008: 24; Papanicola-Bakirtzi 2002: 285, No 299; Kissas 1988: 209, Fig .4; Uboldi 1995: 124-125, form V).

Uncovered glassware includes a round, flat-surfaced greenish-yellow gemstone (pl. 8/3) and two gemstones of different crosses. One of them is emerald, rectangular and round-edged [pl. 8/4], and the other is green with wide endings (pl. 8/5).

In the inner space of the church, three iron crosses were uncovered (pl.8/ 6-8). All three are damaged. Compared to others, one of them is a bit well-preserved. All three arms of the cross are equally distant from the center, and the fourth – the lower one is elongated, the arm ends are illegible (pl. 8/8).

Among the artifacts, a fragment of a nail and a medium-sized grey stonecore have been unearthed. With reference to the similar materials, all objects can be dated back to the 5<sup>th</sup>-6<sup>th</sup> centuries AD.




Thus, in terms of architectonics, the art of building and archeological materials, Avgia Church can be dated back to the 5th-6th centuries AD.

## ტაბულაბის აღწერილობა

- I. ეკლესიის გეგმები და ჭრილი
- II. 1. სამხრეთის სათავსი; 2. ჩრდილოეთის სათავსი; 3-4 აბსიდა; 5-7 ეკლესიის ინტერიერი; 8. კრამიტყრილი
- III. 1. ხედი აღმოსავლეთიდან; 2. ხედი დასავლეთიდან
- IV-V. სამშენებლო კერამიკა
- VI. 1-2 დერგები; 3-6 ქოთნები
- VII. 1. დოქი; 2. ტაფისებრი ჭურჭელი; 3-5 ამფორები
- VIII. 1. სასმისის ძირი; 2. მინის ლამპრის ძირი; 3. მინის გემა; 4-5 ბეჭდის ჯვრები; 6-8 რკინის ჯვრები



I



II



1



2



3



4



5



6



7



8

III




1




2


IV




1



2



3



4



5




V



1




2



3




4




5




VI




1



2




3



4




5




6




VII



1




2



3







4



5



VIII



7

8



## ბოლო წლებში (2015-2021 წწ) გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფაიანსის ნაწარმი

გონიოს ციხის შიდა ტერიტორიაზე წლების მანძილზე წარმოებული გათხრების შედეგად დაგროვდა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გვიანი შუასაუკუნეების (XVI-XIX სს) არქეოლოგიური მასალა. მათ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ფაიანსის ჭურჭელს უკავია. სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი ოსმალეთის იმპერიის ქალაქებში - იზნიკსა და ქუთაჰიაში დამზადებულ ნაწარმად აღიარებული (აფხაზავა..., 1998: 269-277; ქამადაძე, 2013: 160-167; 2014: 223-232; 2016 ა: 48-61; 2016 ბ: 78-102; Камадаძე, 2016: 220-225).

წარმოდგენილ სტატიაში თქვენს ყურადღებას 2015-2021 წლებში აღმოჩენილ ნიმუშებზე და საწარმოო ცენტრებთან დაკავშირებით გამოთქმულ ახალ მოსაზრებებზე გავამახვილებთ.

როგორც ცნობილია, ოსმალეთის იმპერიაში ყველაზე ადრეულ და მსხვილ საწარმოო ცენტრს ქ. იზნიკი (ძველი ნიკეა) წარმოადგენდა. თუ რატომ გახდა იზნიკი ძირითადი ცენტრი მკლევარები სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან: 1. იზნიკში ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერიის დროიდან მოკიდებული არსებობდა კერამიკული წარმოების ტრადიცია; 2. იზნიკი მდიდარი იყო თიხის საბადოებით; 3. მუდმივად იზრდებოდა მოთხოვნილება მსგავს პროდუქციაზე; 4. იზნიკი მდებარეობდა დედაქალაქთან (სტამბოლთან) როგორც მთავარ დამკვეთთან და მომხმარებელთან ახლოს და 5. ქალაქზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები და ა.შ. (ვრცლ. იხ. ქამადაძე, 2016 ბ: 78-79, François, 1996: 232; Беляева, 2017: 561-580).

იზნიკური კერამიკის კლასიფიკაცია ჯერ კიდევ XX ს-ის 50-იან წლებში ა. ლენი-მა შეიმუშავა (Lane, 1957: 43-65) და დღემდე არ დაუკარგავს პოპულარობა. მკლევართა უმრავლესობა დღესაც სწორედ ლენის კლასიფიკაციით სარგებლობს. თუმცა, ბოლო წლებში სამეცნიერო წრეები, განსაკუთრებით კი, თურქი მეცნიერები მცირე აზიის წამყვანი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე გამოთქვამენ ეჭვს, რომ ამ ტიპის კერამიკა მხოლოდ იზნიკში არ მზადდებოდა (Aslanapa, 1965: 2-29; Öney, 2003: 708-713; Гусач, 2017: 585). როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, იზნიკის გარდა, ბურგასში, სტამბულში, სივასში, ქუთაჰიაში და ოსმალეთის იმპერიის სხვა ქალაქებში არსებობდა კერამიკული სახელოსნოები, რომლებიც იზნიკური ნაწარმის მსგავს პროდუქციას ამზადებდნენ. ეს ნაწარმი გამოირჩეოდა, ასევე მაღალი ხარისხით და დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა შიდა თუ გარე ბაზარზე.

ამიტომაც, კლასიკური პერიოდის (XVI ს-ის ბოლო - XVII ს-ის დასაწყისი) იზნიკური კერამიკის განსხვავება ოსმალეთის იმპერიის სხვა საწარმოო ცენტრების პროდუქციისაგან ფაქტობრივად შეუძლებელია (Yenişehirlioğlu, 1990: 38-39; Öney, 2003: 708-709; Гысац, 2017: 585). ოსმალური კერამიკის ცნობილი მკვლევარის ვ. გარბუზოვას აზრით: „თუკი ოსმალურ ფაიანსს არა აქვს წარწერა ან ხელოსნის დამლა, მაშინ თანამედროვე დროში დარწმუნებით არ შეიძლება იმის თქმა თუ რომელ ქალაქში დამზადდა იგი. მხოლოდ კეცის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ შეიძლება ზუსტად განვსაზღვროთ ნებისმიერი ოსმალური ფაიანსის წარმომავლობა“ (Гарбузова, 1958: 23). უახლეს არქეოლოგიურ აღმოჩენებზე დაყრდნობით, ოსმალური ფაიანსის წარმომავლობის განსაზღვრისას სამეცნიერო წრეებში თანდათან უფრო პოპულარული ხდება „იზნიკურის“ ნაცვლად ზოგადი ტერმინის - „მცირეაზიური ფაიანსის“ გამოყენება (Yenişehirlioğlu, 1990: 38-39; Öney, 2003: 708-709; Гысац, 2017: 585).

როგორც აღინიშნა, პირველად იზნიკური კერამიკის კლასიფიკაცია ა. ლენინმა შეიმუშავა და მასში სამი პერიოდი გამოყო: იზნიკი I (აბრაჰამი ქუთაჰიადან - 1480/90-1525/30 წწ); იზნიკი II (დამასკოს სტილი - 1525/1530-1555 წწ) და იზნიკი III (როდოსის სტილი - 1555-1700 წწ) (Lane, 1957: 43-65).

იზნიკი I-ის კერამიკა მოხატულია თეთრ ფონზე, გამჭვირვალე ჭიქურის ქვეშ კობალტის ლურჯი საღებავით. ამასთან კობალტის ორი შეფერილობაა გამოყენებული, ღია - ძირითადად ნახატისათვის და მუქი - კონტურებისათვის. დეკორაციაში წამყვანია ყვავილოვანი ორნამენტი (ლიტ-რა ვრცლ. იხ. ქამადაძე, 2016 ბ: 78-102). ამ ჯგუფის კერამიკას მეორენაირად „აბრაჰამი ქუთაჰიადან“ სტილსაც უწოდებენ და მომდინარეობს ხელოსნის სახელისაგან რომელმაც პირველმა გაუკეთა თავის ფინჯანს შემდეგი წარწერა: „ეს არის ღვთის მონის აბრაჰამის ჭურჭელი ქუთაჰიადან 959 (1510) წელი 11 მარტი“ ხელოსნის მიერ ფინჯანი ხელით იყო მოხატული ლურჯი (კობალტის) საღებავით თეთრ ფონზე (ანგობზე) და ამიტომაც წარწერამ მიიღო მეორე სახელწოდება „ლურჯი-თეთრი“ (Gusach, 2015: 31; Гысац, 2017: 585). ამ წარწერის მიხედვით თავდაპირველად თვლიდნენ, რომ ეს კერამიკა ქ. ქუთაჰიაში იყო დამზადებული, თუმცა, ქ. იზნიკში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ამ სტილის კერამიკის იზნიკში წარმოება დაადასტურა (Aslanapa, 1965:16-31; Altun, 2007: 309-325).

იზნიკი I გონიოს ციხის უახლოეს მონაპოვრებში წარმოდგენილია თეფშების პირ-კედლის ნატეხების სახით. ახასიათებთ ფართოდ გადაშლილი პირი და არათანაბრად დაშვებული კალთა (ტაბ. I/1-2). ზოგიერთი ნიმუშების (გ.ა. 2017.93.SO XIII) პირბაკო ოდნავ ზემოთ აწეული და გამოყოფილია (ტაბ. I/1). ფიალის უნდა იყოს კიდევ ერთი ჭურჭლის ნატეხი (გ.ა. 2015.1107.SOXII), რომლის შიდა და გარე პირზე ლოტოსის ყვავილია მოხატული (ტაბ. I/3).

იზნიკური კერამიკული ნაწარმის განვითარების უმაღლეს მწვერვალად იზნიკი II (დამასკოს სტილი) ითვლება. თეთრ ფონზე ლურჯად გაფორმებულ ნიმუშებს 1530 წლიდან დაემატა ფირუზისფერი, მწვანე, ზეთისხილისფერი, იისფერი და შავი - ძირითადად კონტურებისათვის. კერამიკის გასაფორმებლად ჩნდება და მალე წამყვან

ადგილს იკავებს: ვარდები, სუმბულები, ცხრატყავები, ქრიზანთემები, ყველაზე მეტად კი ტიტები და მიხაკები (ლიტრ-რა ვრცლ.იხ. ქამადაძე, 2016 ბ: 78-102). დიდი ხნის მანძილზე შეცდომით მიიჩნევდნენ, რომ „დამასკოს“ სტილის ჭურჭელი მზადდებოდა ქ. დამასკოში (სირია). ეს ქალაქი წარმოადგენდა ამ ტიპის ჭურჭლის მსხვილ სავაჭრო ცენტრს. სწორედ აქედან გაჰქონდათ იგი ევროპულ ბაზრებზე. ამიტომაც იზნიკი II-ის კერამიკას „დამასკოს“ სტილი უწოდეს (Миллер, 1972: 115-117; Гарбузова, 1958: 22; Gusach, 2015: 31; Гусач, 2017: 586-589). უფრო მეტიც, მკვლევართა ერთი ნაწილი გ. მიჟონი, ა. საქისიანი და მ. დიმანდი ფიქრობდნენ, რომ „დამასკოს“ კერამიკა სირიის მთელ ტერიტორიაზე იწარმოებოდა და მას „სირიული“ შეარქვეს (Migeon..., 1923: 305; Dimand, 1930: 177). მხოლოდ მოგვიანებით ქ. იზნიკში არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, გაირკვა რომ „დამასკოს“ სტილის კერამიკა ქ. იზნიკში მზადდებოდა (Aslanapa, 1965: 27; Lane, 1957: 44-50; Гусач, 2017: 590). ბოლო წლებში იზნიკური კერამიკის XVI ს-ის ორნამენტების შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით თურქი მკვლევარი გ. ონეი ფიქრობს, რომ „დამასკოს“ სტილის კერამიკის წარმოება თავდაპირველად მართლაც ქ. იზნიკში დაიწყო, მაგრამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს ქ. დამასკოში მიაღწია (Öney, 2003: 712-713). ჯერჯერობით დამასკოში კერამიკული ქურა-სახელოსნოები აღმოჩენილი არ არის, სადაც მსგავსი ნაწარმის დამზადება დადასტურდებოდა ამიტომაც მკვლევარის ეს მოსაზრება დღემდე ჰიპოთეზად რჩება.

ა. ლეინი იზნიკი II ჯგუფს ათარილებს 1525-1555 წწ-ით. იგი ეყრდნობა იერუსალიმში კუბათ ას-სახრაში აღმოჩენილ ლამპას, რომელსაც ჰქონდა ხელოსნის-ნაკამ მუსლის წარწერა 956 (1549 წ) და გუდმენის კოლექციაში დაცულ ბოთლზე დატანილ წარწერას, რომელზეც მოცემულია თარიღი 978 წ (1529 წ) (Lane, 1957: 49-54). მკვლევართა უმრავლესობაც დღემდე იზნიკი II კერამიკას ასე ათარილებს. მხოლოდ უ. მიულერი და მ. სტანჩევა თვლიან რომ „დამასკოს“ სტილის კერამიკა იწარმოებოდა XVI-XVII სს-ში (Миллер, 1972: 116-125; Станчева, 1960: 114).

იზნიკი II-ის კერამიკაც გონიოს უახლოეს მონაპოვრებში ძირითადად თეფშებისა და ფიალების ნატეხების სახითაა წარმოდგენილი. თეფშებს ახასიათებთ ფართოდ გადაშლილი პირი და არათანაბრად დაშვებული კალთა. პირის შიდა კიდე გაფორმებულია შავი ფერის ხვიებითა და ლურჯი საღებავით მოხატული ყვავილოვანი დეკორით (ტაბ. I/4-8). საკმაოდ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ერთ-ერთი თეფშის ძირ-კალთის ნატეხი (გ.ა. 2017.93.SOXIII). ახასიათებს მომრგვალებული კალთა. მაღალი, ცილინდრული ქუსლი და ბრტყელი ძირი. ქუსლის არეში შემოუყვება ფართე ლურჯი ზოლი. კალთის როგორც გარე, ისე შიდაპირი მოხატული ყოფილა ყვავილოვანი დეკორით. კალთის ბოლოში ძირის დასაწყისთან დატანებული აქვს ნახვრეტი (ტაბ. I/5). როგორც ჩანს, გატეხილ თეფშზე ნახვრეტები გაუკეთებიათ, შეუკონინებიათ და მეორადად გამოუყენებიათ. ბუნებრივია, ასე „რესტავრირებული“ თეფში შემდეგში მხოლოდ მშრალი პროდუქტებისათვის იქნებოდა გამოყენებული. თეფშის ძირი უნდა იყოს კიდეც ერთი ნიმუში (გ.ა. 2015.1460.SOXII). აქვს დაბალი კალთისაგან გამოყოფილი ქუსლი და ბრტყელი ძირი. შიდა და გარე კალთა გაფორმებულია

წერილი ყვავილოვანი ორნამენტით (ტაბ. I/8). იზნიკი II-ის ტიპისაა ფიალის კედლის ნატეხი (გ.ა. 2017.12.SOXII). ჰქონია მომრგვალებული კალთა. მის შიდა და გარე პირზე ლურჯი საღებავით მოხატულია შროშანი, რომელსაც ირგვლივ შავი საღებავით შესრულებული კონტურები შემოუყვება (ტაბ. I/9).

გვიანდელი იზნიკური კერამიკა (იზნიკი III) „როდოსის“ სტილის სახელწოდებითაა ცნობილი. სახელწოდება მომდინარეობს კ. როდოსიდან და უკავშირდება პარიზის კლიუნის მუზეუმის მიერ კუნძულ როდოსზე ამ ტიპის კერამიკის დიდი ნაწილის შექმნას. ა. ლეინი დარწმუნებული იყო, რომ „როდოსის“ სტილის კერამიკის სამშობლო იზნიკი იყო და ათარიღებს 1555-1700 წლებით (Lane, 1957: 54). მკვლევართა უმრავლესობაც ა. ლეინის კლასიფიკაციას ეყრდნობა. ბოლო პერიოდში იზნიკური კერამიკის მკვლევარებმა ო. ასლანაფამ და გ. ონეიმ წამოაყენეს ახალი მოსაზრება „როდოსის“ კერამიკის იზნიკთან ერთად ქ. ქუთაშიაშიც დამზადების შესახებ (Aslanapa, 1965: 29; Öney, 2003: 712-716). „როდოსის“ სტილის კერამიკაში ოსმალთა კერამიკოსები მოხატვისას იყენებენ მკაფიო მწვანესა და განსაკუთრებით კი მკაფიო წითელ საღებავებს (ლიტ-რა ვრცლ. იხ. ქამადაძე, 2016 ბ: 78-102).

იზნიკი III-ის ჯგუფიც ძირითადად თეფშების ძირების სახითაა წარმოდგენილი. ერთ-ერთი მათგანის (გ.ა. 2017.18.SOXIII) შიდაპირზე ცენტრში მარჯნისფერი საღებავით მოხატულია ხუთფურცლა ყვავილი. მცენარის ფოთლებისა და ღეროების გასაფორმებლად გამოყენებულია მწვანე საღებავი, ხოლო კონტურებისათვის-შავი. ახასიათებს მომრგვალებული კალთა, დაბალი, რგოლისებრი ქუსლი და ბრტყელი ძირი (ტაბ. II/1). განსხვავებული დეკორითაა შემკული მეორე თეფშის ძირი (გ.ა. 2018.318.SOXII). მისი შიდა და გარე კალთა გაფორმებული ყოფილა ყვავილოვანი დეკორით. ორნამენტისათვის გამოყენებულია ლურჯი, თეთრი და მარჯნისფერი, კონტურებისათვის - შავი, ხოლო ირგვლივი სივრცისათვის ლურჯი საღებავი. აქვს მომრგვალებული კალთა, მაღალი რგოლისებრი, კალთისაგან გამოყოფილი ქუსლი და ბრტყელი ძირი (ტაბ. I/10). როდოსის სტილისაა ჭურჭლის ხუფის ერთი ნატეხიც (გ.ა. 2018.240.SWIX). აქაც დეკორის გასაფორმებლად ლურჯი, ღია-მწვანე, მარჯნისფერი და შავი საღებავებია გამოყენებული (ტაბ. II/2).

XVII ს-ის შუახანებიდან იზნიკში კერამიკული ნაწარმის დამზადება მცირდება ხოლო, 1716 წელს საბოლოოდ წყვეტს არსებობას (ვრცლ. იხ. ქამადაძე, 2016 ბ: 78-102). ამიერიდან ახალი მთავარი ცენტრი ქუთაშია ხდება. ამ ქალაქში კერამიკის დამზადება ჯერ კიდევ XIV ს-ის II ნახევრიდან იწყება და იგი წარმოადგენდა იზნიკის დამხმარე ცენტრს (Belgin, 2007: 339). გამოთქმულია სხვა მოსაზრებაც, კერძოდ ზოგიერთი მკვლევარი, ფიქრობს, რომ ქუთაშია წარმოადგენდა იზნიკის არა დამხმარე, არამედ კონკურენტ ცენტრს, რომელმაც მხოლოდ XVIII ს-ის დასაწყისიდან - იზნიკის დაცემის შემდეგ, საბოლოოდ დაამკვიდრა საკუთარი სტილი და ფორმები (Kouymjian, 2014: 109).

გონიოს ციხის ტერიტორიაზე მოპოვებულ ქუთაშიურ ნაწარმში წამყვანია ყავის ფინჯნები. დღეისათვის შემუშავებულია მათი ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური

კლასიფიკაცია და მათში ძირითადად 4 ტიპია გამოყოფილი (ქამადაძე, 2016 ბ: 78-102). ბოლო წლების მონაპოვრებს შორის ქარბობს კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული ნიმუშები. ერთ-ერთი მათგანი დიდი ზომისაა (გ.ა. 2015.1476.SOXII). ახასიათებს მაღალი კალთისაგან გამოყოფილი, რგოლისებრი ქუსლი და ბრტყელი ძირი. შიდაპირზე მოხატულია ყვავილოვანი დეკორი. ძირზე დატანილია ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული ერთი წერტილიდან გამომავალი და საპირისპიროდ მიმავალი სამი სხივი (ტაბ. II/3). შედარებით პატარაა მეორე ფინჯნის ძირი (გ.ა. 2018.368.SOXIII). მის შიდაპირზეც კობალტის ლურჯი საღებავით შესრულებული მცენარეული ორნამენტია გამოსახული. აქვს დაბალი, რგოლისებრი, კალთისაგან გამოყოფილი ქუსლი და ბრტყელი ძირი, რომელზეც დატანილი აქვს ვარსკვლავისებრი დამლა (ტაბ. II/4). კიდევ ერთ ფინჯნის ძირზე, რომისებრი დამლაა დატანილი, ოღონდ განსხვავებით წინა ნიმუშისაგან მასზე დამლა შავი საღებავითაა შესრულებული (ტაბ. II/6). ახასიათებს ნახევარსფეროსებრი, რელიეფური ქედებით დაყოფილი კალთა და დაბალი რგოლისებრი ქუსლი. შიდაპირზე აქაც კობალტის ლურჯი საღებავით შესრულებული მრავალფურცლა ყვავილია მოხატული. ფინჯნისაა კიდევ ერთი წვრილი მცენარეული ორნამენტებით გაფორმებული ჭურჭლის ნატეხი (გ.ა. 2017.2.SOXII). მისთვის დამახასიათებელია სწორი, კალთასთან შერწყმული პირი (ტაბ. II/5).

ყავის ფინჯნების გარდა კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულ ნიმუშებში გვხვდება დოქის პირ-კედლის ნატეხიც (გ.ა. 2017.35.SWIX). გარე ზედაპირი პირ-ყელის არეში გაფორმებულია გულებით და ზიგზაგისებრი ხაზებით. ნახატისათვის გამოყენებულია ღია, ხოლო კონტურებისათვის ლურჯი ფერი (ტაბ. II/7).

ბოლო წლების მონაპოვრებში გვხვდება ყავისფერი საღებავით მოხატული ფინჯნის ერთი ნატეხიც (გ.ა. 2020.11.SWIII). მისი შიდაპირი მოხატულია კობალტის ლურჯი საღებავით შესრულებული წვრილი მცენარეული ორნამენტით, ხოლო გარე კალთა დაფარულია ყავისფერი საღებავით. ქუსლი დაბალია, რგოლისებრი. ძირი ბრტყელი (ტაბ. II/8).

გონიოს მონაპოვრებში ცალკე ჯგუფს პოლიქრომული ფინჯნები ქმნის. ისინი უკვე შემუშავებული კლასიფიკაციის მიხედვით IV ტიპშია გაერთიანებული (ქამადაძე, 2016 ბ: 78-102). პოლიქრომული დეკორით შემკული რამოდენიმე ფინჯანი გვხვდება უახლეს აღმოჩენებშიც. ერთ-ერთი ნიმუშის (გ.ა. 2016.89.SWIX) შიდაპირზე ცისფერ ზოლში ჩასმული ღია მწვანე, ყვითელი, მარჯნისფერი და შავი საღებავებით ყვავილოვანი ორნამენტია მოხატული (ტაბ. II/10). შავი და მწვანე საღებავებით შესრულებული მრავალფურცლა ყვავილია გამოსახული მეორე ფინჯანზეც (გ.ა. 2017.23.SWIX), რომლის ძირზეც დატანილია ვარსკვლავისებრი დამლა (ტაბ. II/9).

ქუთაჰური ყავის ფინჯნების ქრონოლოგია ისევე, როგორც მთლიანად ქუთაჰური კერამიკის, ჯერ კიდევ არ არის მთლად ნათელი. ავტორთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ქუთაჰური ფაიანსი მასობრივად იწარმოებოდა XVIII ს-ში, ხოლო ყავის ფინჯნების დამზადების ორიენტირად XVIII ს-ის I ნახევარს მიუთითებენ (Asla-

para, 1965: 31; Hayes, 1992: 266; Öney, 2003: 732). მკვლევართა ნაწილი დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ქ. ქუთაშიაში კერამიკული წარმოება ფართო მასშტაბით ჯერ კიდევ XVII ს-ში იწყება (Миллер, 1972: 157; Гарбузова, 1958: 37; Станчева, 1960: 123; Волков, 2006: 483-484). ბოლო წლებში ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ციხეებზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს, რომ ყავის ფინჯნები თარიღდებიან XVII ს-ის შუა ხანებით. ამ პერიოდითაა განსაზღვრული იზმაილისა და კაფაში აღმოჩენილი ქუთაშიური ფინჯნები (Дынник, 1990: 123; Волков, 2006: 485). ოჩაკოვსა და კადიქოიში მსგავსი ნიმუშები XVII-XVIII სს-ით დათარიღებულ კულტურულ ფენებშია ნაპოვნი (Беляева, 1998: 41-42; Иванов...1998: 111). XVII ს-ის ბოლო XVIII ს-ის დასაწყისით თარიღდება ლუტოკისა და აზაკის ციხეების აღმოჩენები (Чеснок, 1988: 66-73; Гусач, 2012: 116-143; 2017: 18) და აშ.

ამავე პერიოდით თარიღდება გონიოს ციხის მონაპოვრებიც.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აფხაზავა..., 1998:** - აფხაზავა ნ, მამულაძე შ., გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა გონიოდან// ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები II, 269-277. ბათუმი
2. **ქამადაძე, 2013:** - ქამადაძე კ., გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ფაიანსის წარმომავლობის საკითხისათვის// საისტორიო მაცნე XX, 160-167, ბათუმი
3. **ქამადაძე, 2014:** - ქამადაძე კ., გვიანი შუა საუკუნეების იზნიკური კერამიკა გონიო-აფსაროსიდან// მე-IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) მასალები, 223-232, თბილისი
4. **ქამადაძე, 2016 ა:** - ქამადაძე კ., ოსმალური ფაიანსი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან// ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის შრომები XII, 48-61, ბათუმი
5. **ქამადაძე, 2016 ბ:** - ქამადაძე კ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (აჭარა) გვიან შუასაუკუნეებში წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით). დისერტაცია. ბათუმი
6. **Беляева, 1998:** - Беляева С.А., О культурно-исторических связях Северо Причерноморья и Анатолии в XVI-XVII вв. (по находкам поливной керамики в Оча-кове)// Историко-культурные связи Причерноморья и Средиземноморья X-XVIII вв. Тезисы докладов научной конференции. 40-42. Ялта
7. **Беляева..., 2017:** - Беляева С.А, Фиалко Е.Е., Керамика Изника конца XV-XVI вв. из раскопок Нижнего двора Аккерманской крепости// Поливная керамика Средиземноморья и Причерноморья X-XVIII ВВ. Том. 2, 561-580, Казан-Кишинев
8. **Волков, 2006:** - Волков И.В., Закрытый комплекс турецкого времени из Азова. ИАИАНД 21, 481-483
9. **Гарбузова, 1958:** - Гарбузова В.С. Из истории производства малоазийских фаянсов в XIII-XIX вв. Ученые записки ЛГУ 256 (7). Ленинград. 21-40
